# არსენალი

№13 (134). 24 ივნისი – 7 ივლისი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

13
ეროვნული ბიბლიოთეკა
1425
2011

## ვინ დაასწრებს — NATO დაშლას თუ საქართველო ალიანსში გაწევრებას...



## მსოფლიოს უძლიერესი სარაკეტო კრეისერები ბათუმის პორტში

## „აგვისტოს 5 დღის“ სამხედრო ლაფსუსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი კა-გე-ბესგან



20



ტანკები ლიბიის ომში

42



გასეირნება კოსმოსში 20 მილიონად

38

თანამედროვე რუსული ავიაცია საქართველოს საზღვრებთან

15





მონადირის ნაამბობი

52




ფუტურისტული პისტოლეტი „მეხუთე ელემენტიდან“

54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

კალეიდოსკოპი
4 სამხედრო სიახლეები
ანალიზი
7 აქვს მომავალი NATO-ს?
ომი კინოში
9 „აგვისტოს 5 დღის" სამხედრო ლაფსუსები
ვიზიტი
12 ამერიკული კრეისერების ხმაურიანი ვიზიტები შავ ზღვაში
საფრთხე
15 თანამედროვე რუსული ავიაცია საქართველოს საზღვრებთან
რეგიონი
18 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...
სპეცსამსახურების არქივებიდან
20 ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი კა-გე-ბეს არსენალში
ტერორისტული ორგანიზაციები
24 თალიბანი — განსწავლულ რადიკალ ფანატიკოსთა გაერთიანება
ტანკმშენებელი ქვეყნები
30 გერმანული ჯავშანტექნიკა
სპეცდანაყოფები
35 სამსახური გრიფით „საიდუმლო"
კოსმოსი
38 კოსმოსური ტურიზმი — ანუ ორბიტაზე გასეირნება 20 მილიონად
ომი
42 ლიბიის ომის სატანკო ბატალიები
100 დიდი მხედართმთავარი
46 გაიუს მარიუსი
სამხედრო რომანი
48 8 აგვისტოს დაბადებულნი
ნადირობა
52 ბრნოს ტყეში მონადირებული ირმის ამბავი
„არსენალის" იარაღის მაღაზია
54 ფუტურისტული პისტოლეტი „მეხუთე ელემენტიდან"

გარეკანზე — Standard-ის ტიპის საზენიტო რაკეტის სტარტი

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

18 ივნისს საღამოს რუსმა ოკუპანტებმა ონის სოფელ დარის 10 მოსახლე დააკავეს. მათი „დანაშაული" ის იყო, რომ ავიდნენ საჯვარეობის სალოცავზე, რომელსაც ქართველები და ოსები ყოველთვის ერთად აღნიშნავდნენ.

ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე რუს ოკუპანტებს, როცა დალევის სურვილი მოეძალათ, ლომისის სალოცავზე გადმოვიდნენ და იქ ქართველებთან ერთად იქეიფეს.

ოკუპანტების ცინიზმი სწორედ ამაში ჩანს — მოესურვებათ ქართველებს „საზღვრის დარღვევისთვის" აკავებენ, როცა დალევა მოენატრება, მაშინ ძმობას გვეფიცებიან.

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
რედაქტორი
თეიმურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
20.06.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 38-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზიაროდ ნაყიდი გამანადგურებლები



საინტერესო ინიციატივით გამოვიდა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ბაიკო ბორისოვი, რომელმაც სამ სახელმწიფოს — ხორვატიას, რუმინეთსა და თურქეთს გამანადგურებლების ერთობლივად შესყიდვა შესთავაზა. მისი თქმით, ეს გამანადგურებლების ღირებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ბულგარელები უფრო შორსაც მიდიან და ეკონომიის მიზნით, ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს საჰაერო სივრცის ერთობლივ პატრულირებას, ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებასა და პილოტების მომზადებას სთავაზობენ.

თავის მხრივ, რუმინეთის, ხორვატიისა და თურქეთის მთავრობები ბულგარულ წინადადებას ყურადღებით განიხილავენ.

რუმინეთი, ბულგარეთი და ხორვატია მცირე სამხედრობიუჯეტიანი ქვეყნებია და კარგა ხანია საბჭოთა მოძველებული МиГ-21-სა და МиГ-29-ის შემცვლელების ძიებაში არიან. სავარაუდოდ, ასეთად ამერიკული ავიაგამანადგურებელი **F-16 Fighting Falcon**-ი განიხილება.

# შეედგმა პლანეტის ბირთვული არსენალი დათვალეს

ბოლო ერთი წლის განმავლობაში პლანეტაზე არსებული ბირთვული ქობინების რაოდენობა 2 ათასზე მეტით შემცირდა, თუმცა მსოფლიოში ბირთვული არსენალის მნიშვნელოვან შემცირებაზე საუბარი ნაადრევია.

ასეთი დასკვნა გააკეთა სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტმა (SIPRI) თავის მოხსენებაში. ორგანიზაციის მონაცემებით, ამ დროისთვის პლანეტაზე 20.530 ბირთვული ქობინია, რომელთა ვარგისიანობა უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება განუსაზღვრელი ვადით გაიზარდოს.

მოხსენებაში რვა სახელმწიფოს: რუსეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, პაკისტანის, ინდოეთისა და ისრაელის შეიარაღებაში არსებული ქობინების რაოდენობაა მოყვანილი. ამ ქვეყნებში სულ 20.530 ქობინია, რომელთაგან 5.027 დაშლილი, ხოლო 2 ათასზე მეტი მუდმივ საბრძოლო მდგომარეობაშია.

ყველაზე მეტ ბირთვულ არსენალს რუსეთი და აშშ ფლობენ. რუსების არსენალი 2.427 ერთეულ დაშლილ და 8.570 მზა ბირთვულ ქობინს ითვლის, ამერიკელების ანალოგიური მაჩვენებელი, შესაბამისად, 2.150 და 6.350 ქობინია. მომავალში ეს ციფრები მნიშვნელოვნად დაიკლებს, რასაც ბირთვული არსენალის შემცირებაზე აშშ-რუსეთს შორის სტრატეგიული და თავდასხმითი შეიარაღების შემცირებაზე დადებული შეთანხმება ითვალისწინებს.




# ამერიკელებს „გლობალური სწრაფი დარტყმის“ იარაღი სჭირდებათ



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევების ლაბორატორიამ „გლობალური სწრაფი დარტყმის“, კინეტიკური ან არაკინეტიკური იარაღის შექმნისათვის წაყენებული მოთხოვნა გამოაქვეყნა. კონკრეტულად, რა სახის იარაღზეა საუბარი, ამერიკელები არ აზუსტებენ, თუმცა ცნობილია, რომ ახალი სისტემის გამოყენებით დედამიწის ნებისმიერ წერტილში მოწინააღმდეგის სამიზნეებისთვის სწრაფი და მაღალეფექტიანი დარტყმის მიყენებაა შესაძლებელი.

პროგრამაში მონაწილეობაზე განაცხადები ამერიკულმა კომპანიებმა Northrop Grumman-მა და Boeing-მა შეიტანეს. ეს უკანასკნელი ცნობილია იმით, რომ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ჰიპერბგერით რაკეტა X-51A Waverider-ზე უკვე მუშაობს. გამორიცხული არ არის, კონკურსში მონაწილეობა კომპანია Lockheed Martin-მაც მიიღოს. საგულისხმოა, რომ ტენდერის პირობების აღწერისას არსად არის ნახსენები სიტყვა „ჰიპერბგერითი“. სავარაუდოდ, ლაპარაკია ჩვეულებრივი ქობინის მქონე ბალისტიკურ რაკეტებზე. თანაც, შარშან, აპრილში, უკვე გაცხადდა, რომ აშშ მუშაობს ჩვეულებრივი ქობინის მქონე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტაზე, რომლითაც დარტყმის მიყენება დედამიწის ნებისმიერ წერტილში უმოკლეს დროში იქნება შესაძლებელი.

# აჯანყებულმა ლიბიელებმა სახელდახელო საბრძოლო რობოტი შექმნეს



ლიბიაში, აჯანყებულთა ქალაქ მისრათში კადაფისადმი მტრულად განწყობილმა ინჟინრებმა სახელდახელოდ დისტანციურად მართვადი საბრძოლო რობოტის პროტოტიპი შექმნეს და მისი პირველი გამოცდაც მოაწყვეს. სიუჟეტი ლიბიელთა ქმნილების შესახებ ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ ეთერში გავიდა. რობოტის შასი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დისტანციურად სამართავი სათამაშო ჯიპია, რომელსაც თავზე არცთუ დიდი ტყვიამფრქვევი დაუმონტაჟეს. რობოტს მართავენ სპეციალური პულტით, რომელზეც მანქანაზე განთავსებული ციფრული ვიდეოკამერისგან მიღებული გამოსახულება ჩნდება.

ჯერჯერობით აჯანყებულ ლიბიელებს რობოტის ბრძოლაში გამოყენება არ უცდიათ, მხოლოდ მის სრულყოფაზე ზრუნავენ.

# კიდევ ერთი ჩინური გამანადგურებლის ფოტო ინტერნეტში

ინტერნეტში ახალი ჩინური გამანადგურებლის ფოტოსურათის ფრაგმენტი გავრცელდა, რასაც ამჯერადაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. სურათზე ჩანს პილოტის კაბინის ფრაგმენტი, რომლის მსგავსი ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში მყოფ არც ერთ საბრძოლო თვითმფრინავს არა აქვს. ფოტოსურათის მიხედვით, თვითმფრინავი ორადგილიანი უნდა იყოს. სავარაუდოდ, თვითმფრინავი ჩინეთის მეხუთე თაობის კიდევ ერთი გამანადგურებელია, რომელიც J-20-ის პარალელურად დაპროექტდა. სხვა ვერსიით კი საქმე გვაქვს ჩინეთის შეიარაღებაში უკვე არსებულ გამანადგურებელ-ბომბდამშენ JH-7B-ის ახალ მოდიფიკაციასთან.

ასეა თუ ისე, ბოლო დროს მუდმივად ჩნდება ცნობა, რომლის თანახმად ჩინეთი ერთბაშად რამდენიმე ახალი საბრძოლო თვითმფრინავის შექმნაზე მუშაობს. ლაპარაკია გამანადგურებელ-ბომბდამშენ J-17-სა და J-19-ზე.



# საზღვაო ლაზერის შექმნას „დანაგვიანებული“ ჰაერი აფერხებს



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები კარგა ხანია ლაზერული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რომლითაც მოწინააღმდეგის მცურავ საშუალებებსა თუ საფრენ აპარატებს გაანადგურებს. მაგრამ ირკვევა, რომ ფლოტში საბრძოლო ლაზერის გამოყენებამდე კიდევ ბევრმა წყალმა უნდა ჩაიაროს. ყველაზე დიდ სირთულეს ჰაერი ქმნის. სამიზნეზე ეფექტური ზემოქმედებისთვისთვის ლაზერული გამოსხივების კარგად ფოკუსირებაა საჭირო, რაც ლაბორატორიასა თუ პოლიგონზეა შესაძლებელი. ზღვაში კი ორთქლით, მტვრითა და მარილის ნაწილაკებით გაჯერებული აეროზოლი ლაზერის ენერგიას მნიშვნელოვნად ამცირებს და სხივი მიზნამდე შესუსტებული აღწევს. შედეგად, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა გამოაცხადა ახალი ტენდერი, რომლის სახელწოდებაა „მაღალენერგეტიკულ ლაზერულ გამოსხივებაზე ატმოსფერული აეროზოლის გავლენის შემცირება“. სამხედროები პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად ლაზერული გამოსხივების უწყვეტ ნაკადად წარმართვას მიიჩნევენ, რითაც თანდათანობით მოხდება ზღვის „დანაგვიანებული“ ჰაერში გაკვალვა და საბოლოოდ სხივი მიზანს მთელი სიმძლავრით მიაღწევს. მეორე ვარიანტად ზემძლავრი ლაზერის შექმნა განიხილება, რომელიც ულტრამოკლე იმპულსების რეჟიმში იმუშავებს და ჰაერში ნაწილაკების ბარიერს „გაარღვევს“.

# ახალი „ცივი ომი“ ინტერნეტში დაიწყება!

სულ ახლახან ვაშინგტონმა გაავრცელა განცხადება, რომ უცხო ქვეყნიდან კიბერთავდასხმის შემთხვევაში გამორიცხული არ არის საპასუხო სარაკეტო დარტყმა. და აი, ინტერნეტის მილიტარიზაციის თემა ჩინელებმაც აიტაცეს და ამერიკელების დარად ამიერიდან მსოფლიო ქსელს — იარაღის ახალ საშუალებად, ვირტუალურ თავდასხმას კი ომის თანამედროვე სახეობად განიხილავენ.

შეგახსენებთ, აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ახლახან შეიმუშავა კიბერსაფრთხეების აღსაკვეთი სპეცსტრატეგია, რომელიც ქსელის დივერსანტ სახელმწიფოზე საპასუხო სარაკეტო შეტევასაც არ გამორიცხავს. თავის მხრივ, ჩინელებმაც გამოაქვეყნეს ინტერნეტომის საკუთარი კონცეფცია.

განსხვავება ის არის, რომ ამერიკელები თუ მტრული სახელმწიფოების ჰაკერებს სარაკეტო დარტყმებით აშინებენ, ჩინელები ინტერნეტსაზღვრების დაცვას გამალებით იწყებენ და ამისოდ ანტიამერიკულად „დაგეშილ“ პროგრამისტებს გამოიყენებენ. ჩინეთის ქსელს გაუკეთდება ფილტრი, რომელიც მტრულ საიტებს დაბლოკავს. ექსპერტები უკვე ლაპარაკობენ ახალ „ცივ ინტერნეტომზე“. სავარაუდოდ, აშშ-სა და ჩინეთს უახლოეს მომავალში სხვა სახელმწიფოებიც მიჰბაძავენ და ინტერნეტსაფრთხეების აღსაკვეთად ეროვნულ კონცეფციას შეიმუშავებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრალიელმა სამხედროებმა ამო-ზე საიდუმლო დოკუმენტები დაკარგეს



ავსტრალიელმა სამხედროებმა დაკარგეს „გასაიდუმლოებული დოკუმენტები“, რომლებიც ქვეყნის ცაზე გამოჩენილ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე დაკვირვების მონაცემებს შეიცავდნენ.

დოკუმენტების გაუჩინარების ამბავი მას შემდეგ გაცხადდა, რაც ორი თვის წინ გამოცემული აქტით მათი საჯაროდ გამოქვეყნება გადაწყდა. ავსტრალიის თავდაცვის სამინისტრო უშედეგოდ ცდილობს არქივებში დაცული მასალების მოძიებას.

ერთადერთი ფაილი, რომელსაც ავსტრალიელებმა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბბინაში მიაკვლიეს, ქვეყნის ცენტრალურ რაიონში საცდელ პილიგონზე დაფიქსირებული ანომალიური მოვლენების ამსახველი დოკუმენტია. ყველა სხვა ცნობა განადგურებული ან დაკარგულია.

სხვათა შორის, ავსტრალიის სამხედრო უწყება ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე ცნობებს 2000 წლის ბოლოდან აღარ იღებს და საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომელთაც მსგავს ფაქტებზე ინფორმაცია აქვთ, შეტყობინების გაგზავნას პირდაპირ პოლიციაში სთავაზობს.

# ჯავშანხელთათმანი დამნაშავეთა დასაშინებლად

გამომგონებელმა დევიდ ბრაუნმა შექმნა ახალი იარაღი — დიდი, დაჯავშნული ხელთათმანი, რომელიც პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმებისთვის არის განკუთვნილი.

ეს არამომაკვდინებელი იარაღი, რომელსაც BodyGuard 9XI-HD01 ჰქვია, დაჯავშნული, ელექტრონული მუხტის მატარებელი ხელთათმანია და მის კომპონენტებში შუქდიოდური ფარანი, მაღალი ძაბვის ელექტროშოკი, ვიდეოკამერა და ლაზერული მიზანმომნიშვნელი შედის, რაც იარაღს სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელ საშუალებად აქცევს. კონსტრუქციის წონა 1,4 კგ-ია.

BodyGuard 9XI-HD01-ის გამოყენება ხელის ტრავმისგან თავდასაცავადაც შეიძლება. მთავარი კი ის არის, რომ იარაღი ეფექტს თავზე ხელაღებულ დამნაშავეებთანაც იძლევა, — სამართალდამცველისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი მისი „დაგემოვნებისთანავე“ უქრებათ.

ბრაუნს ჯავშანხელთათმნის შექმნის იდეა 2004 წელს დაებადა, როცა ორინჯის რაიონის ზოოლოგიურ პარკში ლომი ადამიანებს დაესხა თავს. ერთი დაიღუპა, მეორე კი დასახიჩრდა. ხელთათმანის შექმნასა და სრულყოფას ბრაუნმა შვიდი წელი მოანდომა, თუმცა შრომა დაუფასდა — აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ტექნოლოგია პოლიციისა და სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფთა შეიარაღებაზე უკვე დაამტკიცა.



# ამერიკელები ბერეტზე უარს ამბობენ

აშშ-ის არმიაში ბერეტს კეპით შეცვლიან. როგორც ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, სამხედროთა თავსაბურავის შეცვლის მიზეზი მოსამსახურეთა შორის ბერეტის არაპოპულარობა გახდა.

ცვლილება არ შეეხება შავ ბერეტს, რომელიც უწინ მხოლოდ დაზვერვის ელიტური სპეცდანაყოფის სამოსის ნაწილი იყო, ხოლო 2001 წლიდან კი აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყველა სამხედრო მოსამსახურის უნიფორმაში შევიდა. შესაბამისად, ამიერიდან ტრადიციული თავსაბურავი მხოლოდ რეინჯერებისა და სხვა სპეცრაზმელების ფორმის ნაწილად დარჩება, სხვებს კი კეპები დაურიგდებათ.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ბერეტი კეპით შეიცვლება, მისი საველე პირობებში არაპრაქტიკულობაა. კეპისგან განსხვავებით, ის მფლობელს თვალებზე მზის სხივებს ვერ უჩრდილავს.

ბერეტის კეპით ჩანაცვლებით ამერიკელები ფინანსურ ხეირსაც ნახავენ. თუ ქუდის პირველი ნაირსახეობა თორმეტ დოლარამდე ღირს, კეპის ფასი 6,5 დოლარია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქვს მომავალი NATO-ს?

**ნუთუ ისე დაიშლება ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომ საქართველო ვერ მოასწრებს ამ მაგიდასთან მიჯდომას?**

ეს კითხვა ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა, როდესაც დაიშალა ჯერ ვარშავის პაქტი, შემდეგ კი — საბჭოთა კავშირი. თითქოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ღირსეული მოწინააღმდეგე არ დარჩა და NATO-ს ყველანაირად უნდა გაემართლებინა თავისი არსებობა, რაც მთავარია — მრავალმილიარდიანი დაფინანსება.

ერთ-ერთი გამოსავალი ყოფილი ვარშავის პაქტის წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოება იყო. პროცესები ასეც წარიმართა, მაგრამ 1999 წელს NATO აქტიურად ჩაერთო იუგოსლავიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პროცესში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წამყვანმა ქვეყნებმა, პირველ რიგში — აშშ-მა, გერმანიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ ყველაფერი გააკეთეს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, რაც, ჩვენი აზრით, უდიდესი შეცდომა იყო და ამ მოვლენის მძიმე შედეგებს ევროპა ჯერ კიდევ მოიმკის. იმის ნაცვლად, რომ NATO-ს სახსრები ძირითადად მის აღმოსავლეთით გაფართოებასა და გაძლიერებაზე დახარჯულიყო, ყოფილი იუგოსლავიის ომის შემდეგ ალიანსი რამდენიმე ათასი კმ-ით დაშორებულ ავღანეთის ანტიპარტიზანული ომის ჭაობში აღმოჩნდა ჩაფლული.

რამდენი წელია, ISAF-ის ოპერაციას NATO მეთაურობს, რის გამოც ალიანსის მთელი ყურადღება სწორედ ავღანეთზეა გადატანილი და ძირითადი ხარჯებიც იქ მიდის, თუმცა ავღანეთში ომი ერთ უძირო ქვევრს წააგავს, რომლის ამოვსება, ანუ წარმატებით მისი დამთავრება, ჯერჯერობით მაინც, შეუძლებელია. თითქოს ყოფილ იუგოსლავიაში სამშვიდობო დანაყოფების, ხოლო ავღანეთში საბრძოლო შენაერთების შენახვაში ყოველწლიურად მილიარდების ხარჯვა არ ეყოფოდა, NATO-მ თავი კიდევ ერთ შეიარაღებულ კონფლიქტში, ამჯერად ლიბიაში გაჰყო.

**„სიტუაცია, რომელიც მე ავსახე, იმაზე მეტყველებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი შეიძლება ბუნდოვანი ან საერთოდ, გაურკვეველი იყოს“,** — ეს სკანდალური სიტყვები, არც მეტი არც ნაკლები, აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსს ეკუთვნის.

რობერტ გეითსი ჯორჯ ბუში-უმცროსის პრეზიდენტობის დროსაც პენტაგონის შეფი იყო და ამავე თანამდებობაზე დატოვა პრეზიდენტმა ობამამ, ასე რომ, გეითსმა ნამდვილად იცის, რას ამბობს.

მინისტრი გეითსი 30 ივნისს ტოვებს თანამდებობას, რამაც, ეტყობა, იგი უფრო თამამი გახადა, ამიტომაც უწინასწარმეტყველა NATO-ს ასეთი პირქუში მომავალი, თუმც მან თქვა ის, რაზეც სხვები მანამდე არაოფიციალურად საუბრობდნენ. იცით თუ არა, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის გარდა? აგვისტოს იმ რამდენიმე დღემ NATO-ს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის უდიდესი სისუსტე — არაოპერატიულობა, ბიუროკრატიულობა და რაც მთავარია, რუსეთისადმი ერთგვარი შიში გამოაჩინა.

NATO-ს მიერ საქართველოსთვის პირდაპირი სამხედრო დახმარების გაწევაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ალიანსის ხელმძღვანელობას არავინ უშლიდა, პოლიტიკურად უფრო აქტიურად ემოქმედა.

თუმცა ალიანსის სისუსტე აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე გამჟღავნდა, როდესაც ბუქარესტის სამიტზე საქართველოს უარი უთხრეს MAP-ის მიცემაზე, რაც, ფაქტობრივად, კრემლისთვის მწვანე შუქის ანთებას ნიშნავდა...

**თუკი აგვისტოს ომში NATO-ს პოლიტიკური სისუსტე გამომჟღავნდა, ლიბიაში მიმდინარე ოთხთვიანმა ომმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო სისუსტე გამოავლინა.**

გაეროს მხრიდან საჰაერო ოპერაციებზე მიღებული ნებართვის მიუხედავად, NATO-მ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ვერ შეძლო ლიბიაში კადაფის რეჟიმის დამხობა. ამას შეიძლება ობიექტური ახსნა მოეძებნოს — სახმელეთო ბრძოლებში წარმატების გარეშე, მხოლოდ საჰაერო შეტევებით მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ლიბიაში მოქმედი შეიარაღებული ოპოზიცია არაბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც იმასაც ცხადყოფს, რომ ლიბიის მოსახლეობის ერთი ნაწილი



NATO-მ პირველად აღიარა ლიბიაში მშვიდობიანი მოსახლეობის შეცდომით დაბომბვა, რაც მის საერთაშორისო პრესტიჟზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედებს

სულაც არ არის კადაფის რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი, როგორც ამის წარმოჩენა დასავლეთის რიგ საინფორმაციო საშუალებებს სურდათ.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ NATO-ს გენერალური მდივანი სათითაოდ სთხოვდა ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურებს თითო-ოროლა საბრძოლო თვითმფრინავის გამოყოფას.

ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ აშშ-მა შეწყვიტა აქტიური სამხედრო მოქმედებები კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ და ბურთი და მოედანი NATO-ს დაუთმო. NATO-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ ერთ-ერთი წერტილოვანი საჰაერო დაბომბვა მაინც შეიწირავდა კადაფის და მისი რეჟიმიც დასრულდებოდა, ან სისტემატური საჰაერო დარტყმებით შეშინებული პოლკოვნიკი თავად დათმობდა ძალაუფლებას. მაგრამ დღემდე არც ერთი მოხდა და არც — მეორე, ამასობაში კი NATO-ს სამხედრო საწყობების (განსაკუთრებით — ძვირად ღირებული მართვადი ბომბებისა და რაკეტების) მარაგი მნიშვნელოვნად შეთხელდა.

აქამდე კრიტიკულ მომენტში NATO-ს ყოველთვის აშშ ეხმარებოდა, რათა ალიანსს სახელი არ შერცხვინა. თუმცა, ახლა რომელ დახმარებაზეა ლაპარაკი, როდესაც აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი პრეზიდენტ ობამას უჩივის ლიბიის ომში პენტაგონის არასამართლებრივად ჩართვის გამო.

საქმე ის არის, რომ 1973 წლის რეზოლუციის თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტს კონგრესის თანხმობის გარეშე საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად ბრძანების გაცემა მხოლოდ 60 დღით შეუძლია.



NATO-ს საბრძოლო ოპერაციებისთვის ქართული არმია გამოდგება, ალიანსის სრულუფლებიანი წევრობისთვის კი თურმე საქართველო მზად არ ყოფილა

პენტაგონის ლიბიის ომში მონაწილეობიდან ორი თვე ჯერ კიდევ 20 მაისს გავიდა, რის შემდეგაც წარმომადგენელთა პალატის ათმა წევრმა (როგორც რესპუბლიკელებმა, ისე დემოკრატებმა) პრეზიდენტ ობამას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და მოითხოვეს, უკანონოდ იქნეს ცნობილი პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილება ლიბიის ომში აშშ-ის ჩართვის შესახებ. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სრული სერიოზულობით მიიღო კონგრესმენთა სარჩელი და განაცხადა, რომ არეულობის დაწყებიდან (2011 წლის თებერვალი) დღემდე აშშ-მა ლიბიის სამხედრო და ჰუმანიტარულ მისიებში 715,9 მლნ დოლარი დახარჯა.

კონგრესმენებისგან გაკრიტიკებული პრეზიდენტი ბარაქ ობამა, სავარაუდოდ, არ იაქტიურებს ლიბიის საქმეში, მით უმეტეს, რომ აშშ-ს ყელზე ადგას ავღანეთი და ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაციაა ერაყში.

ალბათ, ამიტომაც პენტაგონის შეფმა რობერტ გეითსმა არცთუ ორაზროვნად მიმართა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს: — აშშ NATO-ს ანგარიშების 75%-ს იხდის, რაც ჩვენ უკვე მძიმე ტვირთად გვაწვება და თუკი ალიანსს მომავალშიც სურს ფუნქციონირება, კეთილი ინებონ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სხვა წევრებმა და მეტი თანხა გაიღონ NATO-ს შესანახად.

შეინახავს კი აშშ-ის გარეშე თავს NATO? პასუხი შეიძლება უარყოფითი იყოს, მით უმეტეს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დიდი ხანია აწუხებთ ამბიცია, შექმნან „ევროპული კორპუსი“, რომელიც საკუთრივ ევროპული სწრაფი რეაგირების ძალა იქნება და რომელშიც ცხვირს ვერ ჩაყოფს თეთრი სახლი...

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უზარმაზარი საერთაშორისო სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ერთი ხელის დაკვრით, ბუნებრივია, არ დაიშლება, მაგრამ მისი გაფართოების პერსპექტივა ამ ეტაპზე არარეალურია, როგორც ფინანსური პრობლემების გამო, ისე პოლიტიკური მიზეზითაც, კერძოდ, რუსული ფაქტორის გათვალისწინებით.

ყოველივე ეს კი, ჩვენთვის რაც უნდა სამწუხარო იყოს, ძალზე ბუნდოვანსა და თითქმის შეუძლებელს ხდის უახლოეს მომავალში NATO-ში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღებას.

***ირაკლი ალადაშვილი***

# „აგვისტოს 5 დღის“ სამხედრო ლაფსუსები



5 ივნისს, პრემიერის შემდგომ, საზოგადოებას, რომელმაც ნახა ქართულ-ამერიკული მხატვრული ფილმი „აგვისტოს 5 დღე“, თავისი შეხედულებები ჩამოუყალიბდა მასზე.

კინომცოდნეობას არ დავიბრალებთ და ფილმის მხატვრულ ღირსებებზე არ ვისაუბრებთ, მაგრამ იმ საყოველთაო ტრაგედიაზე, რასაც 2008 წლის აგვისტოს ომი ერქვა, ალბათ, უფრო საინტერესო და შინაარსიანი მხატვრული ფილმის გადაღება შეიძლებოდა, მით უმეტეს იმ დაფინანსებით, რაც ოფიციალურად გახმაურდა.

ომის თემასთან დაკავშირებულ მძაფრსიუჟეტიან ფილმში „აგვისტოს 5 დღე“ ბევრია შეიარაღებასა და საბრძოლო ტექნიკასთან დაკავშირებული კადრები, რომლებშიც „არსენალმა“ რამდენიმე შეუსაბამობა აღმოაჩინა.

სულაც არა ვართ ჩასაფრებული და არ გვინდა მაინცდამაინც ნაკლი ვუპოვოთ ფილმს, თუმცა ვფიქრობთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ფილმში წარმოდგენილი სამხედრო სცენების ნიუანსები.

ფილმის დაწყებიდან მეხუთე წუთზე კადრში გამოჩნდება Ми-24П ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი, რომელიც ერაყის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში ქართველი სამხედროების მიერ გადარჩენილი ამერიკელი ჟურნალისტების საევაკუაციოდ დაეშვება. ერაყის ქალაქებში საქართველოს სამხედრო კონტინგენტის იქ ყოფნის (2003-2008 წწ.) პერიოდში ქართველი მებრძოლები, რა თქმა უნდა, მოხვედრილან ასეთ ბრძოლაში, მაგრამ მათ დასახმარებლად არასოდეს მიფრენილან საბჭოთა წარმოების Ми-24-ები. ამერიკული „ბლექ ჰოუკები“ თუ „აპაჩები“, კი ბატონო, მაგრამ „მფრინავი ნიანგის“ გამოჩენა ამ ეპიზოდში მართლაც რომ ნონსენსია, რასაც აძლიერებს კიდევ ერთი დეტალი — Ми-24-ს ქართული შვიდქიმიანი ვარსკვლავი ახატია, რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რადგან ერაყში ქართული საბრძოლო შვეულმფრენები არავის არასოდეს გაუგზავნია.

მძაფრსიუჟეტიანი ფილმის 33-ე წუთზე, კონფლიქტის ზონისკენ მიმავალი ამერიკელი ჟურნალისტებისა და „ქართველი“ გოგონას ავტომანქანას მიაცილებს სამი ამერიკული შეჯავშნული ავტომობილი „ჰამვი“, რომლებშიც ქართველი სამხედროები სხედან.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების განკარგულებაში ჯერ კიდევ არ იყო HMMWV-ის ტიპის M1151A1 მოდიფიკაციის შეჯავშნული ავტომობილები (მათი პირველი პარტია ქართულმა არმიამ ომის შემდგომ, 2009 წლის გაზაფხულზე მიიღო, მეორე პარტია — 40 ავტომანქანა კი ორიოდე კვირის წინ), ასე რომ, ეს სცენა რეალობისგან ძალიან შორს დგას.



2008 წლის აგვისტოს ომს გადარჩენილმა ქართულმა ტანკებმა ფილმში შეტევაზე გადმოსული რუსული ჯავშანკოლონების როლი ითამაშეს

თუმცა უნდა ითქვას, რომ ფილმის სცენარისტებს ეყოთ ცოდნა და არსად გამოაჩინეს ამერიკული ავტომატური კარაბინი M4, რადგან არც ერაყში და არც აგვისტოს ომში (მცირე გამონაკლისის გარდა) ქართულ საბრძოლო დანაყოფებს ის არ გამოუყენებიათ.

45-ე წუთზე დევნილების კოლონას „რუსული“ Ми-24П ცეცხლს უშენს. მართალია, ფილმის პიროტექნიკოსების მიერ მოწყობილი „ჯერების წვიმა“ ნამდვილად არ შეესაბამება ამ შვეულმფრენის ორლულიანი ქვემეხის 30 მმ-იანი ჭურვების მიწაზე აფეთქებას, მაგრამ მთავარი ეს არ არის. კადრში რატომღაც Ми-24П-ს ქვემეხი მარჯვენა კი არა, მარცხენა მხარეს აქვს, იქ, სადაც არასოდეს ჰქონია.

სავარაუდოდ, ეს შეცდომა ფილმის მემონტაჟეებს მოუვიდათ — გადაღებებისას შვეულმფრენი კადრში მარცხნიდან მარჯვნივ მიფრინავდა და ისროდა. მონტაჟის დროს კი საჭირო იყო იმის ჩვენება, თუ კადრში მარჯვნიდან მარცხნივ მიმავალ დევნილებს როგორ მისდევდა „მფრინავი ნიანგი“ და უმოწყალოდ უშენდა ცეცხლს. ამიტომაც სარკისებურად შეატრიალეს მსროლელი შვეულმფრენის კადრი და მისი ქვემეხიც მარცხნივ აღმოჩნდა.

ფილმის 43-ე წუთზე იწყება და შემდეგ უკვე ხშირად ჩანს „რუსული“ T-72 ტიპის ტანკები, რომელთა კოშკურაზე სამციფრიან ნაწერს წინ ლათინური ასო D აქვს (მაგალითად, D428).

არც აგვისტოს ომის დროს, ისევე როგორც მანამდე ან მის შემდგომ, ასეთი წარწერა რუსეთის შეიარაღებული ძალების არა მარტო ტანკებზე, არამედ სხვა ჯავშანტექნიკაზეც არ ყოფილა. სამი ციფრი კი, მაგრამ ლათინური ასოს დაწერას ტანკზე არც ერთი რუსი სამხედრო მეთაური არ დაუშვებს.

კადრში გამოჩნდება (46-ე წთ) შეჯავშნული გამწევი МТЛБ, რომელზეც ორლულიანი საზენიტო ქვემეხი ЗУ-23-2-ია დამონტაჟებული. აგვისტოს ომის დროს ქართულ სოფლებზე შეტევისას ჩეჩნური ბატალიონი მართლაც იყენებდა МТЛБ-ებს, მაგრამ მათზე საზენიტო ქვემეხები არ ყოფილა დამონტაჟებული. მეორე მხრივ, ასეთი ქვემეხები მართლაც იყო სამეგრელოში შეჭრილი რუსული მედესანტეების შეიარაღებაში, მაგრამ ისინი მედესანტეთა ჯავშანტრანსპორტიორ БТР-Д-ებზე იყო დამონტაჟებული.

ალბათ, ნაირსახეობისთვის, რომ ფილმში რუსი აგრესორების შემოტევა უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო, ის ერთ-ერთი МТЛБ გამოიყენეს (ზედ დამაგრებული ЗУ-23-2-ით), რომელიც ქართული არმიის შეიარაღებაშია.

ამავე მოსაზრებით აიხსნება შეტევაზე გადმოსული „რუსული“ ტანკების რიგში ბევრისთვის უცნაური ფორმის მქონე „მონსტრი“ БАТ-2 (გზისგამკვლევი საინჟინრო მანქანა). იგი შეუჯავშანია და ძნელი წარმოსადგენია, ვინმე ჭკუათამყოფელ ოფიცერს ეს მანქანა ტანკებთან ერთად შეტევაზე გაეგზავნა.

დასასრულ, მივიდეთ ფილმის ყველაზე სანახაობრივ კადრამდე, როგორ აგდებს „ქართველი“ ოფიცერი იმ რუსულ შვეულმფრენს, რომელმაც ჟურნალისტებს „აწყენინა“ და მანქანა აუფეთქა.

83-ე წუთზე ოფიცერი იმარჯვებს — ერთჯერად ხელის ტანსაკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნ РПГ-18 Муха-ს (კადრში მოჩანს ყუმბარსატყორცნის ის მოდიფიკაცია, რომელიც ყოფილი ვარშავის პაქტის ერთ-ერთ ქვეყანაში, სავარაუდოდ, ბულგარეთშია დამზადებული) და ზუსტი გასროლით რუსულ Ми-24-ს აგდებს.

უმართავი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნით დაბლა მფრენი შვეულმფრენის ჩამოგდება მართალია შეიძლება, მაგრამ ძალიან ძნელია და ცოტა არადამაჯერებლობის განცდას ტოვებს. რა გაუჭირდათ მრავალმილიონიან ფილმის სცენარისტებს, რომ ქართული არმიის საწყობებიდან ერთი „სტრელა“, „იგლა“ ან სულაც „გრომი“ ენათხოვრათ, მით უმეტეს, რომ ქართული ტანკების, მოიერიშე თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების გადაღება უპრობლემოდ და, ალბათ, უსასყიდლოდაც შეეძლოთ.

ეს სცენარისტებისა და მათი სამხედრო კონსულტანტების სინდისზე იყოს, მაგრამ ამის შემდგომ იწყება ცირკი: აგდებენ საბრძოლო Ми-24-ს, მიწაზე კი სატრანსპორტო Ми-8T ეცემა!

ამ ცეცხლოვანი ტრიუკის გადაღებაზე „არსენალი“ თავის ექსკლუზიურ სტატიაში ჯერ კიდევ გასულ წელს წერდა, თუ როგორ გამოიყენეს „აგვისტოს 5 დღის“ გადაღებისას ორჯერ ჩამოვარდნილი ქართული შვეულმფრენი.

Ми-8T ტიპის შვეულმფრენი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სამოქალაქო ავიაციას ემსახურებოდა, პირველად 1989 წელს გუდაურში ჩამოვარდა, მეორედ 2007 წელს ქუთაისის ავტოქარხნის აეროდრომზე. მეორე ჩამოვარდნის ვიდეოფირმა ინტერნეტის ქსელი მოიარა და ეტყობა, ის არანაკლებმა ადამიანმა ნახა, ვიდრე ენდი გარსიას ფილმები.

ასე რომ, ენდი გარსიაზე არანაკლებ ცნობილმა „კინოგმირმა“, ქართული არმიის დამტვრეულმა Ми-8T ტიპის შვეულმფრენმა, საბორტე ნომრით 43, ფილმში თავისი ბოლო, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი როლი — მიწაზე ეფექ-

ფილმის ერთ-ერთი ეფექტური მომენტი — ქართველი სამხედრო ყუმბარსატყორცნიდან გასროლით მდევარ „ბმვ“-ს ჰაერში სწევს...





ქართველი ოფიცერი ტანკსაწინააღმდეგო „მუხიდან“ რუსულ Ми-24-ს რაკეტას აზვედრებს (ზედა სურათი), მაგრამ მიწაზე რატომღაც სატრანსპორტო Ми-8T ეცემა

ქვედა სურათზე გამოსახული კადრი ყველაზე მეტად შეესაბამება სიმართლეს — ხალხიც და ჯარიც სწორედ ასე არაორგანიზებულად იხევდა უკან...



ტური დანარცხება და აფეთქება განასახიერა (ისე, ეს კადრიც რომ იმდენმა მაყურებელმა ნახოს, როგორც ამ შვეულმფრენის ქუთაისთან მეორედ ჩამოვარდნის ამსახველი ფირი, „აგვისტოს 5 დღე“ ნამდვილად ამოიღებს მრავალმილიონიან დანახარჯს).

აფეთქების მომენტში მრავალტანჯული Ми-8T ენდი გარსიასავით სხვის როლს ასრულებს. ფირის შენელებულად ყურებისას ჩანს, თუ როგორ „ფეთქდება“ კომპიუტერული გრაფიკის მეშვეობით



რაკეტამოხვედრილი რუსული Ми-24, რის შემდეგაც იწყება რეალური გადაღება — ხუთსართულიანი შენობის სახურავიდან აგდებენ ცეცხლწაკიდებულ Ми-8T-ს (იგი სახურავზე ავტოამწეთი აიტანეს), რომლის წინა ნაწილი კუსტარულად გადაკეთებულია (ცხვირში მიდუღებული აქვს მილი, რომელმაც Ми-24-ის ტყვიამფრქვევის იმიტაცია უნდა შექმნას), თუმცა აფეთქებამდე წამით ადრე მსხვილ პლანში ჩანს შვეულმფრენის მრგვალი ილუმინატორები (Ми-24-ის ოთხკუთხედი ილუმინატორები აქვს), რაც ამაოდ აქცევს ფილმის გადამღებთა ცდას „მფრინავ ნიანგად“ შეენიღბათ სატრანსპორტო შვეულმფრენი.

ფილმის გადაღებისას მის მესვეურთ ბევრი პრობლემა მოეხსნათ, მათ შორის ის, თუ სად მოეძებნათ რუსული სამხედრო აგრესიის ამსახველი ჯავშანტექნიკა და ავიაცია.

ქართული არმიის შეიარაღებაში არის თითქმის ყველა ის სამხედრო ტექნიკა, რითაც სამი წლის წინ რუსული არმია გვიტევდა, მათ შორის T-72 ტიპის ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები БМП, ჯავშანტრანსპორტიორები БТР-ები, დამრტყმელი შვეულმფრენები Ми-24-ები და მოიერიშე თვითმფრინავები Су-25-ები.

სწორედ ამიტომაც ფილმში ზემოხსენებული საბრძოლო ტექნიკა ხან შეტევაზე გადმოსულ რუსულ მხარეს ასახიერებს, ხან უკანდახეული ქართული არმიის შეიარაღებას. ტანკების, ჯავშანმანქანების, შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების საჭეებს კი ძირითადად სწორედ ის ქართველი მძღოლები და მფრინავები უსხედან, რომლებიც აგვისტოს ომში რეალურად მონაწილეობდნენ.

ისეთი მძაფრსიუჟეტიანი ფილმების გადასაღებად, სადაც უხვადაა გამოყენებული იარაღი და საბრძოლო ტექნიკა, ფილმის პროდიუსერები სპეციალური ფირმებისაგან ან სულაც ამა თუ იმ ქვეყნის არმიებისგან დროებით ქირაობენ ავტომატებს, ჯავშანმანქანებს, ტანკებსა თუ თვითმფრინავებს. ეს არცთუ ურიგო ბიზნესია. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ფილმში გადასაღებად ერთ კაპრალს დღეში 250 დოლარად „აქირავებს“, სამხედრო ბაზას — 2 ათასად.

„აგვისტოს 5 დღეში“ გამოყენებული სამხედრო ტექნიკის სიუხვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ ქართულ არმიას შეიძლება დაუგეგმავი კარგი შემოსავალი მიეღო და აგვისტოს ომის დანაკარგი მცირედით მაინც შეევსო, მაგრამ მიზეზთა გამო ფილმის გადამღებებისთვის დახმარება, ალბათ, სრულიად უანგარო იყო. პირიქით, მრავალი დუბლის შესრულების გამო მნიშვნელოვნად გაიხარჯა ქართული არმიის ტანკების, ჯავშანმანქანების, შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების ისედაც შეზღუდული მოტორესურსი.

მიუხედავად ყველაფრისა, „აგვისტოს 5 დღეს“ ვუსურვებთ წარმატებას მსოფლიოს კინოთეატრების დარბაზებში და იმედია, მძიმედ მოსაგონარ აგვისტოს ომზე ქართველი რეჟისორები ბევრად საინტერესო (თუნდაც სროლებითა და სამხედრო ტექნიკით ნაკლებად გაჯერებულ) მხატვრულ ფილმებს გადაიღებენ.

***ირაკლი ალადაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა




სარაკეტო კრეისერი „ანციო“ ბათუმში შემოვიდა

# ამერიკული კრეისერების ხმაურიანი ვიზიტები შავ ზღვაში

6-18 ივნისს ოდესამ ამერიკა-უკრაინის ერთობლივ, რიგით მეცხრე სამხედრო-საზღვაო სწავლება Sea Breeze 2011-ს უმასპინძლა. ამ სახის სწავლება 1997 წლიდან ტარდება და მასში NATO-ს წევრი თუ არაწევრი პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობა ნებადართულია.

საქართველო „სი ბრიზში“ 1997 წლიდან მონაწილეობს. პირველად ჩვენი ქვეყანა წარადგინა სოხუმის პორტზე მიწერილმა სასეირნო თბომავალმა „ფსოუმ“, რომელიც ფოთიდან სევასტოპოლში მაშინ სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა, I რანგის კაპიტანმა ოთარ ჩხარტიშვილმა ჩაიყვანა.

იმ დროს სამხედრო-საზღვაო ძალებში სწავლებაზე ქვეყნის ღირსეულად წარდგენისთვის საჭირო საბრძოლო დანიშნულების მცურავი საშუალება არ მოიძებნა და ამიტომაც არჩევანი შეჩერდა სამოქალაქო გემზე, რომლის ერთადერთი შეიარაღება 7,62 მმ-იანი ПК-ს ტიპის ტყვიამფრქვევი იყო.

„სი ბრიზ 2011“-ზე საქართველოდან სანაპირო დაცვის საპატრულო კატარღის გაგზავნა იგეგმებოდა, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო არ მოხერხდა. დასანანია, რომ ჩვენს მეზღვაურებს სწავლებაში მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ.

„სი ბრიზის“ სწავლება ტრადიციულად ანტიამერიკული გამოსვლების თანხლებით მიმდინარეობს. 6 ივნისს, სწავლების ოფიციალურად გახსნის დღეს, მონაწილეებს ორი ათეული მოპიკეტე ტრანსპარანტებითა („იანკი — არა“, „წაეთრიეთ სახლში“) და საბჭოთა ეპოქის სიმღერებით შეხვდა, ბოლოს კი მოპიკეტეებმა NATO-ს დროშა დაწვეს.

ანტიამერიკული ტალღა სევასტოპოლში ბევრად ძლიერია, ამიტომაც უკრაინის ხელისუფლებამ სწავლება ყირიმს მოარიდა და შედარებით წყნარ ოდესაში გადაიტანა.

„სი ბრიზში“ მონაწილეობისთვის 3 ივნისს ოდესას უკრაინული დროშით პირველად ამერიკული სარაკეტო კრეისერი CG-68 Anzio, ხოლო 6 ივნისს კი თურქული სარაკეტო ფრეგატი F242 Fatih-ი და სარაკეტო კატარღები P 332 Mizrak-ი და P 338 Bora ესტუმრა.

7 ივნისს „ანციომ“ ოდესა დატოვა. სამაგიეროდ სწავლებას თურქული ტანკერი A-571 Albay Hakkı Burak-ი და ამერიკული მაშველი გემი ARS-51 Grasp-ი, ხოლო 11 ივნისს კი მეორე ამერიკული სარაკეტო კრეისერი CG-61 Monterey შეუერთდა.

უკრაინამ სწავლებებისთვის 20 ხომალდი, კატარღა და გემი, საზღვაო ქვეითთა გაძლიერებული ბატალიონი (ავტოჯავშანტექნიკის 90 ერთეულით), 4 თვითმფრინავი და 9 შვეულმფრენი გამოყო.

დამუშავდა სხვადასხვა სახის ამოცანები: საზღვაო დესანტის გადასხმა, საემბარგო ოპერაციები და მისი დამ-

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge



რღვევი გემების დაკავება, გემებიდან მეკობრეების მძევლების გათავისუფლება, სამშვიდობო ოპერაციები საჰაერო და საზღვაო ტაქტიკური დესანტის გამოყენებით; საჰაერო დაზვერვა, საჰაერო გადაზიდვები, პირადი შემადგენლობის დესანტირება, საძიებო-სამაშველო მოქმედებები, დაჭრილთა ევაკუაცია და სხვ.

ოდესიდან წამოსული კრეისერი „ანციო“ 9 ივნისს ბათუმში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით შემოვიდა. საზღვაო ვაგზალში ამერიკელ მეზღვაურებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

1995 წლის 16 აგვისტოს ბათუმს პირველად ამერიკული სარაკეტო ფრეგატი FFG-53 Hawes-ი ესტუმრა. „ანციო“ საქართველოს პორტებში ვიზიტად მყოფი რიგით 23-ე ამერიკული ხომალდია, თანაც ასეთი კლასისა და შეიარაღების მქონე ხომალდი ჩვენს ქვეყანას პირველად სტუმრობდა.

ვიზიტს თავისი პრაქტიკული მხარეც ჰქონდა. „ანციოს“ ეკიპაჟმა საქართველოს სანაპირო დაცვის ოფიცრებისთვის ჩვენი საპატრულო კატარღა P-101 „ცოტნე დადიანის“ მონაწილეობით თეორიული და პრაქტიკული წვრთნა ჩაატარა.

„ცოტნე დადიანი“ (ყოფილი WPB-82335 Point Countess) 1962-2000 წლებში ამერიკის სანაპირო დაცვაში მსახურობდა და ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებით 2000 წლის 25 ივნისს ჩვენს სანაპირო დაცვას საჩუქრად გადმოსცეს.

საკმაოდ ასაკოვან კატარღას ამერიკის ფინანსური დახმარებით რემონტი ჩაუტარდა და ახლა ის სრულ მზადყოფნაშია.

12 ივნისს „ანციომ“ საქართველოს ტერიტორიული წყლები დატოვა. იმავე დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შავ ზღვაში კრეისერ „მონტერეის“ ყოფნის თაობაზე შეშფოთება გამოთქვა.

მოსკოვის შეშფოთება კრეისერის სტატუსმა გამოიწვია. „მონტერეი“ 2011 წლის მარტში ხმელთაშუა ზღვაში გაიგზავნა და ევროპული რაკეტსაწინაალმდეგო თავდაცვითი ამერიკული სისტემის შემადგენელ ნაწილად განიხილება.

რუსეთის აზრით, კრეისერის გამოჩენა შავ ზღვაში, საკმაოდ მგრძნობიარე რეგიონში, რამდენიმე შეკითხვას ბადებს: რისთვის იყო საჭირო ასეთი შეიარაღებით აღჭურვილი ხომალდის გამოგზავნა და რა დანიშნულებას ასრულებდა რაკეტსაწინააღმდეგო კრეისერი „სი ბრიზ 2011“-ში?

კომენტარის ბოლოს ითქვა, რომ რუსეთი საკუთარი საზღვრების სიახლოვეს ამერიკული სტრატეგიული ინფრასტრუქტურის ელემენტების გამოჩენას უყურადღებოდ არ დატოვებს და მას საკუთარ უსაფრთხოებაზე მუქარად აღიქვამს.

სარაკეტო თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში ევროპულ რაკეტსაწინა-



საზენიტო რაკეტა „სტანდარდის“ სტარტი

კრეისერი აღჭურვილია მრავალფუნქციური საბრძოლო საინფორმაციო-მართველი სისტემა Aegis-ით, რომელიც საზენიტო, ხომალდსაწინააღმდეგო და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო რაკეტების სამიზნეებზე მაღალი სიზუსტით გაყვანას უზრუნველყოფს



კრეისერის
127 მმ-იანი ქვემეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხომალდსაწინააღმდეგო „ჰარპუნები“

ალმდეგო თავდაცვით სისტემაში შემავალი ხომალდების შავ ზღვაში შემოსვლა ამერიკელებს გათვალისწინებული აქვთ.

„ანციო“ და „მონტერეი“ Ticonderoga-ს სერიის სარაკეტო კრეისერებია. 1983-94 წლებში ამერიკის ფლოტს 27 ასეთი კრეისერი შეემატა. ხუთმა სამსახურის დასრულება უკვე მოასწრო და ახლა რეზერვში ირიცხება.

„ტიკონდეროგას“ სერიის ყველა ხომალდი მრავალფუნქციური საბრძოლო საინფორმაციო-მმართველი სისტემა Aegis-ით არის აღჭურვილი.

სისტემის მთავარი ელემენტი ბრტყელი, ფაზირებული 4 ანტენაა, რომელიც საჰაერო-კოსმოსურ სივრცეზე წრიულ-სადამკვირვებლო დანიშნულებას ასრულებს. ანტენები დაახლოებით 200 კმ-იან რადიუსსა და საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს 320 კმ სიმაღლემდე აკონტროლებენ.

სისტემა „იჯისს“ შეუძლია ორი ასეული სამიზნის ძებნა, აღმოჩენა, თანხლება, სახიფათოების ავტომატურად გამოყოფა და მათზე 18 საზენიტო რაკეტით ზემოქმედება.

კრეისერების შეიარაღებაში შედის ვერტიკალური სტარტის სხვადასხვა მოდიფიკაციის 122 საზენიტო (RIM-161 Standard Missile 3), წყალზედა-სახმელეთო სამიზნეების გასანადგურებელი ფრთოსანი (BGM-109 Tomahawk) და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო (RUR-139A ASROC) რაკეტა.

გარდა ამისა. ხომალდების კიჩოზე განლაგებულია რვა RGM-84 Harpoon-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა.

მოსკოვი შავ ზღვაში NATO-ს ქვეყნებისა და განსაკუთრებით ამერიკული ხომალდების შემოსვლას ყოველთვის ავადმყოფური ეჭვით უყურებს, რომლითაც ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში დაავადდა.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობის შემდეგ შავი ზღვის ფლაგმანი სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ 23 აგვისტოს სევასტოპოლში დაბრუნდა.

როცა ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჰუმანიტარული ტვირთით ბათუმისკენ სარაკეტო-საესკადრო ნაღმოსანი DDG-74 McFaul-ი წამოვიდა, სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“ სასწრაფოდ სევასტოპოლიდან გამოიგზავნა და 27 მაისს ოკუპირებულ სოხუმთან სხვა ხომალდების თანხლებით ხელმეორედ გამოჩნდა.

ამით მოსკოვმა დასავლეთს აგრძნობინა, რომ შავი ზღვა მის ინტერესთა სფეროში შედის და იქ სხვა ქვეყნის სამხედრო ხომალდების გამოჩენას საფრთხედ აღიქვამს.

20-23 ივნისს ბათუმში მეორე ამერიკული სარაკეტო კრეისერი CG-61 Monterey იმყოფებოდა.

ამგვარი ვიზიტები ქვეყნის პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად საქართველოს გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმესაც წაადგება.

**თემურ ჩაჩანიძე**



სარაკეტო კრეისერი „ანციო“ ოდესის პორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თანამედროვე რუსული ავიაცია საქართველოს საზღვრებთან

## საქართველო-რუსეთის საზღვრის ახლოს მოსკოვი შედარებით თანამედროვე ბომბდამშენებსა და დამრტყმელ შვეულმფრენებს უყრის თავს

2008 წლის აგვისტოს რუსეთმა საქართველოსთან ომში, ძირითადად, მოძველებული შეიარაღება გამოიყენა, თუმცა იმ დღეებში საბრძოლო ნათლობა მიიღო Искандер-М-ის ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსებმა და როგორც ახლა ირკვევა, შეიძლება Су-34 ტიპის საფრონტო ბომბდამშენებმაც.

ყოველ შემთხვევაში რუსულ მასმედიაში გამოჩნდა მწირი ცნობა იმის შესახებ, რომ აგვისტოს ომში ერთმა Су-34-მა წარმატებული საბრძოლო ფრენები შეასრულა.

იმ პერიოდისთვის რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში მხოლოდ ხუთი ასეთი საფრონტო ბომბდამშენი იყო, რომლებიც ლიპეცკსა და აქტიუბინსკში გადიოდნენ საფრენოსნო გამოცდას. სავარაუდოდ, სწორედ ერთ-ერთი მათგანი გამოიყენეს ჩვენს წინააღმდეგ. ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ როდის და სად მოგვაყენა საჰაერო დარტყმა აგვისტოს ომში ამ რუსულმა Су-34-მა, არ არსებობს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ მის მიერ გაშვებულმა „ჰაერი-რადიოლოკატორი“ კლასის მართვადმა რაკეტამ ააფეთქა თბილისის ზღვასთან განთავსებული აერონავიგაციის რადიოლოკატორი.

2010 წელს ამ ხუთ Су-34-ს კიდევ დაემატა ოთხი ამავე ტიპის საფრონტო ბომბდამშენი, რომლებიც უკვე სერიული წარმოებისაა. დაგეგმილია, რომ ეს ოთხი სერიული Су-34 ქ. ვორონეჟთან, ბალტიმორის ავიაბაზაში განთავსდება.

2008 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ „სუხოის“ საავიაციო კომპანიას 32 ერთეული საფრონტო ბომბდამშენი Су-34 შეუკვეთა, რომელთა

პირველი Ми8АМТШ, რომელიც ულან-უდეს ქარხნიდან კორენოვსკის საჰაერო ბაზამ მიიღო



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩვენი დოსიე:** დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-28Н-ის მაქსიმალური სიჩქარე 324 კმ/სთ-ია, იგი 500 კმ-მდე მიფრინავს და ერთი 30 მმ-იანი ქვემეხის (300 ჭურვით) გარდა შეიარაღებული 1605 კგ საერთო მასის ბომბებითა და რაკეტებით. შეუძლია 16 მართვადი ტანკსაწინაალმდეგო რაკეტის (Штурм-ისა ან უფრო თანამედროვე Атака-В-ს) გამოყენება. ბუდიონოვსკიდან და კორენოვსკიდანაც არცთუ ისე შორია საქართველომდე, მაგრამ ყველაზე რეალურია, რომ უახლოეს მომავალში ამ ბაზებიდან ახალ Ми-28Н-ებს რამდენიმე თვით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საველე აეროდრომზე (რომელიც ჯავის რაიონშია) განათავსებენ.

მიწოდება სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის 2013 წელს უნდა დამთავრდეს.

გასული წლიდან რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა მოდერნიზებული Су-27СМ3 ტიპის გამანადგურებლებისა და მრავალდანიშნულების Су-30М2-ების მიღება დაიწყეს. 2009 წლის ხელშეკრულების თანახმად, უახლოეს პერიოდში მიიღებს 64 ახალ გამანადგურებელს — 48 Су-35С-ს, 12 Су-27СМ3-სა და ოთხ Су-30М2-ს. კონტრაქტის ღირებულება 80 მლრდ რუსულ რუბლს აღწევს.

არსებული ინფორმაციით, 2011 წლის თებერვალში ოთხი მოდერნიზებული გამანადგურებელი Су-27СМ3 გადაიყვანეს კრიმსკის საჰაერო ბაზაში. წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 8 ცალი Су-27СМ3-ის გაგზავნა.

2005 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ შეუკვეთა 67 ცალი დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-28Н, რომლებიც 2014 წლამდე უნდა მიიღოს შეიარაღებაში. 2008 წელს პირველი ოთხი სერიული Ми-28Н ტორჟსკის საბრძოლო გამოყენებისა და გადამზადების ცენტრს გადაეცა (რას წარმოადგენს ეს ცენტრი, კარგად იციან იმ ქართველმა პილოტებმა, რომლებიც Ми-24-ებზე ფრენას სწორედ ტორჟსკში სწავლობდნენ „ვარდების რევოლუციამდე“. თუკი ისინი ჯერ კიდევ მსახურობენ ქართულ არმიაში, ბევრი საინტერესო დეტალი შეუძლიათ გაიხსენონ).

2009 წელს აიგო 12 ცალი Ми-28Н, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში, ცნობილ ბუდიონოვსკის საჰაერო ბაზაში განათავსეს, სადაც მათ მოძველებული Ми-24-ები უნდა შეცვალონ.

2010 წელს ბუდიონოვსკის ბაზამ დამატებით 15 ცალი Ми-28Н მიიღო, ხოლო კორენოვსკის საჰაერო ბაზამ კი 8 ერთეული.



საქართველოს ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:** სატრანსპორტო-მოიერიშე შვეულმფრენი Ми-8АМТШ, რომელსაც Терминатор-საც უწოდებენ, Ми-8-სგან განსხვავებით კარგად არის შეჯავშნული და შეიარაღებული და 32 მებრძოლის გადაყვანა შეუძლია. შვეულმფრენის თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურა ღამით ფრენისა და მართვადი რაკეტების გამოყენების საშუალებას იძლევა.

შვეულმფრენის საბრძოლო დატვირთვა 6 პილონზე 1400 კგ-ს შეადგენს. შეიარაღების ერთ-ერთი ვარიანტია სამი ტყვიამფრქვევი (მათ შორის — ორი მსხვილკალიბრიანი) და ექვსი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა. ეს მოდერნიზებული შვეულმფრენები იმით არიან სახიფათო, რომ შეუძლიათ ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს ტერიტორიაზე ხეობების (ისე, რომ ვერ დააფიქსიროს რადიოლოკატორებმა) შემოფრენა და სადაზვერვო-დივერსიული ან მოიერიშე ჯგუფების გადმოსხმა, მაგალითად, პანკისის ხეობაში.



გასულ წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ კიდევ 30 ცალი Ми-28Н შეუკვეთა. ეს კონტრაქტი 2015 წლისთვის უნდა შესრულდეს, რის შემდეგაც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში არანაკლებ 97 ერთეული Ми-28Н იქნება, რომელთა უდიდესი ნაწილი ჩრდილო კავკასიაში, საქართველოს საზღვრის შორიახლოს განთავსდება.

2010 წელს ბუდიონოვსკისა და კორენოვსკის საჰაერო ბაზებში განთავსდა 22 ერთეული მოდერნიზებული სატრანსპორტო-მოიერიშე შვეულმფრენი Ми-8АМТШ.

შეიძლება ვინმეს ეს ჩამონათვალი მოსაწყენად მოეჩვენოს, მაგრამ ცნობა იმის შესახებ, რა ახალი საბრძოლო თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით შეივსო საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის ახლოს განთავსებული რუსული საჰაერო ბაზები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის, რათა საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში სახიფათო სიურპრიზები თავიდან აიცილოს.

***ირაკლი ალადაშვილი***

**ჩვენი დოსიე:** თანამედროვე რუსული საფრონტო ბომბდამშენი Су-34 გამანადგურებელი Су-27-ის ბაზაზეა შექმნილი. მან მოძველებული საფრონტო ბომბდამშენი Су-24М (რომელსაც მოსკოვი აქტიურად იყენებდა აგვისტოს ომში და ორი მათგანი ჩამოუვარდა კიდეც) უნდა შეცვალოს. 44-ტონიანი Су-34 11 კმ სიმაღლეზე მაქსიმალური 1900 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავს, დაბალ სიმაღლეზე კი — 1400 კმ/სთ-ით. მის შეიარაღებაშია ერთი 30 მმ-იანი ქვემეხი 180 ჭურვით. საბრძოლო დატვირთვას მაქსიმალური მასა 8 ტ-ს აღწევს, ნორმალური 4 ტ-მდეა. 12 პილონზე ბომბდამშენს მიაქვს სხვადასხვა ტიპის უმართავი და მართვადი ბომბები და რაკეტები. საბრძოლო დატვირთვის ვარიანტებია: სამი 1500 კგ-იანი; 16 500 კგ-იანი; 36 250 კგ-იანი ან 48 ცალი 100 კგ-იანი ბომბი; Су-34-ს შეუძლია ერთი საბრძოლო გაფრენისას გამოიყენოს 6 ცალი „ჰაერი-რადიოლოკატორი“ კლასის შედარებით თანამედროვე Х-31П მართვადი რაკეტა.

იმის გათვალისწინებით, რომ Су-34-ის საბრძოლო მოქმედების რადიუსი 600-1130 კმ-ია (დამოკიდებულია საბრძოლო დატვირთვასა და ფრენის მარშრუტზე), ხოლო მოზდოკიდან (როგორც წესი, მოსკოვი საფრონტო ბომბდამშენებს ჩეჩნეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ამ სამხედრო აეროდრომიდან იყენებდა) თბილისამდე მხოლოდ 230 კმ-მდეა (პირდაპირი ხაზით), Су-34-ების წყვილს „ჰაერი-რადიოლოკატორის“ კლასის Х-31П-ის რაკეტებით (600 კგ მასის რაკეტას 90 კგ-იანი საბრძოლო ქობინი აქვს და მაქსიმალურ 110 კმ-ზე მიფრინავს) შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის ყველა ჩართული რადიოლოკატორის დაზიანება.

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



აზერბაიჯანი თურქეთთან ერთად 122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Sakarya-ს წარმოებისთვის ემზადება

## აზერბაიჯანი

● 29 ივნისიდან 3 ივლისამდე სანქტ-პეტერბურგში ჩატარდება საერთაშორისო საზღვაო სალონი IMDS-2011, სადაც აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის ერთ-ერთი საწარმო საზღვაო სისტემებსა და წყალქვეშა ნავებისათვის აუცილებელი დოზიმეტრებს წარმოადგენს.

● რუსეთთან გაბალის რადიოლოკაციური სადგურის გამო მიმდინარე მოლაპარაკებაზე ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანი არენდის თანხის გაზრდას მოითხოვს (ამჟამინდელი არენდის სავარაუდო თანხა წელიწადში 7-14 მლნ დოლარია) და წამოაყენებს რამდენიმე წინადადებას გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირების, სადგურის გარშემო მცხოვრები მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემის (გაბალის გარშემო ტერიტორია ტურისტულ ზონად ითვლება), სადგურზე მომსახურე აზერბაიჯანელი სამხედროების რიცხოვნობის გაზრდისა და იმ დასახლებაში, სადაც სადგურის მომსახურე პერსონალი ცხოვრობს, აზერბაიჯანისათვის ძირითად ფუნქციათა გადაცემის თაობაზე. გარდა ამისა, ბაქო სადგურისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდასა და საექსპორტო ღირებულებასთან გათანაბრებას მოითხოვს. ახალ შეთანხმებას ხელი სავარაუდოდ 2012 წლის თებერვალ-მარტში მოეწერება.

● განვლილ მაისის თვეში ყარაბაღში სომხეთის არმიამ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 80-ჯერ დაარღვია. დაიღუპა 2 აზერბაიჯანელი სამხედრო და 2 დაიჭრა. ყველაზე მეტი — 25 დარღვევა ფიზულის რაიონში აღინიშნა, სადაც მცირე ინტერვალებით სროლები 15-30 წუთს გაგრძელდა. სულ ხუთ თვეში სომხეთის არმიამ ცეცხლი 276-ჯერ გახსნა, რასაც 8 აზერბაიჯანელი სამხედროსა და 1 ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. გარდა ამისა, შეტების ხაზის ახლოს ნაღმზე აფეთქდა ორი კაცი და ერთი დაიღუპა.

წითელი ჯვრის ორგანიზაცია აზერბაიჯანელი და სომეხი სამხედრო ტყვეების ბედით არის დაინტერესებული



● თურქული კომპანია Roketsan-მა დაიწყო აზერბაიჯანის შეკვეთის შესრულება და რეაქტიული ჭურვების პირველ პარტიას აზერბაიჯანის არმია 2011 წლის ბოლოს — 2012 წლის დასაწყისში მიიღებს. მოლაპარაკება ერთობლივ წარმოებაზეც მიმდინარეობს. თურქეთი 107 მმ-იანი (TR 107) და 122 მმ-იანი (TR 122) რაკეტების ძრავებს დაამზადებს, ხოლო ქობინების, საბოლოო აწყობასა და რაკეტების გასაშვებ დანადგარებზე პასუხისმგებელი აზერბაიჯანი იქნება. ბაქოს ასევე სურს თანამშრომლობა Roketsan-თან ტანკსაწინაალმდეგო სარაკეტო სისტემების UMTAS-ისა (სამოქმედო მანძილი 8 კმ) და OMTAS-ის (სამოქმედო მანძილი 4 კმ) წარმოების საქმეში.

● გასულ თვეში ANAMA-ს სპეციალისტებმა ქვეყნის ტერიტორიის 2.238.519 კვმ ფეთქებადსაშიში საგნებისაგან გაასუფთავეს და 4.222 აუფეთქებელი საბრძოლო მასალა, 2 ტანკი და 1 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი გააუვნებლეს. სულ კი ფეთქებადსაშიში საგნებისაგან 162.769.632 კვმ ტერიტორიაა გასუფთავებული და 659.259 აუფეთქებელი საბრძოლო მასალაა გაუვნებლებული.

● იორდანიული კომპანია NP Aerospace Jordan-თან ხელი მოეწერა შეთანხმებას ჯავშანჟილეტებისა და მუზარადების წარმოებაზე. იორდანია აზერბაიჯანს უზრუნველყოფს 15 ათასი მუზარადის დამზადებისთვის აუცილებელი კომპოზიტური მასალებითა და 12 ათასი ჯავშანჟილეტისთვის საჭირო კერამიკული ფილებით. წარმოების დაწყება 2012 წლისთვის არის დაგეგმილი.



ვლადიკავკაზში რუსეთის შინაგანი ჯარის ინსტიტუტი დაიხურა

## სომხეთი

● თავდაცვის მინისტრის პრესმდივნის დავიდ კარაპეტიანის თქმით, შეიარაღებულ ძალებს სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები ემსახურებიან და ყველაფერი კეთდება, რომ სამხედრო მოსამსახურეებზე უცხო სექტების ზემოქმედება შეაჩერონ. ასეთი განცხადების გაკეთება საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ხმა, რომ სამხედრო ნაწილების მეზობლად მორმონები საქმიანობენ.

● 2010 წელს სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით 49 კაცი გაასამართლეს. გენერალური პროკურორის მოადგილე არამ თამაზიანის თქმით, 461 კაცმა, რომლებიც სამხედრო სამსახურს თავს არიდებდნენ და იძებნებოდნენ სამართალდამცველ ორგანოებში, ნებაყოფლობით გამოცხადდნენ. კანონის შესაბამისად, 510-მა კაცმა ჯარიმების სახით თავდაცვის სამინისტროს სპეცანგარიშზე 483 მლნ დრამი (1 მლნ 285 ათასი დოლარი) გადარიცხა.

● საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა მოინახულეს აზერბაიჯანელთა ტყვეობაში მყოფი 3 სამხედრო და 5 სამოქალაქო (ხუთივე ერთი ოჯახის წევრები არიან) პირი და მათ წერილები გადასცეს. სამხედროები აზერბაიჯანელებს 2009 წელს ჩაპბარდნენ და მათ მესამე ქვეყანაში გასვლა სურთ.

## ჩრდილო კავკასია

● სპეცსამსახურებმა შეადგინეს სია იმ 52 ბოევიკისა, რომლებიც მზად არიან რუსეთის ნებისმიერ წერტილში ტერაქტების მოსაწყობად. ამ სიაში ყველაზე აქტიურად დაღესტნისა და ყაბარდო-ბალყარეთის, ხოლო შემდეგ სტავროპოლის მხარის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ჩეჩნეთის მცხოვრებნი არიან წარმოდგენილი. მათ შორის 5 ქალია. ყველაზე ახალგაზრდა — აიგულ აბდულაევა 16 წლისაა, ხოლო ყველაზე ასაკოვანი, 51 წლის ლიუბოვ მალსაგოვაა, რომელმაც ქმრის დაღუპვის შემდეგ თვითმკვლელ-ტერორისტობა გადაწყვიტა.

● რუსეთის შს მინისტრის რაშიდ ნურგალიევის განცხადებით, განვლილ ხუთ თვეში ჩრდილოეთ კავკასიაში 193 ბოევიკი და მათ შორის 19 მეთაურია განადგურებული, ხოლო 24 კი — სამართალდამცველებს ნებით ჩაბარდა. ბრუნვიდან ამოღებულია 84 ყუმბარსატყორცნი, 607 ცეცხლსასროლი იარაღი, 580 ხელყუმბარა, 240 კგ ფეთქებადი მასალა და 127 ათასზე მეტი ვაზნა. მიუხედავად ამისა, დანაშაულის კლების ტენდენცია მაინც არ შეიმჩნევა. შეტაკებებში სამართალდამცველებისა და ფედერალური შეიარაღებული ძალების 74 მოსამსახურე დაიღუპა და 179 დაიჭრა.

● 2011 წლიდან აბიტურიენტთა მიღება და არსებობა შეწყვიტა ვლადიკავკაზის რუსეთის შინაგანი ჯარების ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ინსტიტუტმა, ხოლო კურსანტებს სხვა მსგავს სასწავლებლებში გადაანაწილებენ.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● მაისში ჩატარდა მე-3 ცალკეული სამთომსროლელი ბატალიონის ტაქტიკური სწავლებები საარტილერიო ქვედანაყოფთან ერთად, რომელიც „ცაბალის“ პოლიგონზე საბრძოლო სროლებით დასრულდა.

● საოკუპაციო ჯარებმა ნაბაკევი-ქვემო ბარღების გზაზე სოფელ ხურჩიდან 15 კმ-ში სოფელ მარჩხაფონთან (ყოფილი სოფელი განახლება) კიდევ ერთი პოსტი გახსნეს.

**თეიმურ ჩახანიძე**

მაისში აფხაზმა სეპარატისტებმა მორიგი სამხედრო სწავლება ჩაატარეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი კა-გე-ბეს არსენალში

**სხვა ქვეყნების შიდაპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ხელის ფათური ყველა ქვეყნის სპეცსამსახურების ერთ-ერთი „სასიამოვნო“ მოვალეობაა. მათ შორის გამორჩეული ყოველთვის კა-გე-ბე იყო. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, ალბათ, ქვეყანა არ დარჩენილა, სადაც კა-გე-ბესა და გრუ-ს რევოლუციის „ექსპორტი“ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა არ მოენდომებინათ. მიზანს კი ხან აღწევდნენ, ხან ვერა.**

**საბჭოთა სპეცსამსახურებს განსაკუთრებით მაინც „ძირმომპალი კაპიტალიზმის“ ლიდერი ქვეყნების შიდაპოლიტიკური სამზარეულო აინტერესებდათ. ახალ საარქივო მასალებსა და მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით გაგაცნობთ, თუ როგორ აფინანსებდა ათწლეულების მანძილზე საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ საბოტაჟსა და დივერსიებს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში.**



იოსებ სტალინს, იგივე „კობას“ ახალგაზრდობაში მრავალი ექსი ჰქონდა ჩატარებული

## ყალბი დოლარები მსოფლიო რევოლუციისთვის

საბჭოთა დიქტატორი იოსებ სტალინი რომ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული იყო, საყოველთაოდ ცნობილია. ახალგაზრდობაში რევოლუციის საქმისთვის კამოსთან ერთად მრავალი ექსი (ანუ მარტივად — ყაჩაღობა) ჰქონდა წარმატებით ჩატარებული. დოკუმენტები ადასტურებს, რომ სტალინი არანაკლები გაქანებით ხელმძღვანელობდა იმპერიალისტურ ქვეყნებში ფულად-საკრედიტო სისტემის შესარყევ ტერორისტულ-დივერსიული ოპერაციების დაგეგმვა-შესრულებას.

ბუნებით ეჭვიანი არავის ენდობოდა — ყველაფერს თავად ეცნობოდა და აკონტროლებდა. სპეცსამსახურები მნიშვნელოვანი ოპერაციების ოპერატიულ საკითხებს აუცილებლად მასთან ათანხმებდნენ და წარმოდგენილ გეგმებში სტალინს მნიშვნელოვანი შესწორება-შენიშვნები შეჰქონდა, ხშირად კი თვითონ სთავაზობდა ორიგინალურ იდეებს.

20-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირს შავი დღეები დაუდგა. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს მოსკოვთან, თან ეკონომიკური სანქციებიც დაუწესეს. საბჭოთა იმპერია უცხოური ვალუტის გარეშე დარჩა. საზღვარგარეთ სურსათისა და მანქანა-დანადგარების შესაძენი ფულიც კი არ ჰქონდა. საბჭოთა დაზვერვაც მტკივნეულად განიცდიდა უცხოური ვალუტის ნაკლებობას.

ამ რთულ ვითარებაში „კობამ“ გაიხსენა, რომ: ნაპოლეონ ბონაპარტი ცნობილი „ყალბისმქმნელი“ იყო — საფრანგეთის მთავრობაში შექმნა სპეციალური დაწესებულება, რომელიც 1806-1812 წლებში ფარულად ბეჭდავდა ავსტრიულ, პრუსიულ, ინგლისურ თუ რუსულ ბანკნოტებს და ამით ომის დაფინანსებასთან ერთად ამ ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემას არყევდა. „ეკონომიკური ომის“ ამ მეთოდს შემდგომში იაპონია – რუსეთის, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანია საფრანგეთისა და ინგლისის წინაალმდეგ იყენებდა.

საბჭოთა ბელადმა ყალბი დოლარების დაბეჭდვისა და გასაღების ოპერაციის ჩატარება სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელს, გენერალ იან ბერზინს დაავალა. საბჭოთა მზვერავები დავალების შესრულებას შეუდგნენ. როგორც გაირკვა, ყალბი ბანკნოტების ბეჭდვის ტექნიკური მხარე უფრო იოლი საქმე იყო, ვიდრე მისი ფარული გასაღება. ვარშავა, ჟენევა, ბუქარესტი, ბერლინი, ვენა, სოფია და ბელგრადი საბჭოთა კავშირში დაბეჭდილი ყალბი ასდოლარიანების გასაღების ცენტრებად იქცნენ.

„ქაღალდის ომს“ საბჭოთა სამხედრო დაზვერვის რეზიდენტები ხელმძღვანელობდნენ. კუპიურები აშშ-დან ჩამოტანილ სპეციალურ ქაღალდზე იბეჭდებოდა. ბეჭდვის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ სპეციალური აპარატურის გარეშე სიყალბის გამოვლენა შეუძლებელი გახლდათ.

ყალბი ფულის გასაღების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი კომუნისტური პარტიების ფარული წევრები: გერმანიაში – ფრანც ფიშერი, ხოლო აშშ-ში – ვალენტინ ბარტენი.

საბჭოთა დაზვერვამ სხვადასხვა ოპერატიული კომბინაციით და აგენტ პაულ როტის მონაწილეობით ბერლინში მდებარე 1848 წელს დაარსებული კომერციული ბანკის „სას და მარტინის“ შეძენა მოახერხა. ყალბი დოლარები შემდეგი სქემით თეთრდებოდა: ბანკნოტები ჯერ გერმანიის „დოიჩე ბანკში“, ხოლო იქიდან კი აშშ-ში „ნეშნლ სიტი ბანკში“ ხვდებოდა.

მეორე სქემა უკვე მთლიანად კრიმინალური იყო. ამერიკის სხვადასხვა ქალაქში (უმთავრესად ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესში, ნიუ-იორკში და სხვ.) მოქმედი საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ლეგალური და არალეგალური რეზიდენტები უკავშირდებოდნენ სანდო შუამავლებს, რომლებიც ფულის გასათეთრებლად ადგილობრივ ბანდიტურ დაჯგუფებებს იყენებდნენ.

„ჯენტლმენური“ შეთანხმებით ყოველი ყალბი ასი დოლარიდან სამოცდაათი საბჭოთა მხარეს უნდა დაჰბრუნებოდა.

1929-1934 წლებში საბჭოთა დაზვერვამ სხვადასხვა სქემით რამდენიმე ათეული მილიონი ყალბი დოლარი გაასაღა. სტალინის დასახული ამოცანა შესრულდა და ბევრმა საბჭოთა მზვერავმა ვადამდელი წოდება, ფასი-

ანი საჩუქარი და დაწინაურება მიიღო. თუმცა მათ არ იცოდნენ, რომ „ხელმწიფის“ წყალობა თუ კეთილგანწყობა ძალზე სახიფათოა — საბჭოთა სამხედრო მზვერავთა უმრავლესობა 1937-1938 წლების დიდ რეპრესიებს ემსხვერპლა.

## „თქვენ გაიფიცეთ, ჩვენ გადავიხდით“

დიდი ბრიტანეთის იმპერია, მიუხედავად მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ერთგვარი დაძაბუნებისა, მაინც ითვლებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის „ბურჯად“. აქედან გამომდინარე, მის წინააღმდეგ მოქმედება და რევოლუციის ექსპორტი ან თუნდაც ეკონომიკური ზარალის მიყენება საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის „დიადი მიზანი“ და საპატიო ამოცანა იყო. წითელი რევოლუციის პირველივე დღიდან ბრიტანეთის იმპერიის შერყევის ამოცანა ჩეკას პირადად ლენინმა დაუსახა. 1920-1930 წლებში საბჭოთა სპეცსამსახურები და კომინტერნი ინგლისში ოპერატიული მუშაობის გასაშლელად ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობისა და საელჩოს უქონლობის გამო საფრად სავაჭრო წარმომადგენლობას, გაზეთებს, სამეცნიერო-სასწავლო და კულტურის ცენტრებს იყენებდნენ. ასე რომ, საბჭოთა სპეცსამსახურების ფარულ ბრძოლას დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამჟამად ჩვენ ამ ბრძოლის მხოლოდ ერთ პერიოდზე, კერძოდ, 1960-1980 წლებზე შევჩერდებით.

საბჭოთა სპეცსამსახურები აპრობირებული მეთოდებით მოქმედებდნენ და პოლიტიკური არასტაბილურობის მისაღწევად ეკონომიკური საბოტაჟისა და დივერსიების ნაცად ხერხს მიმართავდნენ.

იმ პერიოდში ბრიტანეთი გაფიცვებმა მოიცვა: 1966 წელი — მეთევზეთა გაფიცვა, 1970-72 წლები — საზღვაო პორტების დოკერთა გამოსვლები, 1974 წელი — მაღაროელთა გაფიცვები, რომელმაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ედვარდ ჰიტი გადაიყოლა და სხვ.

გაფიცვებისა და ქუჩებში უწესრიგობების გამო ენერგო და წყალმომარაგებაში შეფერხებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. გაფიცვების გამო მთავრობამ იძულებითი სამდღიანი(!) სამუშაო კვირა შემოიღო.

მხოლოდ ამ ოთხმა გაფიცვამ ქვეყანას დაახლოებით 500 მლნ გირვანქა სტერლინგის ზარალი მიაყენა. გავიდა წლები და გაირკვა, რომ გაფიცვების სულისჩამდგმელი, მთავარი ორგანიზატორი და დამფინანსებელი საბჭოთა სპეცსამსახურები იყვნენ. გორდიევსკის, მიტროხინისა და საბჭოთა სპეცსამსახურების სხვა ვეტერანების მოგონებებიდან ცნობილია იმ პოლიტიკოსთა, პროფკავშირული ლიდერებისა თუ სხვა მოღვაწეთა გვარები, რომლებიც საბჭოთა სპეცსამსახურების ინფორმატორები და აგენტები (მათ შორის — ე. წ. გავლენის აგენტები) იყვნენ და გაფიცვების პროცესებს აშკარად თუ ფარულად ხელმძღვანელობდნენ. ეს ინფორმაცია კა-გე-ბეს საიდუმლო არქივებიდან მოპოვებული დოკუმენტებიდანაც დასტურდება, რაზედაც ქვემოთ მოგითხრობთ.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ელიტაში ოპერატიული მუშაობა კა-გე-ბემ და გრუ-მ განსაკუთრებით 60-იანი წლების დასაწყისში გააქტიურეს.

სამოქმედო სქემა ასეთი იყო: სპეცსამსახურების ხელმძღვანელები მოხსენებითი ბარათით მიმართავდნენ „ინსტანციას“ (სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს) და რომელიმე ქვეყანაში ოპერატიული საქმიანობის გააქტიურების წინადადებებს წარუდგენდნენ. გარკვეულ პერიოდის შემდეგ ეს წინადადებები პოლიტბიუროდან უკვე დავალებების და ნებართვის (სანქციის) სახით სპეცსამსახურებს უკან უბრუნდებოდათ. ფაქტობრივად, სპეცსამსახურები თავად ახდენდნენ კონკრეტულ ქვეყანაში კონკრეტული დავალების მიღების ინსპირირებას.

დიდ ბრიტანეთში უმთავრესი ამოცანა ინგლისის კომპარტიისა და სხვადასხვა დარგობრივი პროფკავშირის დაფინანსება და თანხის (როგორც წესი, ნაღდი კუპიურების) გადაცემა იყო. თანხის ოდენობის საკითხი უშუალოდ პოლიტბიუროს სხდომაზე წყდებოდა. იქვე იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი საბჭოთა სპეცსამსახური შეასრულებდა დავალებას. პრობლემა იყო ქვეყანაში თანხის შეუმჩნევლად შეტანა და პარტიული თუ პროფკავშირული ლიდერებისთვის გადაცემა. ეს პროცესი მაქსიმალურად კონსპირაციულად უნდა ჩატარებულიყო, რათა არ გამოაშკარავებულიყო მოსკოვის ზეაქტიური მონაწილეობა დიდი ბრიტანეთის საშინაო საქმეებში.

ბრიტანეთში საბოტაჟისა და გაფიცვების სცენარები მოსკოვში იწერებოდა, „რეჟისორები“ — კა-გე-ბეს თანამშრომლები, ხოლო უშუალო შემ-



**„კა-გე-ბე“ დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკური დივერსიებისა და საბოტაჟის ორგანიზებისათვის ფულს არ იშურებდა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებლები — კა-გე-ბეს ბრიტანელი აგენტები იყვნენ. საიდუმლო ოპერაციებს კა-გე-ბეს ლონდონის რეზიდენტურა ხელმძღვანელობდა.

ძირითადი საქონტაქტო პირი, ვინც თანხებს ათწლეულების მანძილზე ფარულად იღებდა, დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივნის თანაშემწე რუბენ ფალბერი იყო. ის გამოცდილი ჯაშუშისათვის დამახასიათებელი კონსპირაციულობით გადიოდა საბჭოთა მზვერავებთან შეხვედრაზე, ნაღდი ფული ჩანთით შინ მიჰქონდა და სპეციალურად მოწყობილ სამალავში ინახავდა. შემდეგ ამ თანხებით აფინანსებდნენ აგიტატორთა სპეციალურ ჯგუფებს, რომელთაც სულ ახალ-ახალი გაფიცვების მოწყობა ევალებოდათ.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ კონსერვატიული და ანტიკომუნისტური შეხედულებებით გამორჩეულ ინგლისში საბჭოთა სპეცსამსახურები აგენტურას დიდი წარმატებით „ავერბოვკებდნენ“ საზოგადოების ყველა ფენაში — თვით ყველაზე არისტოკრატიულშიც კი.

თავად განსაჯეთ, 70-იან წლებში ლონდონის რეზიდენტურის თანამშრომელ ვიქტორ კუბეიკინს ოპერატიულ კავშირზე ჰყავდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის და პროფკავშირული მოძრაობის მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე. მათ შორის მემანქანეთა პროფკავშირების გენმდივანი რეი ბექტონი (ოპერატიული ფსევდონიმი „ბარტოკი“) და რიჩარდ ბრიგინშოუ — ტიპოგრაფისტთა პროფკავშირების ლიდერი.

ოლეგ გორდიევსკიმ 80-იანი წლების დასაწყისში აღადგინა კონტაქტი კა-გე-ბეს ინფორმატორთან, სატრანსპორტო მუშაკთა პროფკავშირების გენმდივანთან ჯეკ ჯონსთან, რომელიც რამდენიმე წლით ადრე გადმოიბირა საბჭოთა მზვერავმა მიხაილ ლუბიმოვმა.

კა-გე-ბეს ერთ-ერთი ყველაზე „ძვირფასი“ აგენტი იყო ცნობილი პროფკავშირული მოღვაწე და შემდგომ ინგლისის პარლამენტის წევრი ბობ ედუარდსი, რომელიც 1977-1979 წლებში ევროპარლამენტის(!) წევრადაც იყო არჩეული. მისი აგენტურული წარმატება სათანადოდ დააფასეს მოსკოვში და „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით დააჯილდოეს.

ბობ ედუარდსი გადმოიბირა და მისი უცვლელი კურატორი იყო მაიორი ლეონიდ ზაიცევი. წლების შემდეგ ის უკვე კა-გე-ბეს „ტ“ სამმართველოს (სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა) უფროსი და გენერალ-მაიორი გახდა, მაგრამ აგენტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგენტთან კავშირზე მაინც პირადად გადიოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჯიმ სლეიტერი, მეზღვაურთა პროფკავშირების ერთ-ერთი ლიდერი, კა-გე-ბემ საბჭოთა კავშირში პროფკავშირული დელეგაციის მოგზაურობისას გადმოიბირა მრავალგზის აპრობირებული მეთოდით, რომელიც იმდენად ეფექტიანი იყო, რომ ღირს მასზე დაწვრილებით შეჩერება.

უცხოეთის სხვადასხვა დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისთანავე ექცეოდნენ სპეცსამსახურების მეთვალყურეობის მჭიდრო რკალში. აბსოლუტურად ყველა, ვინც მათ ოფიციალურად ხვდებოდა (გიდები, თარჯიმნები, სასტუმროების პერსონალი, სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა პროფკავშირების ფუნქციონერები და ა.შ.) ვალდებული იყვნენ აქტიური პროპაგანდა ეწარმოებინათ უცხოელთა შორის „საბჭოთა მიღწევათა“ შესახებ და იმავდროულად ყურადღებით დაეფიქსირებინათ მათი რეაქცია, შენიშვნები, კომენტარები და ა.შ. ეს ინფორმაცია წერილობითი სახით უნდა წარედგინათ მეორე მთავარი სამმართველოს (კონტრდაზვერვა) მიერ დანიშნული კურატორისთვის. ისინი აანალიზებდნენ ამ ინფორმაციას და არჩევდნენ როგორც გადმოსაბირებელ კანდიდატებს, ასევე კონკრეტულ ხერხებს (შანტაჟი, მოსყიდვა, „იდეური სოლიდარობა“ და ა. შ.). იმავდროულად ხდებოდა შესაძლო აგენტების გამოვლენა.

ვიზიტად მყოფი უცხოელი პროფკავშირების ლიდერების გადმობირებას ხელმძღვანელობდა კა-გე-ბეს პოლკოვნიკი სტეპან კორნეევი. ამავე დროს არც საბჭოთა საგარეო დაზვერვა კარგავდა დროს უქმად — ისინი დიდ ბრიტანეთშივე ცდილობდნენ საკუთარი აგენტურის შექმნას. მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგენტი იყო დერეკ რობინსონი, ინგლისის კომპარტიის აქტივისტი, რომელიც 523 გაფიცვას ედგა სათავეში და მისი წყალობით საავტომობილო მრეწველობამ 200 მლნ გირვანქა სტერლინგი იზარალა. ამ მაჩვენებლებით რობინსონს გინესის რეკორდების წიგნში პირველობას ნამდვილად ვერავინ შეეცილება.

„დიადი ქვეყნის“ ფარული მიზნების განხორციელებაში წვლილი შეჰქონდათ ქართველ ჩეკისტებსაც. ფრედ ჰოლიდეის, მსოფლიო დონის მეცნიერ-არაბისტისა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის გადმობირება დიდი მონდომებისა და მრავალი მცდელობის შემდეგ მხოლოდ იური კობალაძემ, ჟურნალისტის საფარქვეშ მოქმედმა საბჭოთა მზვერავმა შეძლო. ამის შემდეგ ჰოლიდეის სტატიები აშკარად პროსაბჭოთა და ანტიამერიკული გახდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კა-გე-ბეს აგენტები, სანდო პირები და ინფორმატორები იყვნენ: სოციალისტების ლიდერი მაიკლ ფუტი და ლეიბორისტების ლიდერი ფენერ ბროქუეი (კურატორი




ფულის „გათეთრების“ ხერხებსა და გზებს ჯერ კიდევ საბჭოთა „ენ-კა-ვედე“ იყენებდა




ინგლისელი მეშახტეებისა და მუშების გაფიცვებს საბჭოთა „კა-გე-ბე" აფინანსებდა

მიხაილ ბოგდანოვი); პარლამენტის წევრები: ლეიბორისტული პარტიიდან — ფრენკ ელაუნი, ჯეიმს ლეიმონდი და რონ ბრაუნი (კურატორი — ჯერ ლუბიმოვი, შემდეგ გორდიევსკი). გაზეთ „გარდიანის" ჟურნალისტი რიჩარდ გოტი და მრავალი სხვ.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიისა და პროფკავშირების აქტივისტებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენდნენ თავს, საბჭოთა სპეცსამსახურების დახმარებით „კვალიფიკაციის ასამაღლებლად" კუბაში გზავნიდნენ, ხოლო გაფიცვების ორგანიზატორებს — საბჭოთა კავშირის კურორტებზე, სადაც დიდ პატივში ჰყავდათ და დროს ატარებინებდნენ. მოსკოვი არც გაფიცულებსა და მათი ოჯახის წევრებს ივიწყებდა.

## საიდუმლო შეხვედრა ლონდონში

დიდი ბრიტანეთის მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის პრეზიდენტი სკარგილი 1984 წლის 15 ნოემბერს ლონდონში საიდუმლოდ შეხვდა საბჭოთა დიპლომატებს პარშინსა და მაზურს, რომლებიც სინამდვილეში კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) ოფიცრები იყვნენ. შეხვედრის მთავარი თემა გაფიცული მაღაროელებისთვის ფულის მიწოდების უსაფრთხო არხების მოძებნა იყო. სკარგილმა საბჭოთა მხარეს შესთავაზა, ფული შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში მისი პოლიტიკური თანაშემწის, ჰაიატის ანგარიშზე გადაერიცხათ, საიდანაც ირლანდიის ერთ-ერთ ბანკში ჩაირიცხებოდა და ინგლისელი მაღაროელები თანხებს შეუფერხებლად მიიღებდნენ.

ქვემოთ გთავაზობთ ამ შეხვედრის ამსახველი „სრულიად საიდუმლო" დოკუმენტის საინტერესო ამონარიდის თარგმანს.

სკარგილის ინფორმაცია, რომ „მაღაროელთა გაფიცვა ბრიტანეთის მთავრობას უკვე 5 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა", საბჭოთა „დიპლომატებმა" დიდი კმაყოფილებით მოისმინეს და თავის მხრივ დაამატეს:

„საბჭოთა კავშირმა უკვე კარგა ხანია შეწყვიტა ინგლისისთვის ქვანახშირის და მაზუთის მიწოდება".

სკარგილმა ხაზი გაუსვა, რომ „მაღაროელთა პროფკავშირებს გვერდში უდგანან სხვა დარგობრივი პროფკავშირების ლიდერები: რ. ბაქტონი, ჯ. სლეიტერი, ჯ. ჯონსი და სხვები".

„არსენალის" მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ „გვერდში მდგომი" ლიდერები სწორედ საბჭოთა დაზვერვის მიერ გადაბირებული აგენტები იყვნენ.

საბჭოთა დაზვერვის ინფორმაცია მოსკოვში ყურადღებით შეისწავლეს და 1985 წლის 4 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება გრიფით „სრულიად საიდუმლო", სადაც ფულის გათეთრებისა და ინგლისელ მაღაროელთათვის გადაცემის სქემა შემდეგნაირი იყო:

**მოსკოვიდან თანხა გადაირიცხებოდა პოლონეთის სახალხო ბანკში, საიდანაც ნაწილ-ნაწილ შედარებით მცირე ტრანშებად (100-150 ათასი გირვანქა სტერლინგი) ჩაირიცხებოდა დუბლინში (ირლანდია). იქიდან კი სკარგილის ხალხი გაიტანდა. ფულის გადარიცხვის ამგვარი რთული სისტემა მოფიქრებული იყო იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაეფარათ ფულის საბჭოთა წარმომავლობა.**

**ამ არხით საბჭოთა კავშირმა დაახლოებით 1 მლნ გირვანქა სტერლინგი გადასცა გაფიცულებს, რათა მათ გაფიცვა გაეგრძელებინათ. ამ თანხიდან რამდენი შეხვდა უშუალოდ ინგლისელ მაღაროელსა და რამდენი დაილექა პროფკავშირების ლიდერების ჯიბეში, საიდუმლოდ დარჩა.**

## ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო

ინგლისელ მაღაროელთათვის მილიონობით თანხის გადაცემა იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მაშინ, როცა თავად საბჭოთა კავშირში იმდენად უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რომ სასიცოცხლო საჭიროების საკვები პროდუქტები (შაქარი, კარაქი, ხორცი და ა.შ.) და ბენზინი მხოლოდ ტალონებით გაიცემოდა, ისიც დიდ რიგებში ლამისთევის შემდეგ. განა რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ ე. წ. სოციალისტური სისტემა მალევე დაინგრეოდა?

ეს ჭკუის სასწავლი ისტორია ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია. საზოგადოებრივი დაპირისპირების კოცონი ყოველთვის სოციალური „ნაპერწკლიდან" ინთება. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური პრობლემები სამკუთხედში — სახელმწიფო-პროფკავშირები-ბიზნესი — წყდება და სადაც პროფკავშირების პოზიცია გადამწყვეტია. ამიტომაც, ვინც აკონტროლებს პროფკავშირებს, ის ფლობს ქვეყანაში ჯერ სოციალური, ხოლო შემდეგ პოლიტიკური მღელვარების აგორების მძლავრ ბერკეტს.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

# თალიბანი

## განსწავლულ რადიკალ ფანატიკოსთა გაერთიანება



გამოცდილი თალიბები ახალბედებს სროლას ასწავლიან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N12, 2011)

### „თალიბანის“ სტრუქტურა, იდეოლოგია და საბრძოლო ტაქტიკა

სხვა ტერორისტული გაერთიანებების მსგავსად, „თალიბანს“ მეტად რთული სტრუქტურა აქვს, რაც მასთან ბრძოლას დიდად აძნელებს. ორგანიზაციის უმცირესი სტრუქტურული ერთეულია 10 ან 20 მებრძოლისგან შემდგარი ჯგუფი („დალა“); რამდენიმე ასეთი ჯგუფი შეადგენს ე.წ. ურდოს, რომელსაც პუშტუს ენაზე ასევე „ურდუ“ ეწოდება. მას მართავს „მავლავი“, ანუ სულიერი მოძღვარი და „ჯანგიი შურა“, ანუ სამხედრო საბჭო. მავლავიები ერთიანდებიან „სილსილებში“, რომელთაც შეიხები მეთაურობენ. თავის მხრივ, შეიხები შედიან „ულემა შურაში“ — მუსლიმან ღვთისმეტყველთა საბჭოში, რომელიც ტერიტორიული პრინციპით, ორ ფრაქციად იყოფა: „დ-ავღონისტონ ულემა შურა“ და „დ-ვაზირისტონ ულემა შურა“; პირველი ფრაქციის წევრები ავღანეთში მცხოვრები შეიხები არიან, ხოლო მეორისა — პაკისტანში (იქაურ პუშტუნთა მიწებს თალიბები „ვაზირისტანის“ სახელით იხსენიებენ) მცხოვრებნი. შეიხები თავიანთივე რიგებიდან სამუდამოდ ირჩევენ ემირს, ანუ უმაღლეს ლიდერს; ამ უკანასკნელს ათამდე მოადგილეც ჰყავს — ისინი სამხედრო, შარიათის, პოლიტიკურ, შინაგან საქმეთა, ტყვეებისა და ლტოლვილების საქმეთა, დაზვერვის, გადაბირებისა თუ სხვა კომიტეტებს ხელმძღვანელობენ. ემირის გადაწყვეტილებებს „ულემა შურას“ დასტურის გარეშე ძალა არ აქვს.

დაუზუსტებელი მონაცემებით, ავღანეთის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედებს თორმეტი „სილსილა“ — ყანდაარის, ჰილმენდის, ზაბულის, პაქტიკას, ლოღარის, ქაბულის, ნიმროზის, ჰოსთის, ურუზგანის, ნანგარჰარის, ფარახისა და დაიქუნდის; პაკისტანში მოქმედებს ოთხი „სილსილა“ — კვეტის, ფეშავარის, მირამშაჰისა და გირდი-ჯანგლის. „დალა“, ჩვეულებისამებრ, ერთი საგვარეულოს საფუძველზე იქმნება, „ურდუ“ — ტომისა, ხოლო „სილსილა“ კი შესაბამისად — ტომთა კავშირებისა. ამასთან, თითოეულ „ურდუს“ დაზვერვის, ლოჯისტიკის და მოსახლეობის გაკონტროლების დამოუკიდებელი, საათივით აწყობილი სისტემა აქვს. საერთოდ, „თალიბანის“ თითოეული სტრუქტურული ერთეული ფართო ავტონომიით სარგებლობს, ოღონდ ემირისა და „ულემა შურას“ გადაწყვეტილებებს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს. თუ რომელიმე მავლავი ან შეიხი ემირის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, მას „თალიბანიდან“ გარიცხავენ და გაანადგურებენ. ასე მოექცნენ მავლავი მანსურ დადულას, რომელიც 2008 წელს ღვინის დალევის გამო(!) გარიცხეს და „კოლუმბიური ჰალსტუხით“ დასაჯეს.

საინტერესოა, რომ „თალიბანის“ წევრობა მხოლოდ პუშტუნებს შეუძლიათ — რაგინდ ღრმად განსწავლული და ფანატიკოსი მუსლიმანიც უნდა იყოს, „თალიბანში“ არ მიიღებენ, თუკი პუშტუნი არ არის და ზედმიწევნით

არ იცავს პუშტუნური ვაჟკაცობის კოდექსს — „პუშტუნ ვალაის“. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო, ისლამური სამყაროს ბევრი ცნობილი ღვთისმეტყველი თალიბებს „მუნაფიყებად“, ანუ მწვალებლებად მიიჩნევს, რადგან ისლამში მორწმუნეთა ეროვნებას იმთავითვე ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ექცევა. თავის მხრივ, თალიბები თვლიან, რომ „პუშტუნ ვალაი“ მათ თავად ალაჰისაგან, ისლამის წარმოშობის პერიოდში აქვთ ნაბოძები; მათივე შეხედულებით, მსგავსი კანონები ღმერთმა იმ დროს სხვა ხალხებსაც უბოძა, მაგრამ შემდგომში მიწიერმა მმართველებმა მნიშვნელოვანწილად შეცვალეს ისინი ან საერთოდ გააუქმეს. აქედან გამომდინარე, დღეს მხოლოდ პუშტუნებიღა არიან ის ხალხი, რომელიც ღვთის ბოძებულ კანონებს იცავს და სრული უფლება აქვს, „წმინდა ისლამი“ იქადაგოს; ამ მოსაზრების ავტორი იყო მირ ვეის-ხან ჰოთაქი, რომელმაც „წმინდა ისლამის“ გავრცელების საბაბით XVIII საუკუნის დასაწყისში სპარსეთიც კი დაიპყრო და ისფაჰანის ტახტზე ავღანელი შაჰების დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ძლევამოსილი წინაპრისგან განსხვავებით, დღეს თალიბები უცხოტომელთა სახელმწიფოების დაპყრობას არ აპირებენ, მაგრამ ავღანეთსა და პაკისტანს შორის გაყოფილი პუშტუნური მიწების გაერთიანებაზე კი თვალი უჭირავთ: მათი მტკიცებით, მსოფლიოს ყველა პუშტუნი თალიბ ემირს უნდა დაემორჩილოს, რადგან „პუშტუნ ვალაის“ კოდექსის მიხედვით, არაპუშტუნური მმართველობისთვის დამორჩილება პუშტუნისათვის უდიდესი ცოდვაა.

გარდა ამისა, „თალიბანის“ იდეოლოგიის ერთ-ერთი თავისებურება მომთაბარეობისა და „დიდი ოჯახის“ პროპაგანდაა. მათი აზრით, ალაჰმა განსაჯა, რომ ადამიანი ერთ ადგილას სამუდამოდ არ უნდა გაჩერდეს და არც მშობლებისაგან განცალკევებით უნდა იცხოვროს. „პუშტუნ ვალაის“ კოდექსის ამ ორ დოგმას თალიბი შეიხები მუსლიმანების წინასწარმეტყველ მუჰამედის ცხოვრების ერთ-ერთ მონაკვეთს — „ჰიჯრას“, ანუ მექიდან მედინაში გადასვლას უკავშირებენ და განმარტავენ, რომ ვინც მუდმივად ერთ ადგილას ცხოვრობს, შორდება ღმერთს, რომლის დევიზიც მუდმივი მოძრაობაა: „ჩვენი სამშობლოს საზღვრებში მუდმივი გადაადგილებით, ჩვენ ვასრულებთ დიდ ზიქრს და ასე ვადიდებთ ალაჰს“ — განაცხადა ერთხელ მოლა ომარმა. დევბანდიიას მოძღვრება მორწმუნეებს ავალებს, ყოველი თავშეყრისას ჩაატარონ ე.წ. ჩუმი ზიქრი — საათის ისრის საწინააღმდეგოდ, წრეზე იმოძრაონ და გულში ღმერთი ადიდონ. რამდენადაც პუშტუნები მომთაბარეობისას „პუშტუნისტანის“ (ასე უწოდებენ სამხრეთ ავღანეთისა და ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანის მომიჯნავე მიწებს, სადაც ეს ხალხი სახლობს) საზღვრებს არ სცდებიან, ისე გამოდის, რომ წრეზე მოძრაობენ — ე.ი. მომთაბარეობით ადიდებენ ალაჰს. ამასთან, თუ პუშტუნი ბინადარ ცხოვრებაზე გადავა, თავის ტომთან კავშირს კარგავს და იძულებული ხდება, ენაც დაკარგოს — ავღანეთის დიდ ქალაქებში ბინადარი მოსახლეობა ძირითადად სპარსულად (ტაჯიკურ ანუ დარის დიალექტზე) ლაპარაკობს.

თალიბები ავღანეთში მცხოვრებ ტაჯიკებს ენადაკარგულ პუშტუნებად თვლიან და მიიჩნევენ, რომ ისლამურ საამიროში ცხოვრების უფლება მათგან მხოლოდ იმასღა აქვს, ვინც წინაპართა ენას და კულტურას დაუბრუნდება და „პუშტუნ ვალაის“ კოდექსს დაიცავს. სხვათა შორის, 1996-2002 წლებში, თალიბები ქაბულელ ტაჯიკებს მშობლიურ ენაზე საუბარსაც უკრძალავდნენ და დასჯის მუქარით პუშტუ ენაზე გადასვლას აიძულებდნენ. მოლა ომარმა ტაჯიკური პროვინციების აღება რამდენჯერმე სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ასე რომ, ავღანელი ტაჯიკები გენოციდს აჰმად შაჰ მასუდმა გადაარჩინა, რომელიც იმ პერიოდში ანტითალიბურ „ჩრდილოეთის ალიანსს“ მეთაურობდა. ტაჯიკებით დასახლებულ ჩრდილო ავღანეთში თალიბები, რასაკვირველია, არც დღეს არიან.

თალიბების საბრძოლო ტაქტიკას რაც შეეხება: ორგანიზაციის წევრები ამჟამადაც ბრძოლის იმ წესებს იყენებენ, რაც მათმა წინაპრებმა უხსოვარ დროს შეიმუშავეს — ე.წ. „როია სტაი“ გულისხმობს მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად ურდოების გაერთიანებას და მიზნის მიღწევის შემდეგ დაშლას. ამასთან, აუცილებელი არ არის, „როია სტაიში“ მონაწილე ურდოების მავლავიები ერთი „სილსილიდან“ იყვნენ და, რაც ყველაზე საინტერესოა, — შეიძლება ამ დროს პუშტუნები სხვა ერის მებრძოლებსაც კი დაუკავშირდნენ, ოღონდ ეს უკანასკნელნი აუცილებლად სუნიტი მუსლიმანები უნდა იყვნენ. დღეს „თალიბანის“ შეიხები თვლიან, რომ „ალ-ქაიდასთან“ სწორედ „როია სტაის“ წესით არიან დაკავშირებული. საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში მოლა ომარი ამ წესით აჰმად შაჰ მასუდსაც უკავშირდებოდა, მაგრამ 1989 წლიდან, როდესაც საბჭოთა ჯარი ავღანეთიდან გავიდა, ომარისა და მასუდის „როია სტაი“ შეწყდა — ისინი ერთმანეთის დაუძინებელ მტრადაც კი იქცნენ.

საბრძოლო ტაქტიკის მეორე, არანაკლებ ცნობილი ხერხია ნარკობიზნესი — თალიბი შეიხების განმარტებით, ნარკოტიკიც იარაღია, რადგანაც ადამიანს ზიანს აყენებს, თანაც იმაზე მეტს, ვიდრე ტყვია: „დიახ, ჩვენ ვაწარმოებთ ნარკოტიკებს და მას ჩვენს მტრებზე ვყიდით, თუმცა ჩვენ თვითონ, ცხადია, ნარკომანები არა ვართ — ტყვიით, როგორც წესი, მტერს უმასპინძლდებიან, შუბლში კი არ იხლიან. ნარკოტიკიც ტყვიაა, რომელიც მტერს თანდათან კლავს“, — ასე აცხადებდა მოლა ომარი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი



„თალიბანის“ წევრთა შორის ბავშვებიც ბევრნი არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავღანური სამთავრობო ჯარი თალიბების ხაშხაშის პლანტაციას ანადგურებს

წლების ბოლოს. თალიბები მტრის მიერ ოკუპირებულ რაიონებში ნარკოტიკებს განზრახ ხელმისაწვდომ ფასად ყიდიან; ხშირად უფასოდაც კი ავრცელებენ. ავღანეთის 1979-1989 წლების ომის დროს მოჯაჰედებს აგენტურის მეშვეობით საბჭოთა ბანაკებში მარიხუანა შეჰქონდათ და შეტევას მას მერეღა იწყებდნენ, რაც მთელი ბანაკი „დაბოლდებოდა“. ეს ტაქტიკაც ძალიან ძველია — ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის დროს ავღანელები მტრებს ხაშხაშის წვენით, მარიხუანით და მოწამლული შარბათით „უმასპინძლდებოდნენ“. ასე რომ, თალიბები ამ მხრივაც წინაპრების კვალს მიჰყვებიან. იმ პუშტუნს, ვინც ნარკოტიკულ საშუალებებს თვად გამოიყენებს, „პუშტუნ ვალაის“ თანახმად, სიკვდილით დასჯა ემუქრება.

## პოლიტიკური მხარდამჭერები, პროპაგანდის საშუალებანი და დაფინანსების წყაროები

დღეს ავღანეთში „თალიბანის“ პოლიტიკური მოღვაწეობაცა და მისი მხარდაჭერაც, რასაკვირველია, სასტიკად იკრძალება, თუმცა პაკისტანში ამ მხრივ უფრო ლიბერალური განწყობით გამოირჩევიან. დასავლელი ექსპერტების მტკიცებით, თალიბ ტერორისტებს მხარს უჭერს პაკისტანელი პუშტუნების უდიდესი პარტია — „პაკისტანის ისლამის შემსწავლელთა მოძრაობა“ (ურდუს ენაზე: „თაჰრიქ-ი თალიბან-ი პაყესტაან“), რომელიც ამ ქვეყანაში დაახლოებით 1950 წლიდან მოქმედებს. ხსენებულ პარტიას დღეს „პაკისტანურ თალიბანსაც“ უწოდებენ, თუმცა ის „თალიბანზე“ უფრო ძველია და პოლიტიკური გამოცდილებაც დიდი აქვს. რამდენიმე ხნის წინ რუსული მასმედია ირწმუნებოდა, თითქოსდა „ისლამის შემსწავლელთა მოძრაობას“ პაკისტანური სპეცსამსახურები აფინანსებენ, რათა მისი მეშვეობით, „თალიბანთან“ უწყვეტი კონტაქტი ჰქონდეთ. ძნელი სათქმელია, სიმართლეა თუ არა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ პაკისტანის პუშტუნურ პროვინციებში (ხაიბერ-პახტუნხვა და ე.წ. „ტომთა კავშირების ზონა“) მთელი ხელისუფლება „პაკისტანის ისლამის შემსწავლელთა მოძრაობის“ ხელშია; ამავდროულად, პარტიის მეთაურები პუშტუნებს აიმედებენ — პაკისტანთან „როია სტაის“ პრინციპებიდან გამომდინარე ვთანამშრომლობთო.

თავის მხრივ, პაკისტანის ხელისუფლებაც იძულებულია, „პაკისტანის ისლამის შემსწავლელთა მოძრაობასთან“ ითანამშრომლოს, რათა თავისი პუშტუნი მოქალაქეების ლოიალობა გარანტირებული ჰქონდეს. სწორედ ამიტომაა, რომ „პაკისტანურ თალიბანს“ ისლამაბადი რეგისტრაციას არ უუქმებს, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი კარგა ხანია მისგან ამას მოითხოვს. ამერიკელთა აღშფოთებას კი ის იწვევს, რომ „თალიბანის“ თითქმის ყველა ლიდერი „პაკისტანის ისლამის შემსწავლელთა მოძრაობის“ წევრიცაა და შეუძლია ავღანეთში პარტიზანობის პარალელურად პაკისტანის პარლამენტშიც იყაროს კენჭი.

„ისლამის შემსწავლელთა მოძრაობის“ გარდა, „თალიბანს“ პაკისტანში სხვა მხარდამჭერებიც ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. „ჰაყანის ქსელი“ — პუშტუნი საქმოსნების დინასტია, რომელიც ხაიბერ-პახტუნხვაში ხაშხაშისა და კანაფის პლანტაციებს ფლობს, მეზობელ ბელუჯისტანში (პროვინცია პაკისტანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) კი ოქროს რეწვითაა დაკავებული. დინასტიას სათავეში ძმები სირაჯუდდინ და ომარ ჰაყანიები უდგანან. დაუზუსტებელი მონაცემებით, ისინი პაკისტანურ მედიასივრცეშიაც ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას, მაგრამ ისლამაბადში დაბრკოლება შეექმნათ და მიზნის მიღწევა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. ამასთან, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა პაკისტანელ კოლეგებს უკვე გადასცეს ინფორმაცია „ჰაყანის ქსელისა“ და „თალიბანის“ დანაშაულებრივი კავშირების შესახებ და, ალბათ, ოფიციალური ისლამაბადის რეაქცია არ დააყოვნებს. სხვათა შორის, ზოგიერთი დასავლური გამოცემა იმასაც წერს, რომ სახლი, სადაც უსამა ბინ ლადენი თავს აფარებდა, „ჰაყანის ქსელს“ ეკუთვნოდა.

რაგინდ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, „ალ-ქაიდა“ არ არის „თალიბანის“ უპირველესი მხარდამჭერი. ეს ორგანიზაციები საერთო მტერს ერთად კი ებრძვიან, მაგრამ მსოფლმხედველობით აშკარად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: თუ „ალ-ქაიდა“ ისლამის გაწმენდას სუფიზმის სრული უარყოფით ცდილობს, „თალიბანი“ პირიქით — სუფიურ სწავლებას იყენებს. ამ ფაქტზე ყურადღებას ხშირად ამახვილებენ პაკისტანელი ღვთისმეტყველები, როდესაც ავღანელ რადიკალებთან ურთიერთობის გამო თავის მართლება უწევთ: „თალიბანი“ არ ემხრობა ისლამურ ფუნდამენტალიზმს... დევბანდიიას მოძრაობა შეიძლება ე.წ. „ისლამურ ნაციონალიზმად“ ჩაითვალოს“ — განაცხადა ისლამაბადის ერთ-ერთი მეჩეთის იმამმა ალი აბდულა სალეჰმა.

„თალიბანის“ პროპაგანდას რაც შეეხება: განსწავლული ფანატიკოსები ხალხთან ურთიერთობას ე.წ. „ღამეული წერილების“ („ნამეხ-ი შაბ“) მეშვეობით ამყარებენ: „დალას“ წევრები შეიხების შედგენილ პროკლამაციებს ქუჩებში ღამღამობით აკრავენ. ხალხიც ისე უნდა მოიქცეს, როგორც პროკლამაციაშია მითითებული. თუ ვინმე მითითებას არ დაემორჩილება, სიკვდილით დაისჯება. თალიბები ასე მოქმედებდნენ მაშინაც, როცა ხელისუფლების სათავეში იდგნენ. დღის ორი საათიდან ქუჩებში ორგანიზაციის შინაგან საქმეთა კომიტეტის (იგივე რელიგიური პოლიციის) წევრები გამოდიოდნენ და ურჩ მოქალაქეებს სადაც წააწყდებოდნენ, პირდაპირ

ამათრახებდნენ ან ახრჩობდნენ. დღეს კი ურჩებს უკვე ტერაქტებით სჯიან.

„ღამეული წერილების“ გარდა, თალიბები პროპაგანდას ტელე და რადიოარხების მეშვეობითაც აწარმოებენ — მათ ეკუთვნით ტელეკომპანია Ummat Studio და რადიოარხი „შარიათი“. როგორც ერთი, ისე მეორე პაკისტანშია რეგისტრირებული და, ძირითადად, იქვე მაუწყებლობს, რადგან ჯერ ერთი, ავღანეთში ტელევიზია მხოლოდ დიდ ქალაქებშიღა არსებობს და მეორე — თალიბების არხებს იქაც ახშობენ. კაცმა რომ თქვას, Ummat Studio-ს გადაცემები ვიზუალურობით არ გამოირჩევა: თუ შეიხების ვიდეომიმართვებს არ გადასცემენ, მაშინ ეთერში გადაშლილი ყურანის სურათის ფონზე, a კაპელა შესრულებული ნაშიდები (მუსლიმანური საგალობლები) გადის. სანამ თალიბებს ხელისუფლება ხელთ ეპყრათ, ტელევიზია, როგორც „ეშმაკის მოგონილი“, იკრძალებოდა, მაგრამ დღეს პროპაგანდისთვის მშვენივრად იყენებენ. რადიოს რაც შეეხება, ის ტელეარხზე უფრო გამართულადაც მუშაობს და პოპულარულიცაა.

თალიბები ფინანსებს, ძირითადად, არალეგალური კონტრაბანდით შოულობენ — მათ პაკისტანიდან ავღანეთში საყოფაცხოვრებო ნივთები გადმოაქვთ. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელთ არსებული ინფორმაციით, კონტრაბანდით თალიბებმა იმდენი ფული იშოვეს, რომ 2000 წელს ავღანეთში ხაშხაშის წარმოებაც კი აკრძალეს. თუმცაღა, ამავე დროს, პაკისტანელ ნარკომოვაჭრეებს წილში ჩაუჯდნენ. ასე რომ, 2000-2001 წლებში ავღანეთში ნარკოტიკები მთლიანად პაკისტანიდან შემოდიოდა და, ცხადია, ამით თალიბები ითბობდნენ ხელს. ამერიკული წყაროების მიხედვით, ისინი ამჟამადაც ცდილობენ, ეკონომიკური ცენტრი და ნარკობიზნესიც პაკისტანში ჰქონდეთ და შესაბამისად, იქიდან აწარმოონ. გაეროს მონაცემებით, „თალიბანმა“ 2009-2010 წლებში ნარკოვაჭრობით 150 მილიონი დოლარი იშოვა, რაც სხვა ავღანელი ნარკომოვაჭრეების შემოსავლის ფონზე (2,8 მილიარდი დოლარი) მართლაც მოკრძალებულია.

## „თალიბანის“ მიერ 2001-2011 წლებში მოწყობილი ხმაურიანი აქციები

2001 წლის 23 თებერვალი — მოლა ომარმა გამოსცა განკარგულება, რომ ავღანეთში ყველა არაისლამური ისტორიული ძეგლი გაენადგურებინათ. თალიბებმა გაანადგურეს ქალაქ ბამიანთან ახლოს მდებარე ბუდას ორი გიგანტური ქანდაკება (55 მ და 37 მ სიმაღლისა), რომლებიც ჩვ. წ. II საუკუნით თარიღდებოდა;

2001-2006 წლები — „ვაზირისტანის ომი“ თალიბებსა და პაკისტანის არმიას შორის. ავღანეთში ამერიკისა და მისი მოკავშირეების ჯარის შესვლის შემდეგ, „თალიბანი“ მეზობელი პაკისტანის პუშტუნურ პროვინციებში გადავიდა და 2001 წლის დეკემბერში „ვაზირისტანის ისლამური საემიროს“ შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა. 2002-2006 წლებში თალიბებმა პაკისტანის არმიის წინააღმდეგობა დასძლიეს და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ხელისუფლებას მთლიანად დაეუფლნენ;

2006 წლის 14 თებერვალი — თალიბებმა პაკისტანში გავლენის არე გააფართოეს და ქალაქი ფეშავარი დაიკავეს. პაკისტანურმა არმიამ მათი განდევნა ვერ შეძლო და მთავრობა იძულებული გახდა, რადიკალებთან მოლაპარაკება დაეწყო;

2007 წლის 17 დეკემბერი — პაკისტანის ქალაქ კვეტაში (ბელუჯისტანის პროვინცია) თალიბებმა გაეროს მისიასთან ახლოს დანაღმული სატვირთო ავტომანქანა ააფეთქეს. დაიღუპა 3 და დაიჭრა 5 კაცი;

2009 წლის 28 ოქტომბერი — თალიბები ქაბულში თავს დაესხნენ სასტუმრო „შაჰარ-ი ნაუს“, სადაც გაეროს თანამშრომლები იმყოფებოდნენ. მათ თავდამსხმელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლა რამდენიმე საათის განმავლობაში გაგრძელდა და დაიღუპა 12 კაცი; აქედან 6 — გაეროს თანამშრომელი. ბოლოს, თალიბებმა თავი აიფეთქეს, რომ პოლიციას მათი აყვანა ველარ მოეხერხებინა;

2009 წლის 29 დეკემბერი — პაკისტანის ქალაქ ყარაჩიში თალიბმა კამიკაძე-ტერორისტმა თავი იმ დროს აიფეთქა, როდესაც ქუჩაში შიიტების მრავალათასიანი რიტუალური მსვლელობა — „აშურა“ მიმდინარეობდა. დაიღუპა 43 და დაიჭრა 60-ზე მეტი კაცი. ამ ტერაქტზე პასუხისმგებლობა მოლა ომარმა იმავე დღეს აიღო;

2010 წლის 5 ნოემბერი — პაკისტანის ქალაქ დარა-ადამხელში თალიბმა ტერორისტმა ცენტრალურ მეჩეთში თავი იმ დროს აიფეთქა, როცა იქ პარასკევის ლოცვა ტარდებოდა. დაიღუპა 50 და დაიჭრა 100-მდე კაცი;

2011 წლის 9 მარტი — პაკისტანის ქალაქ ფეშავარის სასაფლაოზე თალიბმა ტერორისტმა თავი მაშინ აიფეთქა, როცა იქ ერთ-ერთი ანტითალიბური ორგანიზაციის აქტივისტის ცოლს ასაფლავებდნენ. დაიღუპა 40 და დაიჭრა 60-ზე მეტი კაცი.

2011 წლის 8 აპრილი — ქაბულის ერთ-ერთ შიიტურ მეჩეთში ორმა თალიბმა თავი მაშინ აიფეთქა, როცა პარასკევის ლოცვა ტარდებოდა. დაიღუპა 40, დაიჭრა 100-მდე კაცი;

*მიხეილ ლაბაძე*



„თალიბანის“ ამჟამინდელი ლიდერი მოლა ომარი (მარცხნივ) და მისი დაუძინებელი მტერი, ტაჯიკი საველე მეთაური აჰმად შაჰ მასუდი (მარჯვნივ) 1982 წელს პაკისტანში. ამ დროს ისინი საბჭოთა ჯარებს ერთად ებრძოდნენ

# CG-68 ANZIO



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანული ჯავშანტექნიკა

## ტექნიკა, რომელიც მაღალ ხარისხს ყოველთვის ამართლებს

გასული საუკუნის დასაწყისში გერმანიის ან თუნდაც სხვა ქვეყნის სამხედროთა აზროვნება მკაცრი კონსერვატიულობით გამოირჩეოდა და ყოველგვარ სიახლეს მძიმედ აღიქვამდნენ.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა მაშინ ავტომობილი, რომელსაც სამოქალაქო ცხოვრებაში მრავალმხრივი გამოყენება მოეძებნა, მაგრამ სამხედროების გული ვერა და ვერ მოიგო.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ ოფიცერთა და გამომგონებელთა მონდომებით არმიის მექანიზაცია-ავტომობილიზაციაზე მუშაობა არ წყდებოდა.

1905 წელს პაულ დაიმლერმა მსოფლიოში პირველი დაჯავშნული ავტომობილი წარმოადგინა. 1906 წლის ბერლინის საავტომობილო გამოფენაზე კი 50 მმ-იანი საზენიტო ქვემეხით აღჭურვილი ნახევრად დაჯავშნული ავტომობილი გამოჩნდა. 1908 წელს „დაიმლერმა“ და „კრუპმა“ ერთობლივად დაამზადეს ორწამყვანხიდიანი პლატფორმა და სხვ.

იმ წლებში ძველ შეხედულებათა მსხვრევა და მოტორიზებული ტექნიკის სასარგებლოდ არჩევნის გაკეთება ადვილი არ იყო.

სამხედროები თვლიდნენ, რომ მოტორიზებულ საშუალებათა გამოყენება მხოლოდ ქალაქის ქუჩებსა და მყარსაფრიან გზებზე თუ იქნებოდა შესაძლებელი, ხოლო სხვა ადგილებში ცხენებს ვერაფერი შეცვლიდა.

თუმცა იმასაც ხვდებოდნენ, რომ მძიმე ქვემეხების გასაწევად ან ბრძოლის ადგილებიდან დაჭრილთა სწრაფი ევაკუაციისათვის მექანიკური საშუალებები ბევრად მოსახერხებელი იყო, მაგრამ ასეთი დასკვნებისათვის საჭირო დრო ჯერ კიდევ არ იყო.

პირველ მსოფლიო ომს მოძველებულ შეხედულებათა გადახედვა მოჰყვა და არმიის მოტორიზაციას ფართო გზა გაეხსნა, რასაც ხელს უწყობდა გერმანიის კარგად განვითარებული მანქანათსამშენებლო წარმოება.

ავტომობილიზაციაში პრობლემები არ იყო, მაგრამ ჯავშანტექნიკის დამზადების საქმეში საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა. მისი მნიშვნელობის შეუფასებლობამ ჯავშანავტომობილებისა და ტანკების უკმარისობა მოიტანა და დეფიციტის შესავსებად გერმანელი სამ-

**Close: მასა — ტონა, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 7 კაცი, ძრავა — 1500ცხ. ძალიანი დიზელი, სიჩქარე — კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — კმ, შეიარაღება — 30 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**



ხუდროები ნაალაფარ ტექნიკასაც არ თაკილობდნენ.

თუ გერმანიის მოწინააღმდეგეებმა ომის ბოლომდე რამდენიმე ტიპის დაახლოებით 6 ათასი ტანკი გამოუშვეს, სამამულო ქარხნებში მხოლოდ 20 სერიული და რამდენიმე საცდელი ტანკის გამოშვება მოხერხდა.

ომში დამარცხება კარგ გაკვეთილად იქცა. ამან ჯავშანტექნიკის წარმოების განვითარებასა და სატანკო ჯარების ჩამოყალიბებას უზარმაზარი ბიძგი მისცა.

გადაიხედა მომავალ ომში ჯავშანტექნიკის მნიშვნელობა-ტაქტიკა და ახალ გარემოება-შეხედულებათა გათვალისწინებით აქცენტი მსხვილი სატანკო შენაერთების სასარგებლოდ გაკეთდა.

1935 წლის 15 ოქტომბერს 1-ელი, მე-2 და მე-3 სატანკო დივიზიები ჩამოყალიბდა. თავიდან დივიზიები 324 ტანკზე იყო გათვლილი, მაგრამ 1939 წელს პოლონეთის კამპანიაში ტექნიკის ასეთი მასის მართვის სირთულეები გამოვლინდა.

არმიაში სატანკო დივიზიების რაოდენობის ზრდასთან ერთად მის საშტატო-ორგანიზაციულ სტრუქტურასაც ხვეწდნენ.

ომის ბოლოს ფრონტზე 40-ზე მეტი სატანკო დივიზია იბრძოდა. თითოეულის განკარგულებაში საშუალოდ 150 სხვადასხვა ტიპის ტანკი ირიცხებოდა.

ზოგიერთი ნედლეულისა და მასალის მწვავე დეფიციტის გამო ახალი კონსტრუქციების შექმნისა და ძველის მოდერნიზაცია-გაუმჯობესების მიზნით მუშაობა არ ჩერდებოდა.

ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია მრავალრიცხოვანი სატანკო შენაერთის მონაწილეობით ჩატარდა. ტანკები ყოველთვის მთავარი შემტევი ძალის დანიშნულებას ასრულებდნენ.

1943 წლის ზაფხულში რუსეთში, ქალაქ კურსკის მიდამოებში გერმანიის არმიას კონტრშეტევისთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა და სარდლობა ამის გამოყენებას შეეცადა.

რკინიგზის სადგურ პროხოროვკის რაიონში 11-12 ივლისს შემხვედრ სატანკო ბრძოლაში გერმანული და საბჭოთა მსხვილი სატანკო შენაერთები პირველად დაუპირისპირდნენ.

მდინარითა და რკინიგზის მიწაყრილით შემოსაზღვრულ 8-10 კმ სიგანის ფრონტზე SS-ის ჯარების მე-2 სატანკო კორპუსი და მე-5 გვარდიული სატანკო არმიის ჯავშანტექნიკა შეეჯახა ერთმანეთს.

გერმანელებმა ბრძოლებში 311 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, ხოლო საბჭოთა ჯარებმა ჯავშანტექნიკის 597 ერთეული გამოიყვანეს.

შეზღუდული ტერიტორია ტექნიკის გაშლის საშუალებას არ იძლეოდა და ბრძოლისას ტანკები ერთმანეთში აირია. სატანკო დუელები აფეთქებებისა და ძრავების განუწყვეტელი ხმაურისა და დამწვარი ტექნიკის სქელი კვამლის თანხლებით მიმდინარეობდა. გერმანული ჯავშანტექნიკა ჯავშნით კარგად იყო დაცული და ქვემეხებიც უფრო შორს ისროდნენ, მაგრამ მოკლე დისტანციებზე უპირატესობის გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა.

საბჭოთა ჯარისკაცების სიმტკიცე და ჯავშანტექნიკის მრავალრიცხოვნობა გახდა ის ძალა, რომლის დაძლევა გერმანელმა ტანკისტებმა ვერ შეძლეს.

ორდღიან ბრძოლაში გერმანელებმა 70 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი დაკარგეს, საიდანაც 59 ბრძოლის ველიდან გაიყვანეს. ოთხის აღდგენა ადგილზევე მოხერხდა, ხოლო სხვები სარემონტოდ გერმანიაში გაგზავნეს.

გარდა ამისა, გერმანელებს ალაფად რამდენიმე T-34 დარჩათ და მე-2 კორპუსში ნაალაფარი საბჭოთა ტანკების ასეული 11 ერთეულამდე გაიზარდა.

საბჭოთა მე-5 სატანკო არმიას ჯავ-



Fennek: მასა — 9,7-10,4 ტონა, ეკიპაჟი — 3 კაცი, ძრავა — 239ცხ.ძალიანი დიზელი, სიჩქარე — 115 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 460-1000 კმ, შეიარაღება — 40 მმ-იანი ყუმბარმტყორცნი ან 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი




ავღანეთში დაწუნებული Mungo



ავიადესანტირებადი საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა Weisel-ი შედის ავღანეთში, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა TOW-თი არის აღჭურვილი

შანტექნიკის 343 ერთეული გამოაკლდა. ბევრად მეტი ცოცხალი ძალის დანაკარგი აღმოჩნდა.

პროხოროვკასთან გერმანელებმა უკეთესი ჯავშანტექნიკითა და მომზადებით საბჭოთა ტანკისტებს აჯობეს და ეს სხვაობა მთელი ომის მანძილზე იყო შესამჩნევი.

მეორე მსოფლიო ომის ტანკისტების სათავეში იდგა კურტ კნოსპელია, რომელმაც 168 საბჭოთა ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი გაანადგურა.

კიდევ 17-მა გერმანელმა ტანკისტმა მოწინააღმდეგის 100 ერთეულზე მეტი ჯავშანტექნიკა გამოიყვანა მწყობრიდან, მხოლოდ ასებმა 2053 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი გაანადგურეს, რაც თითქმის 6-7 სატანკო დივიზიის ტოლფასია.

დღესაც გერმანული სატანკო სკოლა მსოფლიოში მოწინავეა და ეს შემთხვევით არ არის. ბუნდესვერის ჩამოყალიბებისას სატანკო შენაერთებს მაშინვე დიდი ყურადღება დაეთმო, რადგან NATO სახმელეთო ჯარების მთავარ დამრტყმელ ძალად ტანკებს განიხილავდა.

პირველი სატანკო დივიზიების (მე-3 და მე-5) ფორმირება 1956 წელს დაიწყო და 1958 წლის აპრილში დასრულდა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ რიგით მესამე — მე-12 სატანკო დივიზია შეიქმნა.

გარდა ამისა, ყოველ მოტოქვეით დივიზიას — თავისი სატანკო ბრიგადა, ხოლო თითოეულ მოტოქვეით ბრიგადას თავისი სატანკო ბატალიონი ჰყავდა.

შტატით ბუნდესვერის სატანკო ბრიგადა — 108, ხოლო სატანკო ბატალიონი კი 54 ტანკს ითვლიდა.

„ცივი ომის“ დასრულებამ და ახალმა საფრთხეებმა ბუნდესვერი სრულიად განსხვავებული ამოცანების წინაშე დააყენა, სადაც მთავარი ადგილი კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის შენარჩუნებამ და ტერორიზმთან ბრძოლამ დაიკავა.

პირველივე სამშვიდობო ოპერაციაში კოსოვოში ბუნდესვერმა სხვადასხვა სახის ჯავშანტექნიკა (ტანკები „ლეოპარდი-2“, ქვეითთა საბრძოლო მანქანები „მარდერი“, ჯავშანავტომობილები „დინგო“, ჯავშანტრანსპორტიორები „ფუქსი“ და სხვ.) გამოიყენა.

ბევრად რთული და უფრო მასშტაბური გამოდგა სამშვიდობო ოპერაცია ავღანეთში. 2002 წლის იანვარში ქაბულში ბუნდესვერის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფთა 100 მებრძოლი ჩავიდა და მას შემდეგ კონტინგენტი რამდენჯერმე გაიზარდა. ახლა იქ სამსახურს დაახლოებით 5350 სამხედრო, პოლიციელი თუ სამოქალაქო სპეციალისტი გადის.

ბუნდესვერის სარდლობას ექვემდებარება ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული ISAF-ის მრავალეროვანი ძალები. მათ შემადგენლობაშია სომხეთის არმიის სამშვიდობო ასეულიც.

გერმანელი სამხედროები ყოველდღიური საქმიანობისთვის და საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად მრავალფეროვან მუხლუხა თუ ბორბლებიან დაჯავშნულ ტექნიკას იყენებენ.

მათ განკარგულებაშია ქვეითთა საბრძოლო მანქანები (Marder 1A5), ავიასადესანტო საბრძოლო-სადაზვერვო მანქანები (Weisel), მრავალმხრივი დანიშნულების ჯავშანტრანსპორტიორები (TPz 1 Fuchs 6x6), უახლესი ჯავშანავტომობილები (Dingo-2 4x4), მსუბუქი ჯავშანავტომობილები (Fennek 4x4, Eagl IV 4x4,), არმიული ყველგანმავალები (Enok 4x4, Wolf 4x4), სამედიცინო დაჯავშნული ავტომობილები (YAK 6X6), საცეცხლე მხარდაჭერის 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნები Tampella და სხვ.

ავღანეთი გერმანული ჯავშანტექნიკისთვის სერიოზულ საგამოცდო პოლიგონად გადაიქცა, სადაც საბრძოლო ვითარებაში ზოგიერთმა ნიმუშმა გაამართლა. სხვებს ჯავშანდაცვის გაძლიერება, საცეცხლე ძალის ამაღლება თუ

YAK: მასა — 12,5 ტონა, ძრავა — 250ცხ.ძალიანი დიზელი, სიჩქარე — 100 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 600 კმ



ეროვნული ბიბლიოთეკა



**Eagl IV: მასა — 7,6 ტონა, ძრავა — 245ცხ.ძალიანი დიზელი, სიჩქარე — 120 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 480 კმ, შეიარაღება — 40 მმ-იანი ყუმბარმტყორცნი, ან 12,7 მმ-იანი, ან 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**

სავალი ნაწილის გაუმჯობესება დასჭირდა. იყო დაწუნებული ტექნიკაც.

2005 წელს ავღანეთში „დინგო-2"-ის საცდელი პარტია გაიგზავნა. ერთ-ერთი საბჭოთა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. აფეთქების ძალამ 12,5-ტონიანი მანქანა რამდენიმე მეტრზე მოისროლა, ძრავის განყოფილება მთლიანად გაანადგურა, ორმა სამხედრომ კი მხოლოდ კონტუზია მიიღო.

2010 წლის ზაფხულიდან თალიბთა თავდასხმების გახშირებასთან ერთად „დინგოების" გადაიარაღება დაიწყო. 7,62 მმ-იან ტყვიამფრქვევს დისტანციურად მართვადი 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი (ეფექტური ცეცხლის მანძილი 2 ათასი მეტრია, ლენტი 32 ყუმბარას იტევს) დაემატა.

ამჟამად გერმანელთა განკარგულებაში 100-ზე მეტი „დინგოა". ეს ჯავშანავტომობილი იმდენად საიმედოა, რომ ავღანეთში სხვა ქვეყნების სამხედროებიც იყენებენ.

ასევე მეტად ეფექტურია „ფუქსის" ტიპის მცურავი ჯავშანტრანსპორტიორები, რომელთა უმრავლესობა დისტანციურად მართვადი მოდულებით (FLW 200) არიან აღჭურვილი.

2008 წლის მარტში გერმანულმა კონტინგენტმა ახალი პასიური დაცვის ელემენტებით გაძლიერებული 1A8 მოდელის 21 „ფუქსი" მიიღო.

„ფუქსების" პარკი დაახლოებით შვიდ ათეულს ითვლის და თითქმის ყველა ოპერაცია ამ ჯავშანტრანსპორტიორების მონაწილეობით ტარდება.

2006 წლის ბოლოს ამერიკულმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებმა გერმანიიდან ქალაქ მაზარ-ი-შარიფში 4 „მარდერი" და დაჯავშნული სარემონტო-საევაკუაციო მანქანა Bergepanzer BPz3 Buffel-ი გადაიყვანეს.

საბრძოლო ნათლობა „მარდერებმა" 2009 წლის ივლისში ქალაქ ყუნდუზთან ჩატარებული ოპერაციის დროს მიიღეს.

ევროპისათვის შექმნილი „მარდერის" ავღანეთში სამსახური იოლი არ აღმოჩნდა. 2010 წლის 31 ოქტომბერს კოლონის გადაადგილების დროს თალიბებმა 2 „მარდერი" ააფეთქეს.

ავღანეთის ომის გათვალისწინებით შექმნილ ერთ-ერთ ბოლო მოდიფიკაციას კონდიციონერი, თვითნაკეთი ფუგასებისგან დაცვის სისტემა და მულტისპექტრული კამუფლაჟი აქვს.

ასეთი სტანდარტის მოდერნიზაცია უკვე 10 „მარდერს" ჩაუტარდა და კიდევ 25-ზე უნდა დასრულდეს.

„მარდერები" ყუნდუზში დისლოცირებული ბუნდესვერის სწრაფი რეაგირების ბატალიონის შეიარაღებაში შედის.

Rheinmetall-მა კი ახლახან აბუ-დაბიში საერთაშორისო გამოფენა IDEX 2011-ზე ახალი ქვეითთა საბრძოლო მანქანა Close წარადგინა. ავღანეთის ომის გათვალისწინებით „ქლოზე" მოდულური ჯავშნით არის დაცული, დისტანციურად მართვადი მოდული (Lance RC) აქვს და ქვემეხს ვერტიკალურ სიბრტყეში 60-გრადუსიანი კუთხით სროლა შეუძლია.

ავღანეთში გამოცდა წარმატებით გაიარა მსუბუქმა საბრძოლო-სადაზვერვო დაჯავშნულმა ავტომობილმა „ფენეკმა". გერმანია-ჰოლანდიის ერთობლივ ნამუშევარს მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში სადაზვერვო ან სპეციალურ დავალებათა შესრულების მიზნით ავტონომიურად მოქმედებისთვის აუცილებელი 5 დღის რესურსი და სათანადო აპარატურა აქვს.

დაჯავშნული Eagl IV ასევე დაზვერვის, დაკვირვების, ქვედანაყოფთა მართვისა და სამხედრო-საპოლიციო დანიშნულება ასრულებს. ავღანეთში „იგლების" სამედიცინო ვარიანტებია, მათ ბრძოლის ადგილებიდან არაერთი დაჭრილი სამხედრო დროულად გამოიყვანეს.

აქვს შედარებით დიდი ტვირთამწეობა, კარგი დაცვა, მობილურობა და DURO IIIP-ზე აწყობილ ავტომობილებთან ბევრი საერთო აქვს.

შვეიცარიული MOWAG-ის წარმოებულ DURO IIIP შასიზე (4X4 და 6X6) „რეინმეტალმა" სპეციალურად ავღანეთისთვის დაამზადა დაჯავშნული სანიტარული (YAK), საპოლიციო, გამნაღმველი და სხვა დანიშნულების ავტომობილები.

მსუბუქად დაჯავშნული, მაღალი გამავლობის ავტომობილი „ენოკი" Mercedes Benz G კლასის საფუძველზე შექმნილი Wolf-ის შემდგომი განვითარებაა და საპატრულო დანიშნულებას ასრულებს.

„ენოკის" ჯავშანდაცვა NATO-ს STANAG 4569-ის მე-2 კლასის შესაბამისია და წვრილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და წვრილი ნამსხვრევებისგან დაცვაზეა გათვლილი.

ის ორი სახით მზადდება. ერთი მთლიანად დაჯავშნული ხუთკარიანი მოდელია, ხოლო მეორე კი ოთხკარიანი სატვირთო, რომელსაც დაჯავშნული კაბინა და დაუჯავშნავი ძარა აქვს.





თალიბების აფეთქებული გერმანული „ფუქსი“ და „დინგო-2“

არ გაამართლა Mungo ESK (4x4) ტიპის ნახევრად დაჯავშნულმა სატვირთო ავტომობილებმა.

„მუნგოს“ მსუბუქად დაჯავშნული კაბინა და ღია ძარა ავღანეთისთვის საიმედო არ გამოდგა და 2008 წელს ავტომობილები უკან დააბრუნეს.

გერმანიის მთავრობა პოლიტიკური მოტივით ავღანეთში მძიმე ტექნიკის გამოყენებას მიზანშეუწონლად თვლიდა, მაგრამ 2010 წლის ზაფხულში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეს შეხედულება შეიცვალა.

2010 წლის ივლისში თვითმფრინავებმა ორი 155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა PzH 2000 ყუნდუზში გადაიტანეს. 10 ივლისს ჰაუბიცებმა 5 გასროლა შეასრულეს, როცა ბაზიდან 12 კმ-ში ფუგასზე აფეთქებული ჯავშნავტომობილის დაცვა გახდა საჭირო.

ავღანეთში „ლეოპარდების“ შეყვანაც უნდოდათ, მაგრამ წინადადებამ მხარდაჭერა არ მიიღო და უარი ითქვა.

დღემდე ჯავშანტექნიკის მთავარ საფრთხედ ისევ ტანკსაწინააღმდეგო ხელის ყუმბარსატყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები და თვითნაკეთი ფუგასები რჩება.

არის შემთხვევები, როცა ჯავშანტექნიკის მწყობრიდან გამოსაყვანად თალიბები ფეთქებადი მასალით დატვირთულ ავტომობილებსა და თვითმკვლელ ტერორისტებს იყენებენ.

აფეთქებებით დაზიანებული ჯავშანტექნიკის ყველა ნიმუში გერმანიაში ბრუნდება და კონსტრუქციის დაცულობის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციათა დასამუშავებლად გამოიყენება.

არასრული მონაცემებით, ავღანეთში განადგურებული გერმანული ჯავშანტექნიკის სავარაუდო რაოდენობა 20 ერთეულს (9 — „დინგო“, 2 — „ფუქსი, 3 — „მარდერი“, 1 — „იგლი“, 1 — „ვოლფი“) არ უნდა აღემატებოდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთში გერმანული კონტინგენტი საბრძოლო, სატრანსპორტო, დამხმარე თუ ტექნიკური დანიშნულებით მხოლოდ დაჯავშნულ ტექნიკას იყენებს, რაც უპირველესად სამხედრო მოსამსახურეთა უსაფრთხოების მიზნით კეთდება.

**შალვა გოგიბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამსახური გრიფით „საიდუმლო"

პრეზიდენტი ობამა ქუჩაში მცველთა ყურადღების ქვეშ გადაადგილდება

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი" N12, 2011)

## წვეთი კუპრი

ცნობილი სიბრძნეა: არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებსო. საიდუმლო სამსახურს კი საქმეს რა გამოულევს. ამიტომაც შეცდომები და მოულოდნელობები საკმაოდაა. 1996 წლის ოქტომბერში, როცა ბობ დოულს ნიუიორკში მხოლოდ ორი უბანი უნდა გაევლო, მოულოდნელად ხალხმა ალყა შემოარტყა. აღმოჩნდა, რომ აგენტებს მოძრაობის მარშრუტზე მხედველობიდან გამორჩათ ერთი პატარა ქუჩის გადაკეტვა. ექსცესების თავიდან აცილება გაჭირვებით მოხერხდა.

არაერთი უსიამოვნო წუთის გადატანამ მოუწია საიდუმლო სამსახურს, როცა კლინტონის პრეზიდენტობის დროს, თეთრი სახლის ტერიტორიაზე, ყველასათვის მოულოდნელად მსუბუქი თვითმფრინავი დაჯდა. ეს იმ დროს, როცა თეთრი სახლის სივრცე არათუ კონტროლდება, არამედ „მიწა-ჰაერის" ტიპის სარაკეტო დანადგარებითაა დაცული.

ასეთი წინდახედული ნაბიჯის გადადგმა საიდუმლო სამსახურს გაკოტრებულმა და ფსიქიკურად არაადეკვატურმა ბიზნესმენმა აიძულა, რომელიც 1974 წელს ვაშინგტონის აეროპორტში თვითმფრინავის გატაცებასა და თეთრი სახლისთვის დაჯახებას შეეცადა.

ბიზნესმენმა აეროპორტის დაცვის თანამშრომელი და ორი პილოტი მოკლა, მაგრამ ლაინერით აფრენა ვერ შეძლო და თავი მოიკლა.

იმავე წელს აშშ-ის არმიის სამხედრო მოსამსახურემ საბრძოლო შვეულმფრენი გაიტაცა და თეთრ სახლს დაუბრკოლებლად გადაუფრინა, რის შემდეგაც შენობიდან ხალხის ევაკუაციას მხოლოდ ორი წუთი დასჭირდა.

უნებურად გაგახსენდებათ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების სერია, ვარაუდობენ, რომ ერთ-ერთ ჩამოგდებულ საჰაერო ლაინერს თეთრ სახლზე უნდა მიეტანა იერიში.

ყურადღების ღირსია კიდევ ერთი კაზუსი, რომელიც 1997 წელს ფინეთში აშშ-ისა და რუსეთის პირველი პირების მოლაპარაკებისას მოხდა. კლინტონს ფეხი ჰქონდა მოტეხილი და მხოლოდ ინვალიდის ეტლით შეეძლო გადაადგილება. სასტუმროს ერთ-ერთ დარბაზში, სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა, ფიანდაზი დამრეც იატაკზე იყო დაგებული. ამერიკელმა აგენტებმა მოადუნეს ყურადღება, ეტლი დაქანდა და თანდათან უმატა სიჩქარეს. როგორც რუსული წყაროები იუწყებიან, „კიდევ კარგი", რუსეთის დელეგაციის დაცვის უფროსი მოეგო ყველაზე ადრე გონს, გზა გადაუჭრა პრეზიდენტიან ეტლს და არა მარტო შეაჩერა, არამედ დანიშნულების ადგილზეც მიაგორა. როცა ამერიკის პრეზიდენტს ჰკითხეს, რატომ არ გამოიყენა მუხრუჭი, რომელიც მსგავსი სიტუაციების თავიდან ასაცილებლად ჰქონდა ეტლს, კლინტონმა უპასუხა, რუსებს გმირობის გამოჩენის შანსს ხომ არ დავუკარგავდიო.

არცთუ დიდი ხნის წინ ყვითელი პრესა ნიშნის მოგებითა და სიამოვნებით იუწყებოდა ერთი თავშესაქცევი ეპიზოდის შესახებ, როცა ბრაზილიაში სახელგანთქმულ კარნავალზე დასასწრებად ჩასულ აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლესა და ქალიშვილს, მრავალრიცხოვანი დაცვის ცხვირწინ, კაფეში, ჩანთები და პირადი ნივთები მოჰპარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ამერიკის პრეზიდენტები სხვა ქვეყნებში ვიზიტის დროს საკუთარი დაჯავშნული ავტომობილებით სარგებლობენ**

## შავით მოსილი ხალხი

დღეს აშშ-ის საიდუმლო სამსახურის თანამშრომელთა უმრავლესობა მამაკაცია, რომელთა ასაკი 35-36 წელს არ აღემატება. თითოეულ მათგანს გავლილი აქვს სამხედრო სამსახური თავდაცვის სამინისტროში ან ფედერალურ სამართალდამცველ სტრუქტურებში. პირად საქმეებში კი აქვთ ბრწყინვალე რეკომენდაციები, რომლებიც მათ უსაფრთხოების, ელექტრონიკის, იარაღის, კავშირის საშუალებათა და განაღმვის, პოლიგრაფიის, ქიმიის, დაზვერვის, ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ბევრი სხვა სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებად ახასიათებს.

ისინი რიგრიგობით მუშაობენ თავიანთი ორგანიზაციების სხვადასხვა ქვედანაყოფში, რისი წყალობითაც მათი საგანგებო მომზადების უნივერსალურობა მიიღწევა.

ასაკობრივი ცენზის შეცვლის შემდეგ, მრავალმხრივი გამოცდილება აგენტს კარიერის სხვა სახით წარმართვის საშუალებას აძლევს. ამასთან, ყოველ მათგანს აქვს უფლება, ვადაზე ადრე გავიდეს პენსიაში. ეს წახალისებაა სახიფათო და უკიდურესად ნერვიული მუშაობის სანაცვლოდ.

საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები გასვლით ღონისძიებებზე სილაღის, ვაჟკაცობისა და სულიერი მხნეობის ეტალონები არიან. მათი დახვეწილი მანერები, თავდაჯერებულობა საქმეში ჩაუხედავ ადამიანს აფიქრებინებს, რომ მათი სამუშაო სულაც არ მოითხოვს ნერვიულ გამოფიტვამდე მიმყვან თავგამოდებას.

ისინი იმგვარად გამოიყურებიან, როგორადაც აუდიტორიას წარმოუდგენია: კავშირის დაფარული გარნიტური, იდეალურად მორგებული საქმიანი კოსტიუმები სამკერდე ნიშნებით, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურისადმი კუთვნილებას მიანიშნებენ, სხვა უწყებების აგენტებს იდენტიფიკაციის სამსახურს უწევენ და მათთან კონტაქტს უადვილებენ. ბოლოს, რა თქმა უნდა, მუქი სათვალე, რომელიც არა მარტო მზის სხივებისგან იცავს აგენტებს, არამედ ფარული თვალთვალის საშუალებასაც იძლევა.

საიდუმლო სამსახურში მუშაობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დიდი რისკის შემცველია. მაგალითად, 1999 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა ოცდათერთმეტი აგენტი.

მათ რიგებში მოხვედრა ადვილი არ არის, ხოლო ვაკანსიის გამოჩენისას ახალ თანამშრომელს მხოლოდ კონკურსის გავლის შემდეგ არჩევენ. გამსვლელი სასტარტო მინიმუმია: ასაკი 35 წლიწადი, საუკეთესო ჯანმრთელობა, უმაღლესი განათლების, ბაკალავრის დიპლომი.

თუ კანდიდატი პრეტენზიას საგანგებო აგენტის თანამდებობაზე აცხადებს, მაშინ საჭიროა მუშაობის სამი წლის სტაჟი, მათ შორის — ორი სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციაში. ასევე აუცილებელია საუკეთესო რეკომენდაციები და დახასიათებები. მხოლოდ ასეთ მაძიებლებს უშვებენ გამოცდებსა და ტესტირებებზე.

ვისაც ბედი გაუღიმებს და საჭირო ქულებს დააგროვებს, მოელის პირადი გასაუბრება და სიცრუის დეტექტორზე შემოწმება. გამოცდაგავლილი და შემოწმებული კანდიდატი საიდუმლო სამსა-



ეროვნული ბიბლიოთეკა



საიდუმლო სამსახურის აგენტები რთული გამოცდებით და ტესტირებით შეირჩევიან

ხურში პირდაპირ არ ჩაირიცხება. მათი გვარები შეჰყავთ ე.წ. კანდიდატთა სიაში და ვაკანსიის გამოჩენას ელოდებიან. რაც შეეხება კანდიდატებს, რომლებსაც არა აქვთ უმაღლესი განათლება, მათაც შეუძლიათ საიდუმლო სამსახურის რიგების შევსება, ოღონდ მხოლოდ მცველის რანგში, გამოძიების დამოუკიდებლად წარმოების უფლების გარეშე.

შემდეგ კი მომზადება იწყება. ეს ის შემთხვევაა, როცა ნასწავლებს ხელახლა ასწავლიან და წვრთნიან: აქ ყველა საგანს პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულება აქვს. ადრე საგანგებო აგენტებს ქალაქ გლენკოში (ჯორჯიის შტატი) წვრთნიდნენ, ახლა კი ქალაქ ბელსვილში (მერილენდის შტატი) არსებულ საგანგებო სამსახურის აკადემიაში და ვაშინგტონის საგანგებო საწვრთნელ ცენტრში ამზადებენ. ძირითადი საგნებია: საცეცხლე მომზადება და ოპერატიული მომზადება, სისხლის სამართალი, კანონმდებლობა პოლიციის შესახებ, თავდაცვა (საბრძოლო ხელოვნება), გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგია და საზოგადოებასთან ურთიერთობანი. ნებისმიერი თეორიული მეცადინეობა განმტკიცებულია სავალდებულო პრაქტიკით სხვადასხვა საპოლიციო ქვედანაყოფებში. წვრთნების შეფასება ბევრად განსაზღვრავს თანამშრომლების შემდგომ კარიერას.

გასაკვირი არ არის, რომ საიდუმლო სამსახურის გამოცდილებას ხალისით იზიარებენ აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილი ქვეყნების ანალოგიური სამსახურები. მაგალითად, იაპონიის პოლიციის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ პირთა დაცვის სტრუქტურები. იაპონიაში VIP-personebis დაცვის თანამედროვე სისტემების ორგანიზაციის პირველი გაკვეთილები აშშ-ის საიდუმლო სამსახურის აგენტებმა ჩაატარეს, ხოლო სპეცსამსახურების თანამშრომლობა 1974 წელს ტოკიოში პრეზიდენტ ჯერალ ფორდის ვიზიტის დროს დაიწყო, როცა ჯერ კიდევ არ იყო მივიწყებული 1964 წელს იაპონიაში შეერთებული შტატების ელჩის ედვინ რეიშაუერის დანით დაჭრის ინციდენტი. გარდა ამისა, იმ პერიოდში ამომავალი მზის ქვეყანაში ხშირი იყო თავდასხმები პოლიტიკოსებზე, რამდენიმე შემთხვევა სიკვდილითაც კი დასრულდა.

ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა 1983 წელს იაპონიაში აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ვიზიტის დროს უფრო გამყარდა. ჯორჯ სიმპსონის, ამერიკის პრეზიდენტის დაცვის უფროსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაკეთდა ყველაფერი და ოდნავ უფრო მეტიც“.

აშშ-ის საიდუმლო სამსახურის ბიოგრაფია მოიცავს 145 წელიწადს და ამ ხნის განმავლობაში სამსახურმა უამრავ გამარჯვებას მიაღწია. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელ მსოფლიოში დაცვის სპეციალისტები, მიუხედავად იმისა, სიმპათიით არიან განწყობილი ამ *ქვეყნის მიმართ თუ არა, პატივს სცემენ* და აღიარებენ მათ მიღწევებს ძლიერთა ამა ქვეყნისათა დაცვის თეორიასა და პრაქტიკაში მიღწეული დამსახურებისათვის.



პირველი პირების უსაფრთხოება აგენტების სიფხიზლეზეა დამოკიდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კოსმოსური ტურიზმი ანუ ორბიტაზე გასეირნება 20 მილიონად



საუკუნეების განმავლობაში ადამიანისთვის ფრინველივით ფრენა აუხდენელი ოცნება იყო. მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში შექმნა ამის პირობები ტექნიკურმა პროგრესმა. მიღწეულზე ადამიანი არასდროს ჩერდებოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მიზნად კოსმოსში გაფრენა დაისახა.

1961 წლის 12 აპრილიდან კაცობრიობის ისტორიაში კოსმოსის ათვისების ერა დაიწყო, მაგრამ კოსმოსში ფრენის ბედნიერება მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ. მიწაზე დაბრუნების შემდეგ ისინი გმირები ხდებოდნენ. მათ შესახებ ჟურნალებსა და გაზეთებში წერდნენ, კოსმონავტები პოლიტიკოსებთან ერთად მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ადამიანები გახდნენ.

გავიდა დრო და კოსმოსში ფრენამ ჩვეული ხასიათი მიიღო, ხოლო რაკეტის მორიგი სტარტი აჟიოტაჟს უკვე აღარ იწვევდა. გაგარინის სტარტის წინ, მასთან ოთახში შესულმა გენერალურმა კონსტრუქტორმა სერგეი კოროლიოვმა ასეთი რამ თქვა: „მოვა დრო და ხალხი კოსმოსში პროფკავშირების საგზურით იფრენს“.

კოროლიოვმა მაშინ იხუმრა, მაგრამ დღეს ეს ნაწილობრივ რეალობად იქცა. კოსმოსში გაფრენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. თუ, რა თქმა უნდა, მას ამის საშუალებას ჯანმრთელობა, ფიზიკური მომზადება და რაც მთავარია, ჯიბე აძლევს.

ამ კატეგორიის ხალხს კოსმოსურ ტურისტებს უწოდებენ. თუმცა, ორბიტაზე 10-12 დღის გატარების შემდეგ თავს ისინი კოსმონავტებად თვლიან. პლანეტის თითქმის შვიდი მილიარდი მოსახლიდან ჯერჯერობით მხოლოდ შვიდი კაცია, რომლებმაც თავიანთი მილიონებით ოცნება აისრულეს და კოსმოსში იმოგზაურეს.

2009 წლის ზაფხული. რუსულ კოსმოსურ ქალაქში საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მორიგი ეკიპაჟის გასაშვებად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ჩვეულებრივი სტარტისგან ეს ფრენა განსხვავებულია — სამკაციან ეკიპაჟში პროფესიონალი კოსმონავტი მხოლოდ ორია. მესამე კანდიდატი გიი ლალიბერტე კოსმოსში პირველად მიემგზავრება. „კოლეგებისგან“ განსხვავებით მან ამ სიამოვნებაში მილიონები გადაიხადა და საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორტზე ის მორიგი კოსმოსური ტურისტი იქნება.

გიი ლალიბერტე 14 წლისა სახლიდან გაიქცა და 11 წელიწადში უფულოდ თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა. 25 წლისამ ცირკი დააარსა და დღეს მსოფლიოში უმსხვილესი საცირკო ბიზნესის მფლობელია. მისი სიმდიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუ 2006 წელს 1,2 მლრ დოლარად შეფასდა. კანადელი ლალიბერტე რიგით მეშვიდეა, რომელმაც ორბიტაზე გასამგზავრებლად საგზური შეიძინა.

ორბიტაზე გამგზავრების წინ კოსმოსური ტურისტები უმკაცრეს სამედიცინო და ფიზიკურ შემოწმებას გადიან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ორგანიზმის ამტანობას და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, მომზადების მომდევნო ეტაპზე გადასვლის ნებართვას იღებს.

სტარტამდე 4-5 თვეში უნდა შეისწავლონ ის, რასაც პროფესიონალები წლებს ანდომებენ. ორბიტაზე ტურისტი ეკიპაჟის სრულფასოვან წევრად ითვლება, ამიტომაც ავარიულ სიტუაციაში მოქმედებისთვის მზად უნდა იყოს.

ორბიტაზე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც ხანძარია. ამგვარი შემთხვევა უკვე მოხდა 1997 წლის 23 თებერვალს, როცა ჟანგბადის გამომუშავებელი ხელსაწყოს გაუმართაობამ ორბიტულ სადგურ Мир-ზე ხანძარი გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში ცეცხლზე მეტად საშიში კვამლი და წვის პროდუქტებია. დედამიწისგან განსხვავებით კოსმოსში გასანიავებლად ვერც ფანჯარას გააღებ და დახმარებაც არსაიდან მოვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკიპაჟის შეთანხმებული მუშაობა. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეკიპაჟი ინტერნაციონალურია. კანადელ ტურისტთან ერთად რუსი მაქსიმ სურაევი (ეკიპაჟის მეთაური) და ამერიკელი ჯეფრი ვილიამსი (ბორტინჟინერი) მიფრინავდნენ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი კოსმოსური ტურიზმის მოწინააღმდეგე იყო.

**გაგარინის სტარტიდან 40 წლის შემდეგ, დენის ტიტო პირველი არაპროფესიონალი იყო, რომელმაც ორბიტაზე იმოგზაურა**

NASA-ს ასტრონავტთა უკმაყოფილება 2001 წლიდან დაიწყო, როცა პირველი კოსმოსური ტურისტის მომზადების ცნობა გაახმაურეს.

2001 წლის 19 მარტს ჰიუსტონში რუსული ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოს პირველი კოსმოსური ტურისტი დენის ტიტო იმყოფებოდა, ვარჯიშისთვის ემზადებოდა. იმ დღეს გახდა ცნობილი, რომ NASA-ს დირექტორმა ტიტოს ჩანაცვლება პროფესიონალი ამერიკელი ასტრონავტით გადაწყვიტა და მაშინ რუსულმა ეკიპაჟმა პროტესტის ნიშნად საკონფერენციო დარბაზი დატოვა.

კოსმოსში არაპროფესიონალი ასტრონავტებისა და საერთოდ, კოსმოსური ტურიზმის ინიციატორები ამერიკელები არიან. ჯერ კიდევ 1967 წელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სასტუმროთა ქსელის „ჰილტონის“ მფლობელმა „კოსმოსური სასტუმროების“ შექმნის იდეა წამოაყენა. პროექტზე ის ათეულობით მილიონის დახარჯვას აპირებდა, მაგრამ იმ დროს კოსმოსის კომერციალიზაციაზე არავინ ფიქრობდა და ეს წინადადება იდეის დონეზე დარჩა. მაშინ ამ პროექტის განხორციელება ტექნიკური თვალსაზრისითაც შეუძლებელი იყო.



გავიდა დრო და ამერიკელი მილიონერები კოსმოსში ფულის დაბანდებისა და მოგების ნახვის იდეას ისევ მოუბრუნდნენ.

1985 წელს ჰარი ჰადრონმა მრავალჯერადი გამოყენების ერთსაფეხურიანი კოსმოსური ხომალდის პროექტი წარმოადგინა. ვერტიკალური აფრენა-დაფრენის „ფენიქსმა“ საფუძველი პროექტ Project Space Voyage-ს ჩაუყარა. ავტორის ჩანაფიქრით, სულ რაღაც 50 ათას დოლარად ნებისმიერ მსურველს დედამიწის ორბიტაზე მცირე ხნით მოგზაურობა შეეძლო, მაგრამ „ფენიქსის“ მიმართ ინვესტორთა სკეპტიკური დამოკიდებულების შეცვლა ვერ შეძლო.

ასე გაგრძელდა 80-იანი წლების შუახანამდე, სანამ საქმეში აშშ-ის მთავრობა არ ჩაერია. პრეზიდენტმა რეიგანმა გრანდიოზული შოუ მოიფიქრა, – ორბიტაზე მასწავლებლის გაგზავნა და კოსმოსიდან გაკვეთილის ჩატარება. ეს ლამაზი იდეა პილოტირებული კოსმონავტიკის ისტორიაში პირველი მასშტაბური კატასტროფით დასრულდა.

1986 წლის 28 იანვარი აშშ-ის კოსმონავტიკის ისტორიაში შავ თარიღად დარჩება. იმ დღეს ორბიტაზე „შატლი“ Challanger-ი უნდა გასულიყო. ხომალდის რიგით მეათე სტარტისთვის შვიდკაციანი ეკიპაჟი ემზადებოდა. მათ შორის იყო დაწყებითი კლასის მასწავლებელი, 37 წლის კრისტა მაკოლიფი. პირველად ისტორიაში ის კოსმოსიდან ბავშვებს ორ გაკვეთილს ჩაუტარებდა.

სტარტიდან 73-ე წამზე პირდაპირ ეთერში მილიონობით ტელემაყურებ-



**კანადელი გიი ლალიბერტე რიგით მეშვიდე და ჯერჯერობით უკანასკნელი კოსმოსური ტურისტია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანუშე ანსარი მსოფლიო პრაქტიკაში პირველი კოსმოსური ტურისტი ქალი იყო

ლის წინაშე „შატლი“ ჰაერში აფეთქდა და ეკიპაჟი დაიღუპა.

ტრაგედიის შემდეგ აშშ-ის კონგრესმა კოსმოსში ადამიანების პროფესიონალური მომზადების გარეშე გაშვება აკრძალა.

ამ გარემოებამ გამოიწვია NASA-ს უკმაყოფილება ორბიტაზე დენის ტიტოს გაგზავნის გადაწყვეტილების გამო. ამავდროულად, ამერიკელებს არ სურდათ, პირველი ტურისტი კოსმოსში რუსი ყოფილიყო, მაგრამ აშშ უძლური აღმოჩნდა და დენის ტიტომ რუსული ხომალდით კოსმოსში მაინც იმოგზაურა.

კოსმოსში ფრენამ შვიდივე ტურისტის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, ხოლო 58 წლის ჩარლზ სიმონიმ კოსმოსში გაფრენის წყალობით ცოლიც კი მოიყვანა.

უნგრეთში დაბადებული სიმონი კოსმოსზე პატარაობიდან ოცნებობდა. 13 წლისამ სასკოლო ასტრონომიულ კონკურსში გაიმარჯვა და მოსკოვში იმოგზაურა. იქ შეხვდა ერთ-ერთ პირველ საბჭოთა კოსმონავტ პაველ პოპოვიჩს და მას შემდეგ კოსმოსი მისი ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა.

რამდენიმე წლის შემდეგ სიმონი ტურისტული ვიზით ამერიკაში, ნიუ-იორკში ჩავიდა და 1981 წელს მაშინ სტუდენტ ბილ გეითსთან ერთად კომპანია Microsoft-ი ჩამოაყალიბა. სწორედ მათი ხელმძღვანელობით არის შექმნილი Windows-ი, საოფისე პროგრამები Word-ი და Excel-ი.

2007 წლის 7 აპრილს სიმონი რიგით მეხუთე კოსმოსური ტურისტი და მეორე უნგრელი გახდა, რომელმაც კოსმოსში იმოგზაურა. ორი წლის შემდეგ კომპიუტერის გენიოსმა ოცნება ხელმეორედ აიხდინა და 25 მილიონის გადახდის შემდეგ კოსმოსში ისევ გაფრინდა. ორბიტაზე მან 29 დღე (15 — პირველი და 14 — მეორე ფრენისას) დაჰყო.

1957 წლის 4 ოქტომბერს ნიუ-იორკის ერთ-ერთ უბანში რადიოს მოსმენით გართულ ნაყინის კაფეს ოფიციანტს ხელიდან თეფშებიანი სინი გაუვარდა. დამტვრეული ჭურჭლის ფასი ერთი დღის ხელფასს შეესაბამებოდა, მაგრამ ყმაწვილს ამაზე გული არ დასწყვეტია — იმ მომენტში რადიოთი მოსმენილმა სიახლემ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა კავშირმა კოსმოსში პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა. ყმაწვილს დენის ტიტო ერქვა და 1957 წლის 4 ოქტომბერს მან თავისი ოცნების დაბადების დღე უწოდა. იტალიელი ემიგრანტების შვილს კოსმოსში ფრენა სულ რაღაც 20 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა.

კოსმოსში მოსახვედრად ყველა ტურისტმა სხვადასხვა გზა გამოიარა. ყველაზე უცნაური ისტორია რიგით მეექვსე ტურისტს, რიჩარდ გეროტს ჰქონდა. ამერიკელი ასტრონავტის შვილს სუსტი მხედველობის გამო ექიმებმა კოსმოსზე ოცნების დავიწყება ბავშობიდანვე ურჩიეს, მაგრამ მოზარდი იმედს არ კარგავდა. გავიდა დრო და გეროტი მიხვდა, რომ მის მსგავსად კოსმოსში მოგზაურობაზე ათასობით ადამიანი ოცნებობს.

რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ მან კოსმოსური ხომალდის სიმულატორი შექმნა. კომპიუტერულ თამაშში ვირტუალურად ნებისმიერს თავისი ოცნების ასრულება და სხვა პლანეტებზეც მოგზაურობა შეეძლო. თამაშმა მისი ავტორი საკმაოდ მდიდარ ადამიანად აქცია და ოცნების განხორციელების საშუალებაც მისცა.

2008 წლის 12 ოქტომბერს მეექვსე კოსმოსურმა ტურისტმა საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა რეალობად აქცია.

კოსმოსში გასამგზავრებლად ფიზიკური ჯანმრთელობა მნიშვნელოვანია, მაგრამ უმთავრესი პირობა არ არის. ორბიტაზე გასასვლელად ტურისტს ძლიერი ნერვები უნდა ჰქონდეს. კოსმოსში ადამიანებს შეზღუდულ სივრცეში დიდი ხნით ყოფნა უწევთ, ხოლო დახურული სივრცე და განსხვავებული გარემო ფსიქიკური აშლილობის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

კოსმონავტთა მომზადების ცენტრში იყო შემთხვევა, როცა იაპონელი კოსმოსური ტურისტი ნერვიული სტრესის გამო პროგრამას გამოეთიშა. მისი ადგილი კი წარმოშობით ირანელმა, აშშ-ის მოქალაქე ანუშე ანსარიმ დაიკავა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ანსარი დღეისთვის პირველი და ერთადერთი კოსმოსური ტურისტი ქალია.

მისთვის ეს გაფრენა სრული მოულოდნელობა იყო. ანუშე კოსმოსური ტურისტების „რიგში“ იდგა, დუბლიორ ეკიპაჟში ირიცხებოდა და გაფრენაზე თანხმობა სტარტამდე მხოლოდ ერთი თვით ადრე მიიღო.

2006 წლის 18 სექტემბერს ანუშე ანსარი ხომალდით Союз-ТМА-19 კოსმოსში გაფრინდა. მუსლიმანი ქალი ორბიტაზე დღიურს წერდა, რომელიც შემდგომში 30 მილიონზე მეტმა კაცმა წაიკითხა.

დენის ტიტო კი ამერიკელთა მცდელობის მიუხედავად, 2001 წლის 28 აპრილს მაინც გაფრინდა კოსმოსში და გაგარინის სტარტიდან 40 წლის შემდეგ ორბიტაზე პირველი არაპროფესიონალი ადამიანი აღმოჩნდა, რითაც კოსმოსის ათვისებაში ახალი ფურცელი გადაიშალა.

შვიდივე ტურისტს მოგზაურობა არც ისე ცოტა დაუჯდა, ყველა მათგანის მიერ გადახდილი თანხის ზუსტი ოდენობა უცნობია. მხოლოდ ის არის ცნობილი, დენის ტიტომ კოსმოსური ვოიაჟისთვის 20 მლნ, ხოლო ჩარლზ სიმონმა კი პირველ გაფრენაში 35 მლნ დოლარი გადაიხადა.

თუ თითოეულის მიერ გადახდილი თანხა საშუალოდ 25 მლნ დოლარია, მაშინ კოსმოსში მოგზაურობისათვის გადახდილი საერთო თანხა დაახლოებით 200 მლნ დოლარი იქნება. ეს არც ისე მცირეა და მალე თავგადასავალთა მაძიებლებს ეს სიამოვნება ბევრად იაფი დაუჯდებათ.

90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში ექსცენტრიკულმა მილიონერმა პიტერ დაინამსმა ფონდი X-Prize ჩამოაყალიბა და კონკურსში გამარჯვებულისთვის პრიზი — 10 მლნ დოლარი დააწესა.

1996 წლის 18 მაისს კონკურსის მოთხოვნები გამოცხადდა, — მონაწილეებს საკუთარი სახსრებით სამ კაცზე გათვლილი პილოტირებული ორბიტული ხომალდი უნდა აეგო.

ხომალდს მინიმუმ 100 კმ სიმაღლეზე (ამ სიმაღლეს აერონავტიკის საერთაშორისო ფედერაცია კოსმოსის საზღვრად თვლის) ასვლა უნდა შესძლებოდა. კონკურსის პირობები პირველი წარმატებული ფრენის შემთხვევაში ფრენის ორი კვირაში გამეორებას მოითხოვდა.

კონკურსს ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამერიკული კომპანია Scaled Composites-ი, რომელიც 1982 წლიდან ექსპერიმენტულ საფრენ აპარატებს აშენებდა. ამოცანის გასამარტივებლად და კონკურსის პირობათა დასაკმაყოფილებლად კომპანიამ საჰაერო სტარტის მეთოდი აირჩია და მატარებელ-თვითმფრინავსა და ორბიტულ ხომალდზე თავად დაიწყო მუშაობა.

ორკაციანი მატარებელი-თვითმფრინავი White Knight-ი (თეთრი რაინდი) ორი რეაქტიული ძრავით იყო აღჭურვილი და ფიუზელაჟის ქვეშ სპეციალური სამაგრებით რაკეტულძრავიანი ორბიტული ხომალდი SpaceShipOne ჰქონდა დამაგრებული.

სქემის მიხედვით, White Knight-ი ორბიტულ ხომალდს 14 კმ სიმაღლეზე აიყვანდა, სადაც SpaceShipOne მატარებელს დაშორდებოდა და 10 წამი ჰაერის შემხვედრ ნაკადში სტაბილიზაციისათვის თავისუფალ ვარდნაში იქნებოდა.

რაკეტული ძრავის ჩართვით ხომალდი ვერტიკალურად სიმაღლეს აიღებდა და 50 კმ სიმაღლის მიღწევის შემდეგ მომდევნო, 50 კმ-ზე ასვლას ინერციით გააგრძელებდა, რომლის ბოლოსაც ღია კოსმოსში აღმოჩნდებოდა, ფრენა ღია კოსმოსში დაახლოებით 3 წუთს გასტანდა და ტრაექტორიის აპოგეის (უმაღლესი წერტილი) მიღწევის შემდეგ დაბრუნებისთვის ატმოსფეროში შემოსვლის გასამარტივებლად ფრთები და კუდი იკეცებოდა. 17 კმ სიმაღლეზე დაშვებისას ფრთები და კუდი ისევ იშლებოდა და ხომალდი აეროდრომზე პლანირებით ჯდებოდა.

White Knight-სა და SpaceShipOne-ის პირველი ერთობლივი ფრენა 2003 წლის 20 მაისს შედგა და 1 სთ და 48 წთ გაგრძელდა. 2003 წლის 17 დეკემბერს ორბიტული ხომალდი პირველად ჩამოშორდა მატარებელ-თვითმფრინავს და 20,7 კმ სიმაღლეზე ავიდა.

2004 წლის 29 სექტემბერს პილოტმა მაიკ მელვილმა საკონკურსო პირველი ფრენა შეასრულა (ფრენა 24 წთ-სა და 11 წმ-ს გაგრძელდა), ხომალდმა 102,9 კმ სიმაღლეს მიაღწია.

4 ოქტომბერს პილოტმა ბრაიან ბინიმ მეორე გაფრენა შეასრულა, რომლის დროსაც სიმაღლემ უკვე 112 კმ შეადგინა.

პრიზის მოპოვების შემდეგ Scaled Composites-მა პროექტის განვითარება და ახალ მატარებელ თუ ორბიტულ თვითმფრინავებზე მუშაობა განაგრძო.

2006 წლის 28 სექტემბერს ახალი ორფიუზელაჟიანი White Knight Two-ს სრულმასშტაბიანი მაკეტის პრეზენტაცია მოეწყო. 2008 წელს კი კომპანიის ანგარიდან პირველი თვითმფრინავი გამოაგორეს. მისი სიგრძე 24 მ და ფრთის გაქანი კი 43 მ იყო. იმავე წლის 28 დეკემბერს თვითმფრინავი პირველად აფრინდა ჰაერში.

რაც შეეხება ორბიტულ ხომალდ SpaceShipTwo-ს, ის წინამორბედის ბაზაზე იქმნება და ბევრად უკეთესი შესაძლებლობები აქვს და ბორტზე რვა კაცს (6 მგზავრი და 2 პილოტი) იღებს. კონსტრუქტორ ბერტ რუტანის განცხადებით, SpaceShipTwo მაქსიმალურ 320 კმ სიმაღლეზე ასვლას შეძლებს, რაც უწონობის ეფექტს 3 წთ-დან 6 წთ-მდე გაზრდის.

ტურისტულ ფრენებს სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი კომპანია Virgin Galactic-ი შეასრულებს. სავარაუდოდ, ბილეთის ფასი 200 ათასი დოლარი იქნება. გეგმის მიხედვით, ხუთი მატარებელი-თვითმფრინავისა და ორი ორბიტული ხომალდის აგება არის დაგეგმილი. კომპლექსში შემავალი ორივე საფრენი აპარატის ერთობლივი ფრენა 2010 წლის 15 ივლისს შესრულდა. 10 ოქტომბერს კი 15 კმ სიმაღლეზე ორბიტული ხომალდი პირველად მოშორდა მატარებელ-თვითმფრინავს და მიწაზე დაეშვა. დღეისათვის პროექტი ინტენსიურ საფრენოსნო გამოცდებს გადის. ხელმძღვანელების თქმით, პირველი სუბორბიტული ფრენა 2011 წლის შემოდგომაზე შედგება.

**ალექსანდრე აფაქიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



კადაფის სამთავრობო არმიის T-72

# ლიბიის ომის სატანკო ბატალიები

**უკვე მეოთხე თვეა, რაც დასავლეთის ქვეყნების ავიაცია ლიბიის საომარ მოქმედებებში გარდატეხის შეტანასა და რაც მთავარია, მუამარ კადაფის ხელისუფლების დამხობას ცდილობს.**

ნავთობით მდიდარ ლიბიაში 1969 წლის 1-ელ სექტემბერს 27 წლის კაპიტანმა მუამარ კადაფიმ „თავისუფალ ოფიცერთა" ორგანიზაციის საშუალებით მონარქია დაამხო და ქვეყნის სათავეში მოვიდა.

მოსკოვმა რევოლუციონერ კაპიტანში მეგობარი ქვეყნის ლიდერი დაინახა, დახმარების ხელი გაუწოდა და საბჭოთა წარმოების შეიარაღებით უხვად ამარაგებდა.

საკუთარი არმიის სიძლიერეში დარწმუნებული ლიბიის ლიდერი კი მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გამორკვევას ძალის გამოყენებით შეეცადა.

1978-87 წლებში ლიბიის არმია მეზობელ ჩადის რესპუბლიკაში ოთხჯერ შეიჭრა. 1977 წლის ივლისში ეგვიპტეს ხმელეთსა და ჰაერში ხუთი დღე ებრძოდა. უყურადღებოდ არც უგანდა დარჩა, სადაც დიქტატორ იდი ამინს ტანზანიასთან ომში საარმიო ქვედანაყოფებით დაეხმარა.

ომს ყოველთვის დანაკარგი ახლავს და ჩადში ბრძოლებმა 316 ტანკთან ერთად ბევრად მეტი მსუბუქი ჯავშანტექნიკა შეიწირა. ეგვიპტესთან ხანმოკლე დაპირისპირებასაც კი მცირე რაოდენობით ჯავშანტექნიკის განადგურება მოჰყვა.

„The Military Balance" მონაცემებით, 2010 წლისათვის ლიბიის არმიის შეიარაღებაში 85 T-72M/72M1 (115 რეზერვში), 100 T-62 (70 რეზერვში) და 500 T-54/T-55 (1050 რეზერვში) ირიცხებოდა.



ლიბიელ აჯანყებულთა ტანკები

ინტენსიურმა და მრავალწლიანმა ექსპლუატაციამ სატანკო პარკის უდიდესი ნაწილი, ფაქტობრივად, გამოუსადეგრად აქცია. შედარებით გამართულია 1979-80 წლებში საბჭოთა კავშირიდან მიღებული T-72-ები.

2010 წელს რუსეთთან ტანკების სამოდერნიზაციო შეთანხმებას მოეწერა ხელი, მაგრამ სამოქალაქო დაპირისპირებამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა და თან საბრძოლო მოქმედება ტანკების დიდი დანაკარგით მიმდინარეობს. ასე რომ, ომის დასრულებისთვის ლიბიას შეიძლება თითზე ჩამოსათვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკისტების დასვენება ბედუინების ტრადიციული კარვის ქვეშ



ლი ტანკები დარჩეს. ომის დასაწყისში სამთავრობო ჯარების შემადგენლობაში 3 სატანკო ბრიგადა შედიოდა, საიდანაც ყველაზე ძლიერი — კადაფის მეექვსე ვაჟის, კაპიტან ჰამის კადაფის მეთაურობის ქვეშ მყოფი 32-ე ჯავშანსატანკო ბრიგადა იყო.

ოპერაციებში ტანკები ავტომატური იარაღით აღჭურვილი ავტომობილების, არტილერიის, მობილური ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემებისა და ავიაციის მხარდაჭერით მოქმედებდნენ. აჯანყებულებზე ასეთი უზარმაზარი უპირატესობის პირობებში ტანკებს საბრძოლო დანაკარგი თითქმის არც კი ჰქონდათ.

ვითარება 31 მარტიდან რადიკალურად შეიცვალა, როცა ლიბიაში საჰაერო ოპერაციის ხელმძღვანელობა NATO-მ აიღო და დასავლეთის ქვეყნების ავიაცია სამთავრობო ჯარების დაბომბვაზე გადავიდა.

ავიადარტყმების მთავარ სამიზნეებად დღემდე ტანკები და მსუბუქი ჯავშანტექნიკაა.

ელექტრონული დაზვერვის თვითმფრინავი RC-135 Rivet Joint-ი იჭერს ლიბიელი სამხედროების რადიოსაუბრებს და ამ ინფორმაციის საფუძველზე ჯავშანტექნიკის შესაძლო თავშეყრის ადგილებზე კოორდინატთა დასაზუსტებლად ფრენას უპილოტო Global Hawk-ები იწყებენ.

მიღებული მონაცემებით, საკომანდო პუნქტი რეკომენდაციებს გადასცემს შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენისა და მართვის თვითმფრინავ E-3 Sentry Awacs-ს, რომელსაც სამიზნეებზე მოიერიშე თვითმფრინავები გაჰყავს.

სამთავრობო ძალების თითქმის ყველა საჯარისო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი OCA-AK განადგურებულია, ხოლო ჯერ კიდევ შემორჩენილი Шилка-ს ტიპის თვითმავალი საზენიტო დანადგარები თანამედროვე თვითმფრინავებთან საბრძოლველად უკვე მოძველებულია.

კადაფის ჯავშანტექნიკა მარშის დროს ან საცეცხლე პოზიციებზე იბომბება და ხშირად NATO-ს ავიაციის გამოჩენისთანავე ეკიპაჟები ტექნიკას ტოვებენ და გარბიან, ხოლო მფრინავები, ფაქტობრივად, უძრავი სამიზნეების განადგურებაში ვარჯიშობენ.

ლიბიის საჰაერო ომის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოქმედება დროის რეალურ რეჟიმში და სამიზნეთა წინააღმდეგ მაღალი სიზუსტის საბრძოლო საშუალებათა მასობრივად (დაახლოებით 85%) გამოყენება.

განვლილი ბრძოლების საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

— ქალაქში არმია ტანკების ეფექტურად გამოყენებას ვერ ახერხებს, აჯანყებულებს კი სამთავრობო ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ ბრძოლა უჭირთ. თუმცა ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აჯანყებულებს კატარმა Milan-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები გადასცა და ოპერატორთა მომზადებაც დაიწყო;

სამთავრობო ჯარები შეტევისათვის ემზადებიან



ეროვნული ბიბლიოთეკა




ქალაქ მისრათის ერთ-ერთ ქუჩაში აფეთქებული ტანკის კოშკურა

— ბრძოლებში ჯავშანტექნიკის დანაკარგი უმნიშვნელოა და მისი ძირითადი ნაწილი NATO-ს ავიაციის მოქმედების შედეგია;

— ჯავშანტექნიკა მეტწილად შეუნიღბავი და გაშლილ ლანდშაფტზე ადვილად გასარჩევია, რაც საჰაერო-სახმელეთო დარტყმებს აადვილებს;

— სპეციალისტთა შეფასებით, ტანკებმა საბრძოლოზე მეტად ფსიქოლოგიური ზემოქმედების მნიშვნელობა შეიძინეს;

ყველა ტანკი დინამიკური თუ სხვა სახის დაცვის გარეშეა. თავის დროზე, როცა ლიბიელი სამხედროები საბჭოთა ტანკებს ყიდულობდნენ, ალბათ, ამის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. თავის მხრივ, აჯანყებულთა კოლონებში უკვე გამოჩნდა T-55-ები, რომლებსაც სავალი ნაწილის უკეთ დასაცავად ლითონის ეკრანები აქვს მიდუღებული.

დანაკარგის შესამცირებლად კადაფის მომხრეები აჯანყებულთა მსგავსად მცირერიცხოვანი ჯავშანტექნიკითა და შეიარაღებული ჯიპებით დაკომპლექტებული მობილური ქვედანაყოფების გამოყენებაზე გადავიდნენ, რაც რამდენიმე შეცდომის მიზეზიც გახდა. მით უფრო, რომ აჯანყებულთა ნაალაფარი ტანკების ერთ ნაწილს სამთავრობო ჯარების კამუფლირებული ფერები (მუქი მწვანე და ქვიშისფერი) შენარჩუნებული აქვს და ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი აჯანყებულთა დროშაა.

8 აპრილს ქალაქ ბრეგასთან NATO-ს ავიაციამ შეცდომით აჯანყებულთა კოლონაზე (12 T-55 და 6 T-72) მიიტანა იერიში და 3 ტანკი განადგურდა და 13 მებრძოლი დაიღუპა.

ბენღაზიში მყოფ აჯანყებულთა განცხადებით, კოლონის შესახებ NATO-ს სარდლობა წინასწარ იყო გაფრთხილებული, მათ იცოდნენ, რომ ტანკები ყვითლად იყო შეღებილი. მოგვიანებით NATO-მ შეცდომა აღიარა და ბოდიშიც მოიხადა.

აჯანყებულთა ტანკები ახლა ყვითლად იღებება და არაბულ ენაზე წითელი საღებავით მოწოდებები უკეთდება.

განადგურებული ჯავშანტექნიკის ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, მიახლოებითი დათვლა NATO-ს წარმომადგენელთა განცხადებებისა თუ სატელევიზიო რეპორტაჟების საფუძველზე თუ ხერხდება.

ტრიპოლიდან აღმოსავლეთით 200 კმ-ით დაშორებული პორტი მისრათი ლიბიის სტალინგრადად მოინათლა და ლამის სამთვიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებს დარჩათ.

მისრათისათვის ბრძოლებში ელიტური 32-ე ბრიგადის ჯავშანტექნიკა „შილკების“ მხარდაჭერით იბრძოდა და დიდი დანაკარგიც მიადგა.

მისრათში და ქალაქთან მდებარე ავიაბაზასა და სამხედრო დასახლებაში, აგრეთვე მისრათიდან დასავლეთით 11 კმ-ით დაშორებულ ქალაქ ად-დაფიას რაიონში სამთავრობო ძალებმა დაახლოებით 100-ზე მეტი ტანკი დაკარგეს, დიდი ნაწილი NATO-ს ავიაციაზე მოდის.

საჰაერო დაბომბვებისგან ტექნიკის გადასარჩენად სამხედროები ქალაქის ვიწრო ქუჩებსა თუ შენობებს იყენებენ. ბრძოლების შემდეგ კადაფის ტანკისტებმა მისრათის ბაზრის სათავსებში 8, კერძო მაღაზიებში კი 2 ტანკი დამალეს.

NATO-ს ავიაციამ 25 T-72 ქალაქ აჯაბიასთან ბრძოლებში გაანადგურა, ყველა ჰამის კადაფის 32-ე ბრიგადას ეკუთვნოდა.

აჯანყებულები ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად ტანკისტთა ნაკლებობასაც განიცდიან და ამის გამო ხშირად ნაალაფარ გამართულ ტანკებს ანადგურებენ. მისრათში ათი ტანკი ააფეთქეს.

მიახლოებითი გამოთვლებით, კადაფის არმიის სატანკო დანაკარგი 280-300 ერთეულს შეადგენს, საიდანაც ასზე მეტი T-72-ია.

დიდი ზარალის მიუხედავად, კადაფის არმია ბრძოლისუნარიანობას მაინც ინარჩუნებს. NATO-ს ავიაცია მის აქტიურობას მხოლოდ აყოვნებს, ბრძოლის ბედი მაინც სახმელეთო ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს.

**თემურ ჩაჩანიძე**



NATO-ს ავიაციის თავდასხმისას განადგურებული ტანკი

ივლისში ჟურნალი „ისტორიანი“ წარმოგიდგენთ! ტომი V

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ტომად

შევსებულია საბჭოთა ცენზურის მიერ ამოღებული მონაკვეთებით




„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (წიგნის ფასი 3 ლარი) უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაიუს მარიუსი

## ძვ.წ. 157-86

### ახალი კაცი

გაიუს მარიუსი NOVUS HOMO იყო — სოფლელი კაცი, რომელსაც წინაპრებში სენატორი არავინ ერია და წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ნიჭით მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დევნილობაშიც მოუწია ცხოვრებამ, კონსულად შვიდჯერ აირჩიეს.

დაიბადა 157 წელს, არპინუმში, სამხრეთ ლაციუმში. ესპანეთში, ნუმანციასთან ბრძოლაში მხედართმთავარ სციპიონ ემილიანის ყურადღება მიიქცია და მის ჯარს შეუერთდა. ამავე ომში რომაელთა მხარდამხარ იბრძოდა ნუმიდიის მეფე მასინისას ერთ-ერთი ვაჟის უკანონო შვილი იუგურთა, რომელიც მოგვიანებით ნუმიდიის მეფე გახდა.

119 წელს რამდენიმე არისტოკრატიული ოჯახის მხარდაჭერით გაიუს მარიუსი ტრიბუნად აირჩიეს და იულიუს კეისრის მამიდა შერთეს ცოლად. მალე რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი კვინტუს მეტელუსი ნუმიდიის ტახტზე ახალასულ იუგურთასთან საბრძოლველად გაგზავნეს. იუგურთა ცდილობდა, რომის ბატონობისგან გაეთავისუფლებინა ნუმიდია. როგორც ხელქვეითი, მარიუსიც გაჰყვა მეტელუსს. ამ უკანასკნელმა იუგურთა დაამარცხა, მაგრამ ნუმიდიის მეფე პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდა. მარიუსი 104 წლის 1-ელ იანვარს რომში დაბრუნდა, სადაც კონსულად აირჩიეს. მან ჯარის რეორგანიზებას მოჰკიდა ხელი და მოხალისეთა მიღება დაიწყო პლებეების ოჯახებიდან. ამასობაში იუგურთა ამბიციურმა არისტოკრატმა სულამ დაატყვევა. ნუმიდიის მეფე რომში ჩაიყვანეს და შიმშილით ამოხადეს სული ციხეში, თუმცა ჯერ მარიუსის ტრიუმფზე გაიყვანეს ხალხისთვის საჩვენებლად. მარიუსი ისევ კონსულად აირჩიეს, არადა, მეორე ვადით ამ პოსტის დაკავება უკანონობა იყო. იმხანად რომს ჩრდილოეთიდან გერმანული ტომები — ტევტონები და კიმბრები უტევდნენ. სანამ კვინტუს ლუტიციუს კატულუსი ბრენერის უღელტეხილს ამაგრებდა, მარიუსი ტევტონებს ჟლეტდა ექს-ან-პროვანსში (საფრანგეთი). კატულუსმა კიმბრები ვერ შეაკავა და ისინი ჩრდილოეთ იტალიაში შეიჭრნენ. ამიტომ მარიუსი კატულუსის სამხედრო ძალებს შეუერთდა და კიმბრები პოს ველზე, როვიჯოსთან ახლოს, მდინარე ვერჩელასთან დაამარცხა.

### სამოკავშირეო ომში

მარიუსს ბრძოლებში გამარჯვება მხოლოდ თავის დამსახურებად მიაჩნდა. რომში პოპულარობაც მოიხვეჭა, მაგრამ დაუძინებელ მტრად მოიკიდა მეტელუსი, კატულუსი და სულა.

კანონისა და წესების მიუხედავად, ის ჯარში ღარიბებსაც იღებდა და სოციალური წოდების უქონელთაც.

მარიუსმა პარტიულ პოლიტიკაში ჩართვით დიდი შეცდომა დაუშვა. მან მხარი დაუჭირა სახალხო ტრიბუნ ლუციუს აპულეიუს სატურნინუსის კანონებს ვეტერანებისათვის დაპყრობილი მიწების გადაცემისა და პურის გაიაფების შესახებ. კანონებს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მათ შორის — მეტელუსი, რომელმაც უარი თქვა კანონების მხარდაჭერაზე. ამისათვის მეტელუსი რომიდან განდევნეს. სატურნინუსმა მიაღწია მიზანს — კანონები მიიღეს, მაგრამ ამას სენატის უმრავლესობის უკმაყოფილება მოჰყვა. სატურნინუსმა და მისმა თანამოაზრე გაიუს სერვილიუს გლავციამ კაპიტოლიუმი დაიკავეს. სენატმა მარიუსს მოუწოდა, გადაერჩინა რესპუბლიკა, ამბოხებულები დაემორჩილებინა. სატურნინუსი და გლავცია მარიუსს დანებდნენ. სენატის მომხრეებმა შენობას, სადაც სატურნინუსი იყო დამწყვდეული, სახურავი გადახადეს და ტყვე ქვებით ჩაქოლეს, მარიუსს კი მეგობრის მოღალატის სახელი დაუვარდა. იძულებული გახდა, რომიდან წასულიყო. სწორედ ამ დროს დაბრუნდა მეტელუსი დევნილობიდან. ამას 90-88 წლების სამოქალაქო ომი, იგივე სამოკავშირეო ომი, ანუ იტალიური ომი მოჰყვა. მარიუსი კონსულ რუტილიუს ლუპუსთან ერთად მეტელუსის მომხრეს, სულას შეებრძოლა, მაგრამ 88 წელს გამარჯვება სულას დარჩა — მან რომი აიღო. მარიუსმა აფრიკას შეაფარა თავი, მაგრამ 87 წელს დაბრუნდა და გადაყენებულ კონსულ ლუციუს კორნელიუს ცინასთან ერთად რომი აიღო. 86 წელს ორივე კონსულებად აირჩიეს —

### ქრონოლოგია

* ძვ. წ. 157 დაიბადა არპინუმში, იტალიაში.

* 134 — იბრძოდა ნუმანციის ომში, ესპანეთში.

* 119 — აირჩიეს ტრიბუნად.

* 108 — იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში. აირჩიეს კონსულად; აფრიკაში ჯარის სარდლობა ჩაიბარა.

* 105 — ნუმიდია დაიმორჩილა.

* 102 — საფრანგეთში ტევტონები დაამარცხა.

* 101 — ციზალპურ გალიაში ძველი გერმანელი ხალხი — კიმბრები დაამარცხა.

* 99 — სენატის მოწოდებით თანამოაზრე ტრიბუნი სატურნინუსი შეიპყრო. მეგობრის მოღალატის სახელი დაუვარდა და რომიდან გადაიხვეწა.

* — 90-88 მონაწილეობდა სამოკავშირეო ომში; თანამებრძოლი სულა დაუპირისპირდა და რომიდან განდევნა. აფრიკას შეაფარა თავი.

* — 87 იტალიაში დაბრუნდა და რომი აიღო.

* — 86 მეშვიდეჯერ აირჩიეს კონსულად. გარდაიცვალა რომში, 13 იანვარს.

მარიუსი უკვე მეშვიდეჯერ იკავებდა ამ პოსტს. მარიუსმა ყველა გავლენიანი პოლიტიკური ოპონენტი სიცოცხლეს გამოასალმა, თვად კი რომის დაკავებიდან მეშვიდე დღეს გარდაიცვალა.

სხვათა შორის, მარიუსის ვაჟიც ემსხვერპლა სულასთან ბრძოლას, რომელიც 82 წელს რომის დიქტატორი გახდა. მოგვიანებით გაიუს მარიუსის ცოლის ძმისწულმა იულიუს კეისარმა კაპიტოლიუმში დააბრუნა გაიუს მარიუსის გამარჯვებების აღმნიშვნელი ტროფეები, რომლებიც თავის დროზე სულამ ჩამოართვა.

## მარიუსის ბრძოლები

- 105 წელს ნუმიდიის მეფე იუგურთამ სიმამრთან — მავრეტანიის (თანამედ. დას. ალჟირი და ჩრდ. მაროკო) მეფე ბოქხუსთან შეაფარა თავი. რომის შეჭრით თავზარდაცემულმა ბოქხუსმა სიძე გასცა. იუგურთა მარიუსის კვესტორმა სულამ შეიპყრო და როგორც ხელქვეითმა მთავარსარდალს — მარიუსს გადასცა. ასე რომ, ამ ომში გამარჯვებისთვის პატივი მარიუსს მიაგეს.
- 105 წელს, როდესაც მარიუსი ჩრდილოეთ აფრიკაში იყო, კიმბრებმა და ტევტონებმა რონაზე ორი რომაული არმია გაანადგურეს, 80000 ჯარისკაცი მოკლეს. იტალიას ჩრდილოეთიდან შეჭრის საფრთხე დაემუქრა. სანამ კიმბრები ესპანეთისკენ მიდიოდნენ, ტევტონები კი გალიაში დათარეშობდნენ, მარიუსს არმიის მოსამზადებელი დრო ჰქონდა. 102 წელს კიმბრები ჩრდილო-დასავლეთიდან, ბრენერის უღელტეხილით ალპებზე გადასვლას შეუდგნენ და იტალიაში შეჭრა დააპირეს. ტევტონები სამხრეთიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროთი დაიძრნენ რომისკენ. ამასობაში ტიგურინებმა (მოკავშირე კელტურმა ტომმა), რომელთაც 107 წელს რომაული შენაერთი დაამარცხეს, ალპები ჩრდი-



ლო-აღმოსავლეთიდან გადმოლახეს. მარიუსი ტევტონებთან შესაბრძოლებლად ჯარს გაუძღვა და მოწინააღმდეგე ექსან-პროვანსისკენ გადარეკა. გერმანელთა წამყვანმა სამხედრო კონტინგენტმა შეცდომა დაუშვა და დამხმარე ჯარის მოსვლამდე შეუტია რომაელებს. ამის გამო 30000 მეომარი დაკარგა. მარიუსის 3000 ჯარისკაცი ზურგიდან დაესხა თავს ტევტონებს და ერთიანად გაანადგურა. ბრძოლის ველზე 100000 გერმანელი დაეცა.
- კატულუსმა ბრენერის უღელტეხილზე კიმბრები ვერ შეაკავა, ამიტომ მარიუსი ჩრდილოეთისკენ გაემართა მის ჯართან შესაერთებლად. 101 წლის ზაფხულში მდინარე ვერჩელასთან სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. კარგად გაწვრთნილმა და დისციპლინირებულმა რომაულმა არმიამ სძლია რიცხვმრავალ ბარბაროსებს. დაახლოებით 100000-მდე კიმბრი გაჟლიტეს, სხვები კი ტყვედ წაასხეს. დამფრთხალმა ტიგურინებმა უკან დაიხიეს. მარიუსმა და კატულუსმა ტრიუმფი ერთად გადაიხადეს, მაგრამ ხალხმა გამარჯვება მარიუსს მიაწერა, რის გამოც კატულუსი მის შეურიგებელ მტრად გადაიქცა.
- 88 წელს რომის სათავეში სულა მოექცა და მარიუსმა ვაჟთან ერთად აფრიკას შეაფარა თავი. 87 წელს ეტრურიაში, რომის ჩრდილოეთით, ჩავიდა, ვეტერანთა ჯარი შექმნა და რომის პორტი ოსტია დაარბია. მარიუსს გადაყენებული კონსული ცინაც შეუერთდა, გაერთიანებული ძალით აიღეს რომი და სულა განდევნეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# 8 აგვისტოს დაბადებულნი

**ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ბიჭებს**

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N9-12, 2011)**

ნანას მაისური აეწია და სარკეში გულდასმით ათვალიერებდა თავის შიშველ მუცელს. არა, ჯერ არაფერი ეტყობა და ვერც ვერავინ მიხვდება, ორსულად რომ არის, ეს პირღებინება რომ არ ჰქონდეს ასე ხშირად. როდემდე დამალავს? მამა კიდევ ჰო, მაგრამ დედას როგორ გამოაპარებს? დედის გული სხვაა. ისედაც ალმაცერად უყურებს ბოლო ხანებში, თითქოს რაღაცას ეჭვობსო. აკი უთხრა კიდეც გუშინ, რაღაც შენი ფერი არ მომწონს, ცუდად გამოიყურებიო. თან როგორ გახდა... ნეტავ, რატომ? ნერვიულობის ბრალია თუ ორსულობის დროს იცის ასე? რა გასაკვირია, საჭმელი ვერ უჭამია წესიერად. ორ ლუკმას გადაყლაპავს და ეგრევე საპირფარეშოში გარბის. არა და არ გადაუარა გულისრევის შეგრძნებამ.

მაისური ჩამოიწია და ახლა სახე მიუახლოვა სარკეს. აი, როგორ დააყარა ცხვირის გარშემო! თითქოს ჭორფლი გამოუვიდაო. ყავისფერი ლაქები დააჩნდა ლაწვებთან. ერთი, ორი, სამი... ათი, თექვსმეტი... ღმერთო, რამდენია! თვალებიც შეუშუპდა. ყველა სიკეთესთან ერთად ფეხები და ხელებიც უსივდება. იქნებ უთხრას დედას? რა მოხდა, მერე? ნაბიჭვარს ხომ არ აჩენს? უყვარს გიორგი და ცოლადაც მიჰყვება. განა რა დარჩა 8 აგვისტომდე? მან უკვე ყველაფერი იცის, ამიტომ დააჩქარებს ქორწილს. ოქტომბრამდე აღარ შეიძლება მოცდა, დაეტყობა მუცელი და სოფლის სალაპარაკო გახდება. არა, რაღა ახლა მოუწია გიორგისაც მივლინებამ? თითქოს მის ჯინაზე ხდება ყველაფერი. ეჰ... ოღონდ მშვიდობით ჩამოვიდეს და აღარ დაეძებს, ყველაფერს მოევლება... მაგრამ ირაკლიც რომ წაუყვანიათ? ასე უთხრა წეღან დედამისმა, ორივე შვილი გამომაცალეს ხელიდანო. რა ცუდად თქვა! რას ნიშნავს, გამომაცალეს? ომში ხომ არ არიან? ჩვეულებრივი წვრთნებია, მეტი ხომ არაფერი? ოხხხხ! ვერ იტანს, ვერ იტანს ამ სამხედრო სამსახურს! როგორ სძულს ეს პროფესია, როგორ ეზიზღება!

— ნანა, არ მოგშივდა, შვილო? — მოულოდნელად დარიკომ შემოაღო კარი და აცრემლებულ ქალიშვილს რომ შეხედა, გული შეუღონდა, — რა იყო, დედა გენაცვალოს, ხომ მშვიდობაა ჩვენს თავს?

— არაფერი, დედი, გიორგის წავეჩხუბე ცოტა და... — გოგონამ ცრემლიანი ნერწყვი ძლივძლივობით გადაყლაპა და სველი უპეები შუა და საჩვენებელი თითებით ამოიწმინდა.

— არ მომწონხარ მე შენ ეს დღეებია, რაღაცას მიმალავ... ასეა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანამ ხმა არ გასცა. დედა არ მოეშვა.

— არ გინდა, მითხრა, რა ხდება? — დარიკო მიუახლოვდა ქალიშვილს და გამომცდელად შეაჩერდა.

გოგონას მეტიც არ უნდოდა, უეცრად აქვითინდა და ყელში მობჯენილ ცრემლს გზა მისცა.

— მოგიკვდეს დედა! ეგრეც ვიცოდი... როგორ მაშინვე მივხვდი... კარგი, დაწყნარდი, მამაშენი არ შემოვიდეს უცებ. ნუ ტირი, ყველაფერს მოევლება, ჩემო ლამაზო, დამშვიდდი ახლა, გესმის თუ არა შენ! — ხმა გაიმკაცრა ბოლოს, გოგონას მხრებში ჩაავლო ხელი და შეაჯანჯღარა.

ნანამ ტირილი შეწყვიტა და დედის მკერდზე მიესვენა თვალებმილულული.

დედა-შვილი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, შეფიქრიანებული. ბოლოს ისევ დარიკომ დაარღვია უსიამოვნო სიჩუმე.

— რას აპირებთ ახლა, როდემდე უნდა იყოთ ასე?

— აპირებდა, დედი, დაბადების დღეზე აპირებდა, მაგრამ რომ არ ელოდა, ისე გაუშვეს მივლინებაში.

— რა დროს მივლინებაა ამ შუა ზაფხულში, გოგო, რამეს ხომ არ გატყუებს ის ბიჭი? — კოპი შეკრა დარიკომ, ქალიშვილი მკერდიდან მოიცილა და თვალებში ჩახედა.

— არა, რას მატყუებს. გიორგიმ არ იცოდა. მხოლოდ წუხელ გაიგო.

— რაო, მერე, რა გითხრა?

— როგორც კი ჩამოვალ, ეგრევე ჩემთან წაგიყვან, აღარ დაველოდებიო შემოდგომას, მეც აღარ შემიძლიაო მეტი, — ამოისლუკუნა გოგონამ.

— და რამდენ ხანში ჩამოვალო, არ უთქვამს? — დარიკო, როგორც შეეძლო, ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

— მაქსიმუმ ორ კვირაშიო.

— მაშინვე რატომ არ უთხარი, შვილო, აქ არ გყავდა ორი დღის წინ? — თავი გადააქნია ქალმა, მაინც ვერ მოითმინა, სიმწრით თავზე შემოირტყა ხელი და ეს რა დაგვემართაო, ჩაიჩურჩულა.

— დედა, გეყოფა! — შეუწყრა ნანა, — არ ვუთხარი, რადგან სიურპრიზი მინდოდა 8 აგვისტოს გამეკეთებინა. შენ გესმის, ეს რამხელა სიხარულია მისთვის?

დარიკომ დოინჯი შემოიყარა და გამხებულმა შეუტია.

— მისთვის არის სიხარული, არა? ჩემთვის? მამაშენისთვის? ამაზე გიფიქრია?

— მორჩი ახლა, გეყოფა, გთხოვ!

ქალმა ერთი ღრმად ამოიოხრა, თავი უკმაყოფილოდ გადააქნია და კარისკენ წავიდა.

— წამოდი, შეჭამე რამე, ბავშვს არ მოაშივო, — შემრიგებლური ტონით წარმოთქვა და ოთახიდან გავიდა.

ნანას გაეღიმა.

* * *

— რას ამბობენ, ხომ არაფერი გაგიგია? — ირაკლი ძმას მიუჩოჩდა და მხრით შეეხო.

გიორგიმ მოხედა.

— ორ დღეში ან ასე იქნება, ან ისეო.

— ეგ რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ომი დაიწყოს.

— არ მომწონს ეგ ხუმრობა, — ირაკლიმ თავი ჩაღუნა, იქვე ამოსული ბაბუაწვერა მოწყვიტა და სული შეუბერა.

— კარგია, თუ ხუმრობა გამოდგება... — ერთხანს გაჩუმდა, მერე კი ხალისიანი ხმით გააგრძელა, — ახალი ამბავი იცი?

— რა ამბავი?

— მალე მამა გავხდები, — ღიმილი ვერ შეიკავა გიორგიმ.

— ნუ ახურებ! მართლა? — თვალები გაუბრწყინდა ირაკლის.

— ჰო. წუხელ მითხრა ნანამ.

— ვა, რა მაგარია! აბა, ქორწილი არ აგვცდება!

— ქორწილი ისედაც არ აგვცდებოდა, შემოდგომაზე ყველა ვარიანტში ვაპირებდი...

— ჰოდა, უფრო მალე არ აგვცდება, — გაიხუმრა უმცროსმა ძმამ და მხარზე დაარტყა ხელი გიორგის, — მამიკო ხდები, ძმაო?

გიო შეიშმუშნა, ეხამუშა ძმის ნათქვამი.

— მთავარია, მშვიდობიანად დამთავრდეს ეს დაძაბულობა, — თქვა და განზე გაიხედა, მზერა აარიდა ირაკლის.

— გული ცუდს არაფერს მიგრძნობს, რომ იცოდე.

— აბა, რა ვიცი... ვნახოთ, რა იქნება.

— ჩვენებმა იციან?

— რა?

— ნანას ამბავი.

— არა ჯერ. რომ ჩავალ, მერე ვეტყვი.

— ეგრე აჯობებს. ინერვიულებენ.

— მეც ვიფიქრე ეგ, ამიტომაც შენ გითხარი მარტო. თუ რამეა, იცოდე, რომ...

— შენ ხომ არ გაგიჟდი! რაებს ლაპარაკობ, თუ ძმა ხარ! შენს ცოლს შენ თვითონ მიხედე, გაიგე? — გახუმრება

**ბატონო ოფიცრებო, ცხინვალთან ქართულ სოფლებს ადგილობრივი სეპარატისტები ცეცხლს უშენენ, დაღუპულია რამდენიმე მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი. მიღებულია ბრძანება, კოლონებით დავიძრათ ცხინვალისკენ... 2008 წლის 8 აგვისტო თენდებოდა...**



სცადა ირაკლიმ, თუმცა ხმაზე შეეტყო, რომ არც თვითონ იყო მთლად მშვიდად.

ამ დროს ვიღაცამ დაიძახა.

— მარჯხაშვილი სად არის?

— რომელი? აქ ვარ! — გასძახა ირაკლიმ და ზეზე წამოიჭრა.

— ორივენი მოდით აქ, კანდელაკი გიბარებთ!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და ხმის ამოუღებლად გაეშურნენ იქვე მდგარი პატარა შენობისკენ, სადაც ოფიცრები იყვნენ დაბინავებულნი...

* * *

დავითი ვენახში ფუსფუსებდა. გამოშვერილ ლერწებს მზრუნველად ამაგრებდა ჭიგოებზე. შუბლშეკრული ღრმად იყო ჩაფიქრებული. შუბლი თითქოს მეტად ღაღაროდა ნაოჭებისგან. ფიქრებით კვლავ წარსულს გადაწვდა.

## 2007 წლის 8 აგვისტო

თოხლიაურში პაპანაქება იდგა. ასეთი ცხელი ზაფხული ჯერ არ ყოფილა კახეთში. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, დავითის მარანში ვეებერთელა სუფრა იყო გაშლილი და მეზობლები ყანწებს უჭახუნებდნენ ერთმანეთს. განსხვავებული სასმისების ნამდვილი მარათონი ჰქონდათ გაჩაღებული. როგორც ყოველთვის, გიორგის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. მამაკაცებს ოფლი ხვითქად გადასდიოდათ და სველ ცხვირსახოცებს წარამარა უცვლიდნენ ადგილს ზოგი კისერზე, ზოგიც მოღეღილ მკერდზე, თან სადღეგრძელოს ამბობდნენ და თან ოხუნჯობდნენ.

სუფრასთან, მეზობლებთან ერთად, ქართულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ოფიცერიც იჯდა. მათ შორის — დავაჟკაცებული გიორგი, რომელსაც უკვე კაპიტნის ჩინი მიეღო და სატანკო ჯარების ემბლემა ეკეთა. მის პირდაპირ კი უმცროსი ძმა — ირაკლი დაყრდნობოდა კერძებით დახუნძლულ მაგიდას და ოდნავ შემთვრალს თვალები ებლიტებოდა თითქოს. მასაც სამხედრო ფორმა ამშვენებდა, ლეიტენანტის წოდებით და ფორმაზე საჰაერო თავდაცვის ემბლემა ჰქონდა დამაგრებული.

— სმენა იყოს და გაგონება! — შესძახა უკვე თმაშეჭაღარავებულმა დავითმა, ფეხზე წამოდგა და გიორგის სახელობის ყანწს დაავლო ხელი, — ყველას კარგად მოეხსენება ამ ყანწის ისტორია. ერთხელ ხომ დავლიეთ უკვე, ახლა ხელმეორედ მოგვიწევს მისი დაცლა. შემივსე, ერთი, შენს გაზრდას! — ყანწიანი ხელი იქვე მდგარი მერიქიფისკენ გაიშვირა მამაკაცმა და როცა ყანწი ბოლომდე გაუვსეს, გააგრძელა, — იქ რომ ბიჭია, ჩვენგან ძალიან შორს, დიდ რუსეთში...

ამ დროს მის მობილურზე ზარი გაისმა. დავითმა ეკრანს დახედა და კმაყოფილი ღიმილი გამოესახა სახეზე.

— ხედავთ? დამასწრეს, მაინც დამასწრეს! მოსკოვიდან რეკავენ! ჩემი დიმიტრია ხაზზე!.. სლუშაიუ, დარაგოი, — რუსულად შესძახა და ტელეფონი სპიკერფონზე დააყენა, რათა დიმას ხმა ყველას გაეგონა.

2002 წლის 8 აგვისტოს შემდეგ, როცა უბრად მყოფმა მეგობრებმა ერთმანეთს შვილების დაბადების დღეები მიულოცეს, სწორედ იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ, დავითსა და დიმიტრის შორის ძველი ურთიერთობა აღდგა. თუმცა მისვლა-მოსვლის გარეშე, მხოლოდ ტელეფონის საშუალებით. ასე თუ დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რადგან გართულდა სიტუაცია ორ ქვეყანას შორის. დავითს ვიზის აღების თავი არ ჰქონდა, რომ მოსკოვში ჩასულიყო, დიმიტრი კი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელე გახლდათ და საქართველოში თავის გემოზე ველარ ჩამოვიდოდა.

— იუბილარ ტანკისტს ჩემგან მხურვალე მილოცვა გადაეცი, ჩემო დათო, — ისმოდა დიმიტრის ხმა, — ჩემგანაც, ჩემი ცოლისგანაც და ჩემი მფრინავი ვლადიმირისგანაც.

— დიდი მადლობა, დიმა, მეც იმავეს გეტყოდი, ჩემო მეგობარო! გულმა გიგრძნო, თუ რა? ამწუთას შევავსე ყანწი და ვლადიმირის სადღეგრძელოს თქმას ვაპირებდი, რომ იცოდე! — დავითი სიხარულით აღარ იყო.

მეგობრებმა მთელი გულით მიულოცეს ერთმანეთს შვილების დაბადების დღე, მერე მობილურ ტელეფონებზე ვიდეოსიგნალი ჩართეს და ერთმანეთს აყურებინეს, თუ როგორ შესვეს ბოლომდე ღვინით გაპიპინებული ყანწები.

შემდეგ გიორგი დაელაპარაკა ვლადიმირს. ბიჭები ხედავდნენ ერთმანეთს მონიტორზე, ვლადს საალლუმო სამხედრო ფორმა ეცვა და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტნის ოთხ-ოთხი პატარა ვარსკვლავი მოუჩანდა სამხრეებზე. ვლადიმირი კი გიოს ათვალიერებდა ინტერესით და ისიც ხედავდა, რომ გიორგი ქართული არმიის ახალ კამუფლირებულ ფორმაში იყო გამოწყობილი და მასაც კაპიტნის ჩინი ამშვენებდა.

— მე ახლა ბუდიონოვსკში, ჩრდილო კავკასიაში ვმსახურობ და ესკადრილიაში რგოლის მეთაური ვარ. Су-25 ტიპის მოიერიშეზე დავფრინავ — აი ისეთზე, თქვენთან თბილისში მამაშენი რომ აწყობდა, — ერთგვარი სიამაყით ისმოდა ვლადიმირის ხმა, — შენ?

— მე კი მიწაზე, 41-ტონიანი მონსტრით დავხოხავ, ოღონდ ის მოძველებული T-72 კი არ გეგონოს, მანდ რომ გყავთ, ისე გავაუმჯობესეთ, ამერიკელებს შემურდებათ, — არანაკლები სიამაყით უპასუხა გაღიმებულმა გიორგიმ.

ბიჭები ლაპარაკს მორჩნენ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. გიორგიმ ტელეფონის აპარატი მამას დაუბრუნა, სუფრასთან კი ქეიფი კვლავ გაგრძელდა.

ამ დროს მარნის კარი გაიღო და ზღურბლზე ხაჭაპურდახვავებული ორი დიდი თეფშით ნანა გამოჩნდა. გიორგიმ შეფარვით გახედა თავის რჩეულს, გოგონამაც გააპარა მორცხვი მზერა შეყვარებულისკენ, რომელმაც სწორედ წინა საღამოს აუხსნა სიყვარული.

— ო-ჰო-ჰო-ჰო! — შესძახა დავითმა ნანას დანახვაზე, — რა ოხშივარი ასდის, ერთი შეხედეთ! ნეტავი იმას, ვის ოჯახშიც შენ შეხვალ, ჩემო შვილო! ოქროს ხელები გაქვს, ოქროსი! — თმაშეჭაღარავებულმა მარჯხაშვილმა გოგონა თავისთან მოიხმო და შუბლზე სათუთად ეამბორა.

გიორგიმ ჩაიღიმა და მოულოდნელად მამის ეშმაკურ მზერას წააწყდა.

მშობელმა უფროს ვაჟს ჯერ თვალი ჩაუკრა, მერე კი ორივე წარბი მრავალმნიშვნელოვნად აზიდა და ღვინით სავსე თასი პირთან მიიტანა...

ყოველივე ამის გახსენებაზე ვენახში მოფუსფუსე დავითს თვალები ცრემლით აევსო.

— შენ დაიფარე ჩემი შვილები, უფალო! — მამაკაცმა ზეცისკენ აღაპყრო სევდიანი მზერა და პირჯვარი გადაისახა...

* * *

— ბატონო ოფიცრებო, — პოლკოვნიკი კანდელაკი შუბლშეჭმუხნილი მიმართავდა პლაცზე ჩამწკრივებულ სამხედროებს, — ცხინვალთან ქართულ სოფლებს ადგილობრივი სეპარატისტები ცეცხლს უშენენ, დაღუპულია რამდენიმე მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი. მიღებულია ბრძანება, კოლონებით დავიძრათ ცხინვალისკენ...

2008 წლის 8 აგვისტო თენდებოდა...

**ირაკლი ალადაშვილი**
**სვეტა კვარაცხელია**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


უკვე ხარ 18 წლის?
ხარ გამორჩეული მებრძოლის სულისკვეთებით?!
გინდა იყო ფორმაში, მიიღო ადრენალინი?!
საქართველოს აირსოფტის ფედერაცია წარმოგიდგენთ საომარ სიმულატორს რეალურ დროში! ბრძოლა სადაც ემოცია, განცდა რეალური ომის დონეზეა, ბრძოლა რომელშიც უნდა იფიქრო როგორ გადარჩე, ომი რომლიდანაც ყოველთვის ცოცხალი ბრუნდები! დაგაინტერესა? მობრძანდი და შენ ჩვენი დიდი ოჯახის წევრი გახდები!
AIRSOFT SHOP
ტელ: 890 30 10 19
www.airsoftshop.ge



ჩეხეთი, ბრნოს ტყე
2010 წლის დეკემბერი,
ირემზე ნადირობის შემდეგ
ჯანსულ ბოჭორიშვილი

# ბრნოს ტყეში მონადირებული ირმის ამბავი

**ნადირობის ჟინი ადამიანებს ოდითგანვე მოსდევთ. ერთმა მოხუცმა მონადირემ მითხრა, თუ ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეიგრძენი ნადირობით მიღებული სიამოვნება, ვერასოდეს დაანებებ თავსო. ამ მხრივ არც ჩემი რესპონდენტია გამონაკლისი. როგორც ამბობს, ნადირობა მისი ცხოვრების სტილია, ტყე და ბუნება კი თავისი ბინადრებით სამშობლოსთან არის ასოცირებული, ნამდვილი მონადირე კი — ბუნების დამცველთან. ჯანსულ ბოჭორიშვილი — ფორუმ-ჯგუფის — www.monadire.ge-ს დამფუძნებელი — პროფესიით ეკონომისტია და სპორტის ამ უძველესი სახეობით ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესდა. იხსენებს საინტერესო ამბებს და მონადირისთვის დამახასიათებელი პათეტიკით მიხსნის თითოეულ დეტალს.**

**ჯანსულ ბოჭორიშვილი:** „ნადირობა 14 წლისამ დავიწყე. მამაჩემი ბავშვობიდან ცდილობდა ამ საქმით ჩემს დაინტერესებას, მეც მომწონდა და ყოველთვის დიდ ინტერესს ვიჩენდი. კარგად მახსოვს ის სიხარული, როცა მამაჩემი შინ ნანადირევს მოიტანდა. გახარებული დავხტოდი და ფრინველებს ვათვალიერებდი. მამაჩემი ყოველთვის მასაჩუქრებდა ცარიელი მუყაოს ვაზნით, რომელსაც კიდევ ჰქონდა შერჩენილი დამწვარი დენთის სუნი. დავიკავებდი ხელში ცარიელ ჰილზას და ხარბად ვყნოსავდი. როცა რამეს არ შევჭამდი, მამაჩემი მეტყოდა, მაგას თუ არ შეჭამ, მონადირე ვერ გამოხვალო და მზად ვიყავი, ყველაფერი გამეკეთებინა.

**— როგორ გაიხსენებთ პირველ ნადირობას?**

— ეს ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო და არასოდეს დამავიწყდება. 29 აგვისტო იყო, მარიამობის მეორე დღე. მე და მამაჩემი ჩვენს ძაღლთან, ჯეკასთან ერთად სიმინდის ყანის კიდეს მივუყვებოდით. უცებ ჯეკა შეჩერდა, თავი ასწია და ჰაერი მოყნოსა. გული უცნაურად ამიჩქარდა, მივხვდი, მწყერი ახლოს უნდა ყოფილიყო. ჯეკამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მარცხენა ფეხი მოხარა და კისერმოღრეცილი გაირინდა. დავიძაბე, ვხვდებოდი, რამდენიმე წამში მწყერი ამოფრინდებოდა და მამასთან თავი არ უნდა შემერცხვინა. თოფი მოვიმარჯვე და ჯეკას ბრძანები მივეცი, „ეცი", ძაღლმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და მწყერიც წამოფრინდა, აღარც კი მახსოვს, ისე სწრაფად დავუმიზნე, თუმცა არ დამავიწყდება, მოწყვეტით რომ ჩავარდა მწერი ყანაში. ეს იყო ჩემი პირველი ნანადირევი, რამაც ძალიან დიდი სიხარული მომიტანა მეც და მამაჩემსაც.

**— რაზე არჩევთ ნადირობას, ფრინველზე თუ ნადირზე და რატომ?**

— გარეულ იხვზე. მთელი სეზონი ველოდები იმ დღეს, როდის გამოჩნდება იხვი და დიდ სიამოვნებას განვიცდი, როცა ეს ფრინველი ჩრდილოეთის საზღვარს გადმოკვეთს და შავი ზღვისპირა რაიონებში დაიბუდებს. იხვზე ნადირობა მეტად აზარტულია. ალბათ, იმიტომ, რომ არც ისე იოლია. იხვზე ნადირობისას სასურველია იყოს თოვლიანი და ქარიანი ამინდი. თოვლჭყაპსა და ქარში ძნელია სიარული დაჭაობებულ ადგილებში მაღალყელიანი რეზინის ჩექმით, მით უმეტეს, როცა თითქმის გულამდე ეფლობი ტალახსა და ჭაობში. მაგრამ მონადირეს ეს უღირს იმ რამდენიმეწუთიანი სიამოვნებისთვის, რასაც ეწერში შესული განიცდის იხვების გადმოფრენისას. ეს დაახლოებით 20-30 წუთი შეიძლება გაგრძელდეს. ამ დროს ჭაობში შესასვლელად შეიძლება 3 საათიც კი დაგჭირდეს. იხვზე ნადირობას კიდევ ერთი რამ მატებს აზარტს, ის სწრაფად დაფრინავს, ბუმბულიც ტყვიის მიმართ საკმაოდ მდგრადი აქვს, ჭრილობის ამტანი ფრინველია და ეს უფრო ართულებს მის მოპოვებას.

**— რა ჯიშის ძაღლებს ანიჭებთ უპირატესობას?**

— მინდორში ნადირობისას მწყერზე საუკეთესო მონადირედ პოინტერი მიმაჩნია. ამ ძაღლს აქვს კარგად განვითარებული ყნოსვა, ენერგია, სისწრაფე და ძებნის შესანიშნავი უნარი. დამჯერი და გამგონია, ლამაზად და შნოიანად ეძებს ფრინველს და აკეთებს ნაბულს. თუმცა აქვს ერთი ძალიან დიდი ნაკლიც — მცივანაა და ზამთარში სანადიროდ არ გამოდგება. მაშინ, როცა შეუდარებელია მწყერზე ნადირობისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის გამოუსადეგარი ხდება იხვზე ნადირობისას. იხვსა და ტყის ქათამზე სანადიროდ უპირატესობას ვანიჭებ შოტლანდიურ სეტერს (გორდონი) და გერმანულ კურცხაარს. ეს ძაღლები საკმაოდ ამტანები არიან და დაჭაობებულ ადგილებშიც კარგად ნადირობენ.

**— მონადირებულთაგან, უფრო რომელი ნანადირევი დაგამახსოვრდათ?**

— ჩეხეთში, ბრნოს ტყეში მონადირებული ირემი. სანადიროდ მე და ჩემი ჩეხი მეგობარი იოზეფი ვიყავით. პრაღიდან დაახლოებით 150 კმ-ში, შუაგულ ტყეში რომ შევედით, იოზეფმა მანქანა გააჩერა. იქიდან ფეხით უნდა გვევლო. დაახლოებით 40 წუთი ვიარეთ მუხლამდე თოვლში, ჰაერის ტემპერატურა -14°-მდე დაეცა.

რამდენიმე ბილიკის გასაყარზე იოზეფს კოშკურა ჰქონდა მოწყობილი. კოშკურაზე ავედით და სკამებზე დავსხედით. იოზეფმა სარკმელი გააღო და თავისი კარაბინი გადმომცა. საფარს ირგვლივ მინის ფანჯრები ჰქონდა, თუმცა ნადირისთვის სროლა მხოლოდ წინა მხარეს შეიძლებოდა. იოზეფმა როგორც ამიხსნა, გვერდით სარკმლებს ვერ გავაღებდით, გავიყინებოდით ტყეში. 4 საათი ველოდეთ ნადირის გამოჩენას, იდეალურ სიჩუმეს მხოლოდ ნაძვიდან ჩამოვარდნილი თოვლის ხმა არღვევდა. 4 საათის შემდეგ ხმაური შემოგვესმა. იოზეფმა იდაყვი წამკრა და მანიშნა, გვერდით სარკმელში გამეხედა. მივიხედე და რას ვხედავ, ჩვენგან დაახლოებით 20 მეტრში გარეული ღორი დგას. სროლა რომ შემძლებოდა, წინ უნდა წამოსულიყო, მაგრამ პირი იბრუნა და სულ სხვა მხარეს გაიქცა. სხვა გზა არ იყო, ფეხზე უნდა წამოვმდგარიყავი, იარაღი სარკმელში გადამეყო და ნადირისთვის ასე მესროლა, წამოვვარდი, შაშხანა მოვიმარჯვე, მაგრამ დამიზნება ვერ მოვახერხე, ოპტიკური სამიზნე საკმაოდ მოუხერხებელი აღმოჩნდა ტყეში ახლო მანძილზე სროლისათვის. ამასობაში ღორმა საფრთხე იგრძნო და ტყეს მისცა თავი. ვერ აგიწერთ რა დამემართა, გული ისე მიცემდა, შემეშინდა, არ გამისკდეს-მეთქი. ვფიქრობდი, ყველა ქართველი მონადირე მე მგულშემატკივრობს და ახლა ამის გაქცევა იქნებოდა-მეთქი. ისღა დამრჩენოდა, ახალი ნადირის გამოჩენას დაველოდებოდით. კიდევ ორი საათის ლოდინი, იდეალური სიწყნარე...

ვხედავ, იოზეფი საათს ხშირ-ხშირად დაჰყურებს და ეს ცუდად მენიშნა. გამახსენდა, მეგობარს დაუბარა 9 საათზე გამოვალთ ტყიდანო. ცოტა ხანში უკვე მთქნარებაც დაიწყო, საათისკენ გავაპარე თვალი და ვხედავ ცხრას 15 წუთიღა აკლია, გამახსენდა ევროპელების პუნქტუალურობა. მზად ვიყავი მთელი ღამე მეცადა ტყეში, სანამ რამეს არ მოვკლავდი, მაგრამ ამას ვერ ვეტყოდი იოზეფს და დავიძაბე, არ მინდოდა, ხელცარიელი გამოსვლა ბრნოს ტყიდან. უცებ ტყე ახმაურდა. აშკარად დიდი ცხოველი გვიახლოვდებოდა, სარკმლიდან გადავიხედე და ჩემგან 20-25 მეტრში ირემი დავინახე. აუჩქარებლად დავუმიზნე და ნადავლი უსულოდ დაეცა მიწაზე. ირემთან რომ მივედით, იოზეფმა ნაძვის ტოტი მოიტანა და მითხრა: „ჩეხური ტრადიციაა, ცხოველს რომ მოკლავ, ნაძვის ტოტი ერთი დღე უნდა ატარო ქუდით“. დავპირდი, ამ ნაძვის ტოტს გავუფრთხილდებოდი და არათუ ერთი დღე, მთელი ცხოვრება შევინახავდი.

**— სად ნადირობთ ხოლმე?**

— მწყერზე სანადიროდ იმერეთში დავდივარ, ტყის ქათამზე — გურიასა და სამეგრელოში, იხვზე — ფოთის და ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ ეს ფრინველი უამრავია.

**— რომელ იარაღს ანიჭებთ უპირატესობას?**

— საქართველოში ფრინველზე მიწევს ნადირობა და მხოლოდ გლუვლულიან სანადირო იარაღს ვიყენებ. მომწონს „ბერეტას“ გლუვლულიანი ჰორიზონტალურლულებიანი სანადირო თოფი.

**— დასასრულ, რას ნიშნავს თქვენთვის ნადირობა?**

— ნადირობა ჩემთვის არა მხოლოდ ჰობი და გართობის საშუალებაა, არამედ ცხოვრების სტილი. ბევრს ჰგონია, რომ მონადირე მხოლოდ კლავს, სინამდვილეში კი ბუნების პირველი დამცველია.

**ქეთი ადეიშვილი**

**რევაზ ინანეიშვილი და ჯანსულ ბოჭორიშვილი, ყულევში იხვზე ნადირობის შემდეგ**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფუტურისტული პისტოლეტი „მეხუთე ელემენტიდან“

**სამხრეთაფრიკული VECTOR CP1 ისე მოეწონათ რეჟისორებს, რომ 12 მძაფრსიუჟეტიან ფილმში და მათ შორის „მეხუთე ელემენტში“ „ათამაშეს“...**

ხ 127/22

გახსოვთ სცენა მძაფრსიუჟეტიანი „მეხუთე ელემენტიდან“, როდესაც კინომსახიობ მილა იოვოვიჩის გმირი ლილუ კორბენ დალასს (ბრიუს უილისი) შუბლზე საოცარი ფორმის იარაღს აბჯენს? ჰოდა, ეს იარაღი სხვა არაფერია, თუ არა სამხრეთაფრიკული თვითდამტენი პისტოლეტი Vector CP1, რომელიც ფილმში ისეა შენიღბული, ძნელად თუ გამოიცნობ.

XX საუკუნის ბოლოს სამხრეთაფრიკული საიარაღო კომპანია Vector-ის (რომელიც კორპორაცია Denel-ში შედის და პასუხისმგებელია ცეცხლსასროლი იარაღის ახალი ნიმუშების შექმნაზე) მიერ დაპროექტე-




Vector CP1-ი (ზედა სურათი) ისე „შენიღბეს“ „მეხუთე ელემენტის“ გადაღებისას, რომ ამ ცეცხლსასროლ „მონსტრში“ (ქვედა სურათი) ძნელად თუ ამოიცნობ სამხრეთაფრიკული პისტოლეტის დახვეწილ ფორმებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმა თვითდამტენმა პისტოლეტმა CP1-მა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება უაღრესად დახვეწილი დიზაინითა და ერგონომიკით.

პისტოლეტის ფორმა ისე ლამაზად იყო დამუშავებული, გეგონებოდათ, კონსტრუქტორები ცეცხლსასროლ იარაღს კი არა, ზებგერით გამანადგურებელს ქმნიდნენ.

ეს შემთხვევით არ გაკეთებულა, რადგან პისტოლეტი თავიდანვე მალულად სატარებლად იყო განკუთვნილი, არ უნდა ჰქონოდა მკვეთრად გამოწეული დეტალები, რომლებიც გააძნელებდა ტანსაცმელში დამალული პისტოლეტის სწრაფად ამოღებას.

სამხრეთაფრიკულმა პისტოლეტმა მაშინვე დაიმსახურა მოწონება, განსაკუთრებით აშშ-ის საიარაღო ბაზარზე, სადაც მისი გასაყიდი ფასი 400 დოლარს შეადგენდა.

პისტოლეტს დიდი პოპულარობა ელოდა წინ, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად 1996 წელს დაწყებული მისი სერიული წარმოება 2001 წელს შეწყდა და უფრო უარესიც — ბევრმა მყიდველმა ეს მართლაც რომ ძალიან ლამაზი და მოხერხებული პისტოლეტი უკან დაუბრუნა მაღაზიებს.



**ჩვენი დოსიე:** სამხრეთაფრიკული თვითდამტენი პისტოლეტი Vector CP1 ცარიელი მჭიდით 720 გ-ს იწონის. მჭიდში 9X19 მმ Para კალიბრის 12 ან 13 ვაზნა ეტევა. პისტოლეტის სიგრძე 177 მმ-ია, ლულის სიგრძე 101 მმ, სიმაღლე 140 მმ.

რა მოხდა? თურმე Vector CP1 არცთუ ისე უხიფათო ყოფილა. თუკი ვაზნა უკვე სავაზნეში იყო გადაგზავნილი და ჩახმახი შეყენებული, ამ დროს პისტოლეტის მიწაზე დავარდნისას შეიძლებოდა თვითგასროლა მომხდარიყო.

2000 წლის ოქტომბერში პისტოლეტის მწარმოებელმა ფირმამ იარაღის ინსტრუქციაში მითითება ჩაამატა, სადაც მყიდველებს ურჩევდა გადატენილი პისტოლეტი არ ეტარებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფირმა პასუხისმგებლობას იხსნიდა.

ფაქტობრივად, ეს პისტოლეტის დიდი ნაკლის აღიარება იყო მწარმოებლისგან და თავად განსაჯეთ, ვინ მოისურვებდა ისეთ იარაღს, რომელიც დავარდნისას თავადვე ისროდა?!

ასე ჩაესვენა მართლაც პერსპექტიული სამხრეთაფრიკული პისტოლეტის მზე და დღეს ეს იარაღი ძალიან მცირე რაოდენობითაა გავრცელებული, თუმცა მძაფრსიუჟეტიანი ფილმების რეჟისორებს ისე მოსწონთ ლამაზი მოყვანილობის გამო, რომ 12 მხატვრულ ფილმში მაინც „ათამაშეს“: მათ შორის იყო „გადამზიდი 2“ და „მისია შეუსრულებელია 2“.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩვენი დოსიე:** Vector CP1-ის ავტომატიკა ნახევრად თავისუფალ საკეტზეა დაფუძნებული, გასროლის შემდეგ საკეტის დამუხრუჭება აირით ხდება. ამისთვის ლულის ქვეშ დამონტაჟებულია აირის ცილინდრი, რომელშიც გასროლის შემდეგ წარმოქმნილი აირის ნაწილი ლულიდან გადადის პატარა ნახვრეტის საშუალებით. გასროლისას საცემ-სასხლეტი მექანიზმი მხოლოდ თვითშემყენებელია, ხოლო ჩახმახი დახურულადაა განთავსებული, რის გამოც მისი შეყენება იმავე სასხლეტზე თითის დაწოლით შეიძლება. პისტოლეტს ორი დამცველი აქვს — ავტომატური და მექანიკური. მექანიკური სასხლეტის წინ ლულის ქვეშ არის და მისი უკან მოწევით ირთვება. ავტომატური დამცველი უშუალოდ სასხლეტზეა დამონტაჟებული (დაახლოებით იმავე პრინციპით, როგორც Glock-ზე). ორივე დამცველი წითლად არის შეღებილი. იარაღში ფართოდაა გამოყენებული პოლიმერული მასალები, რაც მის წონას ამცირებს და უფრო მოხერხებულს ხდის პისტოლეტს სროლისას.



აშშ-ის იარაღის მაღაზიებში Vector CP1 400 დოლარამდე ღირდა

არსენალი




# Vector CP1

ISSN 1987 - 5061
9 771987 506007